1918
2018

დამოუკიდებლობიდან
თავისუფლებისაკენ
რესპუბლიკის - 100 წელი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ
რესპუბლიკის 100 წელი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია



თბილისი
2019

UDC (უდკ) : 821.353.1-4+94(479.22)
„1991”

შემდგენლები: როზეტა გუჯეჯიანი
ოთარ ჯანელიძე
კოტე ჯანდიერი
დათო ტურაშვილი

რედაქტორი: გიორგი აბაშიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ლოლა სანაია
დიზაინერი: გიორგი გელაშვილი

©საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ISBN 978-9941-9652-4-1

სარჩევი

ბაბუცას დროშა
ბეჟან კოღუაშვილი..... 11

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
მამუკა ლიპარტელიანი..... 15

... და ფურცლავდა წარსულს
მარიამ მარჯანიშვილი..... 18

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
დალი შავაძე..... 22

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ
ნანა აბულაძე..... 26

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
ხათუნა ჩიტაძე..... 30

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე
ელისაბედ ზანდუკელი..... 33

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე
ნონა ჩალიგავა..... 37

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
ქეთი მინასოვი..... 44

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ - რესპუბლიკის 100 წელი
მაია აბულაშვილი..... 47

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
თინათინ კაპანაძე..... 50

უკვდავება (ეძღვნება არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას)
ანნა ერისთავი..... 54

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ
ანა ტაბატაძე..... 58

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე – რესპუბლიკის 100 წელი
თინათინ ჩუბინიძე..... 62

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – რესპუბლიკის 100 წელი
თათა თიბილოვი..... 66

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – რესპუბლიკის 100 წელი
ირმა კვირკვია..... 69

დაკარგული თავის ძიებაში
ირმა კეკელიძე..... 73

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ
ნუცა ჭინჭარაშვილი..... 78

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
გიგა ქვილითია..... 81

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე
მარიამ გურაშვილი..... 84

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ - რესპუბლიკის ასი წელი
თინიკო უსუფაშვილი..... 88

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ
ინგა გოგიბერიძე..... 92

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
მაია ბეგაძე..... 95

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
მზია გოგაძე..... 99

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ
ქეთევან ხუციშვილი..... 103

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
ლელა დედაბრიშვილი..... 106

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
მარიამ პაპიაშვილი..... 109

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
ნიკოლოზ ქადაგიშვილი..... 113

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
ბარბარე ჭყოიძე..... 116

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი
ლელა ბაიდოშვილი..... 120

2018 წელს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავი ვიზეიმეთ. ჩვენთან ერთად ეს თარიღი ათეულობით ჩვენმა მეგობარმა სახელმწიფომ აღნიშნა როგორც თბილისში ასევე საკუთარ დედაქალაქებში. დამოუკიდებლობის 25 წლის აღნიშვნის ათობით ღონისძიება, ჩვენ ერთი იდეითა და სათაურით შევკარით - გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ. რადგან 25 წლის წინ მოპოვებული დამოუკიდებლობის გაღრმავება სწორედ რომ თავისუფლების სულისკვეთებით უნდა გაგრძელდეს.

დამოუკიდებლობა, მჩაგვრელისგან, დამპყრობლისგან თავის დახსნას გულისხმობს და წინაპირობაა თავისუფლების. თავისუფლება კი დაგეგმილი მიზნისა და საზრისიდან გამომდინარე გადადგმული ნაბიჯების გზაა. შესაბამისად, იმისთვის რომ იყო შენი თავის უფალი უნდა იცნობდე შენს თავს, იაზრებდე შენი ერის მისიას, ხედავდე იმ გზას, რომელიც უნდა გაიარო. სხვანაირად, საკუთარი თავის, საკუთარი ერის მიზნისა და მისიის ცოდნისა და მუდმივი შემეცნების გარეშე ლოგიკურად ვერ შედგება იმ თავისუფალი ნაბიჯების რიგი, რომელსაც აწმყოდან მომავლისკენ მიყავს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეები. ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ის გზა, რომელიც დაიწყეს ჩვენმა წინაპრებმა, გაგრძელდეს იმ ღირებულებებით, რითაც აშენებდნენ ისინი ჩვენს ისტორიას. ჩვენ ერთად უნდა გავაგრძელოთ წინაპრების ღირებულებებით თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა. მათ იბრძოლეს და მოახერხეს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, და ვუზრუნველყოთ თავისუფალი სახელმწიფო შემდეგი თაობებისთვის.

აწმყო იქმნება წარსულის ცოდნით, მისი გააზრებით, გაანალიზებით, შეცდომების გათვალისწინებით და წამატებების გაღრმავებით. ესაა გზა თავისუფალი ერის, თავისუფალი ადამიანის. ამიტომაა სწავლა, ანალიზი, ფიქრი და შემეცნება, კამათი და დაგეგმვა აუცილებელი წინაპირობა თავისუფლების. ცოცხალი და სისხლსავსე დებატი ჩვენს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე არის აუცილებელი წინაპირობა სწორი პასუხების საპოვნელად. ამიტომაც, ბიბლიოთეკები და მათში თავმოყრილი ცოდნის უზარმაზარი მარაგი უნდა გადაიქცნენ სახალხო ფორუმად, რომელშიც მონაწილე ჩვენი თანამემამულეები კამათის, განსჯისა და გააზრების შედეგად შექმნიან სწორ პასუხებს ქართველი ერის მომავალთან დაკავშირებით.

მე მჯერა იმის, რომ ჭეშმარიტება არა კაბინეტებში ან მაღალ ტრიბუნებზე, არამედ დაბის სათათბიროებში, სადებატო კლუბებსა და ბიბლიოთეკის წრეებში იბადება; და რომ მაღალი ტრიბუნები და მნიშვნელოვანი კაბინეტები ამ აზრის გამგრძელებლები და ხორცის შემსხმელები უნდა იყვნენ.

წინამდებარე კრებულიც სწორედ ამ ცხოველი დისკუსიის წახალისების მცდელობაა და უნდა გახდეს მომავალი პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირთათვის სახელმძღვანელო, საკუთარი ერის გულისნადების გასააზრებლად.

მადლობას მოვახსენებ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას, ჩვენს პატივცემულ ბიბლიოთეკარებს ამ კამპანიაში ჩართულობისთვის.

გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ჯერ კიდევ გასავლელია! ჩვენ გვაქვს დამოუკიდებლობა, თავისუფლებისათვის ბრძოლა კი გრძელდება!

გიორგი მარგველაშვილი

ბაბუცას დროშა

ის ამბავი, რის მოყოლასაც ახლა ვაპირებ, ერთ პატარა სოფელში მოხდა. მაშინ როცა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდი მძლავრობდა. მე მაშინ ცამეტი წლის პიონერი ვიყავი. სკოლაში სადაც მე ვსწავლობდი, უცხო ენათ ასწავლიდნენ ინგლისურს, რადგან მომავალ სასწავლო წელს სხვა სკოლაში ვაპირებდი გადასვლას, იქ აუცილებლად ფრანგულის სწავლა დამჭირდებოდა, ამიტომ მშობლებმა ერთ მოხუცებულ ქალბატონს მიმაბარეს, რომელიც შესანიშნავად ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. ჩემი მშობლების ეს გადაწყვეტილება გაუკვირდათ მეზობლებსა და ახლო ნათესავებს, რადგანაც ამ ქალბატონს ყველანი იცნობდნენ, როგორც ფსიქიკურად დაავადებულს, რასაც ადასტურებდა მისი რამდენიმე სასამართლო პროცესი, საიდანაც მას მუდმივად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამწესებდნენ, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემს მშობლებს სულ სხვა მოსაზრებები გააჩნდათ, რადგანაც ამ ქალბატონს ჩემი ოჯახის წევრები მისი ადრეული ბავშვობიდან იცნობდნენ. არც მე არ გამკვირვებია და შევუშინებივარ ჩემი მშობლების ამ გადაწყვეტილებას, რადგან ამ მოხუც ქალბატონს ჩემთვის წლების მანძილზე ბევრი ხილი და ნუგბარი მოუწოდებია და უფრო მეტიც, მიყვარდა კიდეც ამ ქალბატონის მონაყოლი ამბების მოსმენა.

ჩემთან ერთად ერთი ჩემი სკოლელი გოგონაც დადიოდა ბაბუცა მასწავლებელთან. როდესაც პირველად შევედით მასთან, ჩვენ ერთობლივად შევამჩნიეთ უწესრიგოდ მიმოფანტული ნაწერი ფურცლები, რომლებსაც ხშირად მისი არყოფნის პერიოდში ჩუმჩუმად ვათვალიერებდით ხოლმე, თუმცა საღი აზრი ამ ნაწერებთან დაკავშირებით ჩვენი ასაკიდან გამომდინარე იმ პერიოდში არ გაგვაჩნდა, თუმცა იმას კი ვხვდებოდით, რომ ეს ნაწერები შინაარსობრივად ძალიან განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც სკოლაში ყოველდღიურად ჩაგვჩიჩინებდნენ. იმ უწესრიგობიდან განსხვავებით ერთ კუთხეში, სადაც წმინდა გიორგის ხატი ეკიდა, მაგიდაზე ლამაზად იდო სამი ნივთი; ბიბლია და ორი ლამაზად დაკეცილი ქსოვილი. ჩვენ ყოველთვის გვინდოდა ამ ქსოვილის გაშლა და დათვალიერება, რადგან ვფიქრობდით, რომ ამ ნაჭერში რაღაც საიდუმლო ინახებოდა. ბევრჯერ შეგვიმჩნევია, ბაბუცა მასწავლებელი ხელს დაადებდა ამ ქსოვილს და მის თვალებში რაღაც გამოუცნობი ბედნიერების სხივი იბადებოდა. შემდეგ როცა წამოვიზარდე მივხვდი, რომ ის სიყვარულის სხივი იყო. რამდენიმე თვიანი მეცადინეობის შემდეგ გავბედეთ და ვთხოვეთ ბაბუცა მასწავლებელს ეჩვენებინა და მოეყოლა ჩვენთვის ამ იდუმალი ქსოვილის შესახებ. ის რამდენიმე წუთი მდუმარედ იდგა, როცა ჩვენ საკუთარი გულის გახშირებული ძგერა გვესმოდა. როგორც იქნა მან თავზე ხელი გადაგვისვა, ორთავე იმ მაგიდასთან მიგვიყვანა, სადაც ის იდუმალი ქსოვილები იდო და თხრობა დაიწყო:

იდგა 1921 წლის ადრე გაზაფხული, ქარბუქიანი მარტის სუსხიანი შუაღამე იყო, როცა მძინარეთ კარზე კაკუნის ხმა შემოგვესმა, მამაჩემმა კარი გააღო და ოთახში სტუმარი შემოიპატიჟა. მათი ჩურჩულის ხმა მესმოდა, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავიგე, მეორე დილით, როდესაც ყველა-

ნი ერთად შევიკრიბეთ, ვნახე რომ მაღალი, ტანადი და შავთვალწარბა ყმაწვილი კაცი იყო ჩვენი სტუმარი. ეს ადამიანი აღმოჩნდა მამაჩემის მეგობრის შვილი კახეთიდან. ჩვენი სტუმარი, რომელსაც კიტა ერქვა, ჩვენი სახლიდან ხშირად ღამღამობით გადიოდა და რამდენიმე დღის ან რამდენიმე კვირის შემდეგ ისევ ჩვენთან ბრუნდებოდა, თუმცა ის ხელცარიელი არასოდეს მოსულა. მე არასოდეს მინახავს მისი მოტანილი ნივთები, თუმცა ვხვდებოდი, რომ ეს იარაღი და რაღაც ამდაგვარი ნივთები უნდა ყოფილიყო. კიტა ჩვენთან მოტანილ ნივთებს დიდხანს არასოდეს აჩერებდა. ასე მიილია თითქმის სამი წელი, მე მისი თვალებში შეხედვის უკვე მრცხვენოდა, რადგან მივხვდი, რომ ჩემს გულში მისდამი სიყვარულის გრძნობა ჩაისახა. ერთ საღამოს, როცა მამაჩემი სახლში არ იმყოფებოდა, კიტა მე და ბებოს დაგვემშვიდობა და კარი გაიხურა. მე ჩემდა უნებურად მას ჭიშკრამდის გავედევნე, ის მობრუნდა, ჩანთიდან რაღაც შეკვრა ამოიღო, გადმომცა და მითხრა; ეს თქვენ ჩემგან საჩუქრად გქონდეთო! იმედია, ეს საჩუქარი საქართველოს თავზე ისევ იფრიალებსო, ამის შემდეგ მომიბრუნდა, შუბლზე ნაზად მაკოცა და სიბნელეს შეერია. იმ ღამით საერთოდ არ მიძინია, რაღაც იდუმალი გრძნობა მეუბნებოდა, რომ მისი სტუმრობა ჩვენს ოჯახში მეტად აღარ მოხდებოდა. დილით როცა გავიღვიძე, მისი ნაჩუქარი წმინდა გიორგის ხატი, ბიბლია და აი ეს ორი ქსოვილი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დროშას წარმოადგენდა, ისევ ფრთხილად შევახვიე და რადგანაც არ მინდოდა მამაჩემს გაეგო ამ საჩუქრის შესახებ, ის სახლიდან მოშორებით მარანში დავმალე. ამის შემდეგ მე კიტა აღარ მინახავს.

იდგა 1924 ავბედითი წელიწადი, ერთ დღესაც ჩვენთან შეიარაღებული ხალხი მოვიდა, მთელი ეზო და სახლი გადაქექეს, მამაჩემი დააპატიმრეს და წაიყვანეს. ამის შემდეგ მამა მთელი ოთხი თვის მანძილზე არ მინახავს, ის მხოლოდ ერთი საათით ქუთაისის ციხეში ვნახეთ და მისგან გავიგეთ, რომ კიტა ქართველ შეფიცულებთან ერთად დაუპატიმრებიათ და დაუხვრეტიათ. მე მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავი და ეს ამბავი ჩემთვის დღემდის მეხის გავარდნასავით მძიმე ასატანია. ამის შემდეგ არ მახსოვს ღამე, როდესაც მე ამ დროშებთან ერთად არ მძინებოდეს. ხშირად ვყვებოდი ხალხში ამის შესახებ და ამისათვის ბევრჯერ ციხესა და ფსიქიატრიულ საავაადმყოფოში მიხდებოდა ყოფნა. თუმცა ბავშვებო, დღემდის იმედი მაქვს, რომ კიტას სიტყვებისა არ იყოს, ეს დროშა კიდევ იფრიალებს საქართველოს თავზედ! ეს სიტყვები დაამთავრა და თან თვალები ცრემლებით აევსო. იმ დღიდან რამოდენიმე დღე მე მასთან აღარ მივსულვარ, რადგან ყველაფერმა ამან ჩემზედ ძალზედ იმოქმედა.

მაისის ერთ საღამოს ჩემი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთი საწარმოს მაღალ კოშკზე მოფრიალე საბჭოთა საქართველოს დროშამ ნამგლითა და უროთი. სწორედ ამ დროს გამირბინა აზრმა თავში, რა იქნებოდა რომ ამ დროშის მაგიერ ბაბუცას შინდისფერ დროშას ეფრიალა. მთელი კვირა არ მასვენებდა ამაზე ფიქრი. ერთ დღესაც ჩემს მეგობარ გოგონას, რომელთან ერთადაც დავდიოდი ბაბუცასთან სამეცადინოდ გავუზიარე ჩემი აზრი. მან სიხარულით შესძახა, მოდი, დავკიდოთ ბაბუცას დროშა! ამის შემდეგ მოვილაპარაკეთ, თუ როგორ უნდა შეგვესრულებინა ეს იდეა.

24 მაისს როცა სკოლა დავასრულეთ, ბაბუცასთან გამოვიარეთ, ვიმეცადინეთ და ჩვენს მასწავლებელს ერთი დროშა მოვპარეთ. იმ ღამით მე და ნანა კოშკზე ავძვერით, საბჭოთა დროშა ჩამოვხსენით და მის მაგივრად ბაბუცას შინდისფერი დროშა დავკიდეთ. მეორე დღეს მე და ნანა ორივე ადრე ავდექით და სხვათაგან უჩუმრად შევსცქეროდით ჩვენს ნამოქმედარს. ვხედავთ, რომ ბაბუცა ჩვენგან მოშორებით იდგა, ძროხას აბალახებდა და ჩვენსავით თვალს არ აცილებდა შინდისფერ დროშას. ჩვენ თავდაპირველად შეგვეშინდა და გაქცევა დავაპირეთ, მაგრამ თვითონვე დაგვიძახა, როდესაც მასთან მივედით, ვნახეთ რომ, ის როგორც არასდროს, ისე გახარებული და გაბრწყინებული თვალებით იდგა. თავზე ხელი გადაგვისვა და გვითხრა; სამოცი წელია ამ დღეს ველოდი, ამასაც მოვესწარ, თუმცა ქურდობა ცუდი საქციელიაო! ამის შემდეგ ხუთი დღე ფრიალებდა ბაბუცას შინდისფერი დროშა, ხოლო ბაბუცა დილიდან საღამომდის შორიახლო აძოვებდა თავის საქონელს და სიამოვნებითა და სიამაყით გაჰყურებდა მოფრიალე დროშას. საკვირველება ის იყო, რომ იმ ხუთი დღის მანძილზე ის ვერავინ შეამჩნია, შეიძლება შეამჩნიეს, მაგრამ სოფლელებმა ყურადღება არ მიაქციეს, მეექვსე დღეს მე და ნანა ისევ მივედით ბაბუცასთან სამეცადინოდ. ამ დროს ბაბუცას ეზოში მილიციელები და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული მამაკაცები შემოვიდნენ, ბაბუცას რაღაც უთხრეს, ჩვენ ეზოში გაგვიყვანეს და ეზოსა და სახლის ჩხრეკა დაიწყეს. ბაბუცა წაიყვანეს, მე და ნანასაც ჩვენს მშობლებთან ერთად ბევრი დაკითხვა მოგვიწყვეს. თუმცა ჩვენ ამ ამბის შესახებ კრინტიც კი არ დაგვიძრავს. როგორც შემდეგ შევიტყვეთ ბაბუცა ისევ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაუყვანიათ, ისიც კი გავიგეთ, რომ ამ დროშის დაკიდება თავის თავზე დაუბრალებია და ეს იმით დაუდასტურებია 78 წლის მოხუცს, რომ მას თავისუფლად შეეძლო მსხლის, ბლის და სხვა მსხმოიარე ხეებზე აძრომა და ნაყოფის კრეფა. უშიშროებას ამასთან დაკავშირებით ექსპერიმენტიც კი ჩაუტარებია და ბაბუცასაც ეს ექსპერიმენტი ფრიადზე ჩაუბარებია. ორი წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში საბჭოთა წყობილება თავდაღმართში მიდიოდა, ბაბუცა ისევ გაათავისუფლეს ფსიქიატრიული საავადმოფოდან. მე და ნანამ ის მოვინახულეთ უკვე საწოლს მიჯაჭვული და ენაწართმეული, თუმცა სრულ სუფთა გონებაზედ მყოფი. მან საბანი გადაიძრო და მას გულზედ ის მეორე დროშა ეფარა. როგორც გავიგეთ პირველი დღისა არ იყოს, იმ ავბედით დღეს ძველ მარანში დაუმალავს ის ერთადერთი დროშა.

ერთი თვის შემდეგ ბაბუცა გარდაიცვალა, დასაფლავების დღეს მე და ნანაც იქ ვიყავით, სამუდამო სასახლეში მისმა ახლობლებმა არსებული წესის თანახმად მისი ნაქონი სხვადასხვა ნივთები ჩაულაგეს, რომელთა შორის შინდისფერი დროშა არ აღმოჩნდა, რის გამოც მე და ნანამ განგაში ავტეხეთ, თუმცა ვერც ჩვენ და ვერც მისმა ახლობლებმა ვერაფერი იპოვეს. უკვე გამოსვენების დროც დადგა და შემთხვევით ერთმა მოხუცმა მეზობლის ქალმა გვითხრა რომ გარდაცვალების დღეს მან სხვა ნივთებთან ერთად ეს დროშაც ერთ-ერთ მეზობელს გადასაყრელად გაატანა. ჩვენც სასწრაფოდ მოვიძიეთ ეს კაცი, წავიყვანეთ იმ მიმართულებით, სადაც ეს საგნები გადაყარა. ეს ადგილი სახლიდან კარგა მოშორებით იყო, როდე-

საც მივედით იქ დროშა არ ჩანდა, რადგან სხვებსაც დაეყარათ იქ ნაგავი. მე და ნანამ ხელით გადავქექეთ ის ადგილი, ვიპოვეთ დროშა, სასწრაფოდ დავბრუნდით უკან, თუმცა ბაბუცა სახლიდან უკვე გაყვანილი დაგვხვდა. გავიქეცით სასაფლაოსკენ, წამით მივუსწარით სანამ სასახლეს თავს დაახურავდნენ, მე და ნანამ გულზე დავაფარეთ ეს დროშა და ისე ჩავასვენეთ სამუდამო სასუფეველში.

იმ დღეს ბაბუცა მარტო არ ყოფილა, მასთან ერთად იყო მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარულის საჩუქარი - ანუ საქართველოს პირველი რესპუბლიკის შინდისფერი დროშა.

ბეჟან კოღუაშვილი
ბიბლიოთეკარი
სოფელ საყულიის ბიბლიოთეკა
წყალტუბოს საბიბლიოთეკო გაერთიანება

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

ნავთლუხის რკინიგზის სადგურიდან ქართველებით სავსე ორთქლმავლიანი მატარებელი დასავლეთის მიმართულებით დაიძრა. სიმბოლური ამბავია, არა? მატარებელში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები ისხდნენ, სწორედ ისინი, რომლებსაც არასდროს სურდათ საქართველოს დამოუკიდებლობა და ბედმა რატომღაც სწორედ მათ არგუნა წილად ქართველი ერის ეს საუკუნოვანი სურვილი მთელი კაცობრიობისთვის გამოეცხადებინათ. რა დიდებული წამი იქნებოდა ეს შესაძლებლობა სვიმონ მეფეს ან თუნდაც ილია ჭავჭავაძეს რომ ჰქონოდათ. მაშინ ალბათ მართლა დაიწყებოდა დამოუკიდებელი ქვეყნის შენება.

მენშევიკების მიერ შექმნილი დამოუკიდებლობა ქიმერა იყო და მისი დამსხვრევა მხოლოდ დროის საკითხი გახლდათ. ასეც მოხდა. ქიმერა იყო გამსახურდიას დროინდელი დამოუკიდებლობა – ის თბილისის სამოქალაქო ომში დაიმსხვრა. ქიმერა იყო შევარდნაძისდროინდელი დამოუკიდებლობა – იგი აფხაზეთში დაიმსხვრა. ქიმერა იყო სააკაშვილისდროინდელი დამოუკიდებლობა – ის სამაჩაბლოში დაიმსხვრა. ქიმერაა დღევანდელი დამოუკიდებლობაც და ისიც დაიმსხვრევა, დროის საკითხია. მაგრამ ამასობაში ქართველობაც იმსხვრევა, ჩაჩანაკდება, სასირცხვო ხდება, ბეჩავდება. სოფლებში გაიარეთ, მთაში ამოდით – გასაცოდავებაა!!! ვიღაცის დასჯის სურვილით აღტყინებული ადამიანები დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ვერ მოიტანენ. ვიღაცეები ხსნას ჩვენი ქვეყნის გასხვისებაში ხედავენ, იმათთვის მისხვისებაში, ვინც თუნდაც 100 წლის წინ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის, ხო უბრალო ხალხის დაუძინებელი მტერი იყო, რომელიც ახლაც აცხადებს პრეტენზიას ჩვენი ქვეყნის ლამის ნახევარზე და რომელიც ახლა რატომღაც მოყვარე გაგვიხდა (?!). მე მათი მეგობრობის არ მჯერა.

თავისუფლება შენებაშიაო – ეს ვიღაცამ თქვა, არ მახსოვს ვინ. ჩვენც ვაშენებთ, მაგალითად თბილისს. მაგრამ ისე ვაშენებთ, სწორი იქნებოდა სიტყვა შენებისთვის წინ თავსართი გადა დაგვერთო და მაშინ ასე გამოვიდოდა – ჩვენც გადავაშენებთ, მაგალითად თბილისს! დიახ, რესპუბლიკის 100 წლისთავზე ჩვენ ქვეყანაში ეს მდგომარეობა გვაქვს. ჩვენ გადავაშენებთ ქართულ სოფელს, ჩვენ გადავაშენებთ ქართულ სოფლის მეურნეობას, ბოლოს და ბოლოს ჩვენ გადავაშენებთ დემოკრატიას როგორც ასეთს, რადგან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში დემოკრატია უკვე რაღაც საშინელი ურჩხულის მსგავსია, რომელიც ყოველგვარ წინსვლას ამუხრუჭებს, აბეტონებს, აქვავებს და ასამარებს. ჩვენ ამ ყველაფერს გადავაშენებთ! და ეს სულ მალე მოხდება (დროის საკითხია), თუ ის დამღუპველი საშინელება, რომელსაც ტყუილი ჰქვია, თავიდან არ მოვიშორეთ. ტყუილი, ტყუილი, ტყუილი – ყველა ფეხის ნაბიჯზე. ტყუილი ჩვენი ცხოვრების ორგანული ნაწილი გახდა: ღვინოში შაქარს ვურევთ და ვამბობთ, რომ კარგ ღვინოს ვაყენებთ; არჩევნების დროს დაცლილი სოფლებიდან ხმების 100 პროცენტი მოდის; ვამბობთ, რომ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ვუწყობთ ხელს და ამ დროს წყალბადის ტექნოლოგიებზე გადა-

სული ევროპელებისგან ჩამოწერილ მატარებელს ვყიდულობთ, რომელიც გვირაბში არ ეტევა; მზის და ქარის ენერგიების გამოყენების ნაცვლად სვანეთის მდინარეების გადახერგვა-დატბორვით და საუკუნეებში გამოვლილი ბუმბერაზი მთების დახვრეტა-დარყევით და მათ გულ-ღვიძლში წყლის ჩაყენებით გვინდა თითქოსდა საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის, სინამდვილეში კი ვინ იცის, ვიღაც ერთი მუჭა ავანტურისტების ჯიბის გასქელების მიღწევა. ტყეებს ვჭრით და ჩალის ფასად ვყიდით, ქალაქებში და დაბებში კი ხეების დარგვის ნაცვლად ასფალტს ვაგებთ, თანაც ისეთ უფორმოს და უხარისხოს, რომ ზედ ბალახი ამოდის (!?).

„... ჩინოვნიკები ლამის არის ქუჩაში დასხდნენ (იმდენი არიან)... ვინც თვლა არ იცის ოთხამდე კარგად, რვა კერძსა ყლაპავს...„– წინასწარმეტყველებასავით არის, არა? ხომ არაფერს გაგონებთ თქვენს ირგვლივ?

ხანდახან სურვილი გიჩნდება უკლებლივ ყველა ქართველი პოლიტიკოსი, თავისივე ტელევიზიებით, შეკრიბო და სადმე უკაცრიელ კუნძულზე ერთად დაასახლო, ტყუილიც თან გაატანო (ისინი იქ ერთმანეთს კარგად გაუგებენ), ხოლო დანარჩენ საქართველოს კონსტიტუციაში ჩაუწერო: საქართველოში ტყუილი კანონოთ არის აკრძალული და ქართველი ერი დღეიდან ტყუილის გარეშე აგრძელებს სვლას თავისუფლებისაკენ!

რესპუბლიკის 100 წელი! უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რესპუბლიკას დღეს 100 წელი შეუსრულდებოდა ის რომ სამი წლისა არ მოეკლათ. დიახ, ის ჩრდილოელმა მეზობელმა მოკლა, მაგრამ არა ქართველების გარეშე! დიახ, ის მეზობელი დღეს მტერია. და უფრო ადრე და უფრო ბევრჯერ სამხრეთელმა მეზობლებმა მოკლეს და ისინი დღეს „მეგობრები“ არიან (!?). სვიმონ მეფე ვახსენეთ ზემოთ, მისი ტრაგიკული ბედის გახსენებაც საკმარისია. საინტერესოა არა? ალბათ პოლიტიკოსებს და მათს უქარქაშო იარაღს, ენაალესილ ჟურნალისტებს (ყოველ შემთხვევაში ჩვენთან ასეა), რაღაც დროის ლიმიტის მსგავსი აქვთ დაწესებული – მოვიდა ვინმე ავი მეზობელი თუ გადამთიელი, წაგართვა მიწა, რწმენა, დაგიხოცა, გაგითახსირა, გაგიუპატიურა დიდი და პატარა, ვინც გადარჩა პირუტყვივით წინ გაიგდო და მონად გაგიყიდა!!! გადის სულ რაღაც 100 წელი და ის უცებ შენი მეგობარი ხდება – არც მიწას გიბრუნებს, არც ბოდიშს გიხდის, შენს დანარჩენ მიწებზე კვლავ პრეტენზია აქვს, მაგრამ მაინც მეგობარია. დიდებული საქმეა, არა? მაშ რა განსხვავებაა? გამოდის, რომ დროის ამბავია – 100 წლის შემდეგ დღევანდელი მტერიც მეგობარი გახდება. ან იქნებ 105 წელი და 11 სეკუნდია საჭირო. არ ვიცი, ვკითხოთ პოლიტიკოსებს და მათ „უქარქაშო ხმლებს“. ასეთი მდგომარეობა გვაქვს დღეს, რესპუბლიკას 100 წელი რომ შეუსრულდებოდა იმ დღეს, 100 წელი რომ შეუსრულდებოდა, რომ არა... ბებიაჩემი რომ კაცი ყოფილიყო ბაბუაჩემი იქნებოდაო, გახსოვთ ალბათ ხალხური სიბრძნე, რაღაც ამდაგვარ დღეში ვართ.

გამოწვევების (არ მიყვარს ეგ სიტყვა) წინაშე კი ნამდვილად ვდგავართ. ვდგავართ! მაგრად ვდგავართ! ურყევად! ჩაბეტონებული და გაქვავებული! გამოწვევები მოდიან, გვიყურებენ და ფიქრობენ: ნეტა ამათ ...

ამას წინათ ლევილში გახლდით, ქართველთა მამულში – იქაურობა დღევანდელი საქართველოს უტყუარი ალეგორიაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ ირგვლივ საფრანგეთია. და იქნებ ჩვენი პოლიტიკოსები,

სანამ მათ რომელიმე თანამდებობაზე დავნიშნავთ, თუნდაც სულ დაბალ, რომელიმე პროვინციული მუნიციპალიტეტის რომელიმე სამსახურის უფროსად, ორ-ორი კვირით თუნდაც იმ საფრანგეთში წავიყვანოთ, შესაბამისი სამსახურის მუშაობა ვაჩვენოთ და უკან რომ დაბრუნდებიან (თუ მოუნდათ უკან დაბრუნება!) იქნებ ქუჩაზე ასფალტი მაინც დააგონ სწორად, ტროტუარს ხარისხიანი ბორდიური გაუკეთონ და შემდეგ ხე და ბუჩქი დარგონ ისე ლამაზად და თავის ადგილზე, როგორც იქ არის. მაგრამ ესენი იქ რომ ჩავლენ „შმოტკებს" იყიდიან, ეიფელის კოშკთან ფოტოს გადაიღებენ, რომელსაც აუცილებლად ფეისბუკზე დადებენ, მეზობლის გულის გასახეთქად, მერე ჩამოვლენ და ევროპულად ჩაზმანულები გამოწვევების წინაშე ისევ მაგრად დადგებიან, იმიტომ რომ, გამოწვევების ფიქრისა არ იყოს, ამათ მართლა...

მატარებლით დავიწყეთ. ბავშვობიდან მიყვარს მატარებელი და რკინიგზა. პატარა, ცარიელი, ჩუმი სადგურების ბაქნებზე მიყვარს დგომა. თითქოს ფილმში ხარ შესული, კინოთეატრის დარბაზიდან პირდაპირ ეკრანში და ეს უამრავი რკინის ლაპლაპა რელსი საიდანღაც, უსასრულობიდან მომავალი შენს წინ ჩაივლის და ისევ უსასრულობაში მიექანება. ენით უთქმელი შეგრძნებაა უკიდეგანო თავისუფლებისა (წყალტუბოს მიტოვებულ რკინიგზის სადგურზე დამეუფლა სულ ბოლოს), ისეთივე დიდებული შეგრძნება, სვიმონ მეფის ან ილია ჭავჭავაძის შესაძლებლობა რომ იქნებოდა მთელი კაცობრიობისთვის ქართველი ერის სურვილი გაეცხადებინათ თავისუფლებისა დასაბამიდან „...და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა", რკინის ლაპლაპა რელსებივით უსასრულობიდან მომავალი და უსასრულობაშივე მიმავალი სურვილი უკიდეგანო თავისუფლებისა.

მატარებლით დავასრულოთ. ჩემი ერთი დაუმთავრებელი მოთხრობა ასე იწყება: ლენტეხი-უშგულის მატარებელი ლენტეხის რკინიგზის სადგურიდან შუადღის თორმეტზე გადიოდა. ალბათ ესეც ტყუილია (?!)... ან იქნებ თავისუფლებაზე ოცნებაა, რომლის ასახდენადაც ღირს ალბათ ბრძოლა. რა ვიცი აბა, თქვენ რას იტყვით ?

მამუკა ლიპარტელიანი
მკითხველი
ლენტეხის მთავარი ბიბლიოთეკა

... და ფურცლავდა წარსულს

- ეჰეი, ჩემო იანიჩარ, შენ უნდა გაუძღვე სამშობლოს გამანთავისუფლებელთა ახალ ჯარს, - ღიმილით შეეხმიანებოდა ხოლმე კართან მორცხვად მდგარ ბიჭუნას თავადი გიორგი მაჩაბელი.
- აპა, არა... უფრო მეტიც. ჯერ კავკასიონზე დაფრენასა და მიჯაჭვული ამირანის განთავისუფლებას გირჩევ, დანარჩენი კი შენს ვაჟკაცობაზეა, - მოუწოდებდა პირველ სტუმარს ფეხდაფეხ მომყოლი თავადი მიხაკო წერეთელი.
- იცის, ბიჭმა, თავის საქმე, - მთავარია, შენს სახელოვან პაპასავით სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი გამოხვიდე, - შეახსენებდა პატარა მათეს პეტრე სურგულაძე.

მერე სტუმარ-მასპინძლები ერთ დარბაზში ჩაიკეტებოდნენ, საიდანაც ცნობისმოყვარე ბიჭს კანტიკუნტად ესმოდა უცნაური სიტყვები: „საერთაშორისო ხელშეკრულების ძალით 1783 წლის ტრაქტატის გაუქმება“... „1907 წლის ქართველი ერის პეტიცია ჰააგის კონფერენციისადმი“... „სეპარატისტთა წრე“... „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“... ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“...

დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებთან პეტრე სურგულაძესთან, ლეო და გიორგი კერესელიძეებთან თანამშრომლობისათვის ჟენევაში ხან ლონდონიდან და ხან ჰაიდელბერგიდან ჩამოდიოდა მიხაკო წერეთელი, ხოლო გიორგი მაჩაბელი კი ბერლინიდან...

მათი საუბრები სულს უფორიაქებდა მათეს და იგი მოზღვავებულ კითხვებზე პასუხს მოითხოვდა: „რატომ არ ჰქონდა სამშობლო?... ვინა ვართ?... რატომ დაგვემართა ასე? ...საქართველოს ბედი რისთვის ქანაობდა რაღაც უცნაურ საბედისწერო „საქანელაზე?“...

დედა ამშვიდებდა, რომ ოდესმე უთუოდ წავიდოდნენ მათ საარაკო ქვეყანაში. ბიჭი კი ყველაზე მეტად იმას ნატრობდა, რომ ისეთი ძალა ჰქონოდა ცხრათავიან დევებს შებრძოლებოდა და თავისი ქვეყანა გაენთავისუფლებია.

ცხოვრება დუღდა, ერთი დიდ მნიშვნელოვანი მოვლენა მეორეს ცვლიდა, ერები იბრძოდნენ, იკაფავდნენ გზას... ამ ორომტრიალში, თამაშების სამყაროში უცხოეთში გადახვეწილი ქართველობაც ამხედრებულიყვნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა თავდადება, სამშობლოს სიყვარულით აღტკინებასა და მისი განთავისუფლებისათვის რწმენას უნერგავდა მათე კერესელიძეს, რომლის გონებაში ილექებოდა ყველა ის მოვლენები, რომელიც ქართულ აზრს მომავალ დიდი საქმეთა გასაგებად ამზადებდა.

შემდეგი ამბები უკვე ცნობილია. დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების ჩარევითა და გერმანიის მთავრობის დახმარებით წყალქვეშა ნავებით საქართველოში შემოვიდა იარაღი, დამხმარე ძალა, ფული და საქართველოზე კალიებივით შემოსეულ ნახევარ მილიონ რუსის ჯართა განდევნა, თურქების შემოტევის გასაჩერებლად თბილისში გერმანელთა ჯარების ჩაყენებაც.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს ჯგუფი, წინამორბედათ ჩაითვლება იმ პოლიტიკურ მკვდრეთით აღდგომისა, რომელიც მოხდა 1918 წლის 26 მაისს.

დამოუკიდებლობის კომიტეტის ღვაწლი ერთი მშვენიერი ეპოპეა იყო იმითაც, რომ საქართველომ მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პირველად მიიღო ევროპის რეალური დახმარება მის დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად.

ამასობაში მათე კერესელიძე უკვე დავაჟკაცდა. მან წარმატებით დაამთავრა ჟენევასა და გერმანიაში უმაღლესი სასწავლებლები. თავისუფლად ფლობდა და თარგმნიდა გერმანულად, ფრანგულად მხატვრულ ნაწარმოებებსაც კი. „ვენაში ჯარისკაცთა სახლში“ ვნახე უაღრესად სასიამოვნო, განათლებული ქართველი, ბატონი მათე კერესელიძე, პარიზელი ემიგრანტი.“

მამისა და ბიძის ჩრდილში მდგარი და მათი იდეალებით ნასაზრდოები უკვე პოლიტიკურადაც მომზადებული გახლდათ.

ოცნება უფრო ადვილია, ვიდრე მისი განხორციელება. სამწუხაროთ, ცხოვრება თავისი გზით წავიდა და ბავშვობის ოცნება სამშობლოში დაბრუნებაზე სიცოცხლის მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ეპოქად დარჩა. ვინაიდან საქართველოს ცის ცარგვალზე ქარბორბალა დატრიალდა.

საქართველოს მთავრობამ და მისმა რჩეულმა შვილებმა ბოლშევიკურ ტირანიას უცხოეთში წასვლა და საერთაშორისო სამართლის ძალით დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის ბრძოლა არჩია.

მათე კერესელიძე კარგად ხედავდა, რომ საქართველოში 20-იანი წლების დრამატული სპექტაკლები საბედისწეროდ იყო გათამაშებული და არ სურდა მისი ქვეყანა კვლავაც დიდ თეატრად დარჩენილიყო.

ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ 20 წელიწადი საქართველოს რესპუბლიკის დამსხვრევის მთავარი მიზეზის დადგენის დავასა და კამათს შეალია თავი. ერთნის აზრით: საქართველოს შინაური მდგომარეობა თითქმის ნორმალური იყო. საშიშროება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ქვეყნის თავდაცვის საქმე სრულიად მოუწყობელი აღმოჩნდა. რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქვეყანას ორგვარი ჯარი ჰყავდა: ჩვეულებრივი და სახალხო გვარდია. იგივე ახლად წოდებული წითელი გვარდია...

მეორენი ამბობდნენ: საქართველოს ორ სამტრო ბანაკად გაყოფამ გადაუტეხა ხერხემალი თერგდალეულთა მოღვაწეობით მიღწეულ ეროვნულ აღორძინებას, მაშინ, როცა მესამე დასმა ქართულ თავადაზნაურობასთან ბრძოლა დაისახა თავის უპირველეს მიზნად. რითაც, პრაქტიკულად, მაშინდელ ქართულ ინტელიგენციას ხალხი ჩამოაშორა. ის საბედისწერო შეცდომა მენშევიკებმა თავისუფალ საქართველოშიც დაამკვიდრეს.

ეროვნულ-დემოკრატები კი იმთავითვე აცხადებდნენ, რომ სოციალ-დემოკრატები ქართველ ერს ვერ მოუვლიან! მათ არ იციან რა არის ერი! დაღუპავენ ამ დამოუკიდებლობას, რადგან არა აქვთ ეროვნული შეგნება.

ხხვათადასხვათა შეხედულებით საქართველო იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის ერთადერთი ქვეყანა, რომლის დამოუკიდებლობა ერთბაშად 20 სახელმწიფომ აღიარა და მათ შორის ბოლშევიკურმა რუსეთმაც. ამასთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრო-

ბამ, კაპიტულაციის გამოუცხადებლად დატოვა სამშობლო. და, ეს ორი შესაძლებლობა აძლევდა მას უფლებას დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისა. რაც კარგად გათვალა ნოე ჟორდანიამ.

ასეა, ქვეყნად იმდენი აზრი და სურვილია, რამდენიც ადამიანია.

სამშობლოსადმი სიყვარულით აღსავსე დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ თავიანთი ენერგია ემიგრანტულ ინტრიგებსა და ჩხუბში არ დაეხარჯათ. ისინი საქართველოს თავისუფლებისათვის ახლად გამოჭედვის საქმეს ჩვეული ენერგიით შეუდგნენ. ლეო და გიორგი კერესელიძეებმა ერთად 1924 წლის 24 ოქტომბერს პარიზში საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაცია დააფუძნეს, რომლის გაზეთს მიხაკო წერეთელი რედაქტორობდა. გიორგი მაჩაბელი კი 1922 წლიდან ამერიკაში გადასახლდა, სადაც ფირმა „პრინცი მაჩაბელი“ შექმნა. მას მთელი თავისი კაპიტალი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ჰქონდა გამიზნული.

ქართული ემიგრაცია ჯერ კიდევ თავის ოცნებებსა თუ დავა-კამათში იყო, როცა გერმანიის ჯარებმა რუსეთის იმპერიის საზღვრები გადმოლახეს. სწორედ, აქ გადაიკვეთა გერმანია-საქართველოს ინტერესები. ემიგრანტების დიდმა ნაწილმა თავისი დაუოკებელი ჟინით ორი საქართველოს გასამთლიანებლად და საკაცობრიო ცხოვრებაში ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახლა დასამკვიდრებლად დიდ სახელმწიფოთა შორის რუსეთის იმპერიის დამშლელად გერმანია მიიჩნია და ამიტომაც მეორე მსოფლიო ომის დროს მათი მხარე დაიჭირა.

გერმანელებსაც თავის მხრივ კავკასიაში გადასასროლად ემიგრანტებისა და ტყვედჩავარდნილთა ჯგუფი სჭირდებოდა.

სიტყვას დიდი ძალა აქვს. „თამარ I”- ში გაერთიანებისათვის მათე კერესელიძეს ბავშვობის მოგონებამაც უბიძგა, როცა მას გიორგი მაჩაბელი იანიჩარად, ხოლო მიხაკო წერეთელი - კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის მხსნელ-ფრინავად მიიჩნევდა.

„იანიჩარი“ მშვენივრად ეგუებოდა ქართველების მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომში, სადაც ანტისაბჭოთა დაჯგუფებაში გერმანელთა მხარეს ფორმალურად - სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში ყველა საქართველოს აღდგენისათვის ფიქრით იბრძოდა.

„1942 წლის ზაფხულში, მთელი კავკასიის მასშტაბით დაიწყო „დივერსანტ-პარაშუტისტთა გადაგზავნა. პატარა ჯგუფები თვითმფრინავებით გადასროლილ იქნენ საქართველოშიც. „ერთ უკუნეთ ღამეში ყველანი პლანერებით გადაგვისროლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. არადა, არც ერთი ქართველი ადრე პარაშუტით არ გადაფრენილა. მათ ამისათვის მხოლოდ თეორიული მომზადება ჰქონდათ გავლილი,“- იგონებდა მათე კერესელიძე.

„თამარ I”-ის ჯგუფიდან საქართველოში ბევრი შეიპყრეს. ზოგი იქვე ადგილზე დახვრიტეს, მათე კერესელიძე ტყვედ ჩავარდა.

„ჩემო ძვირფასო ელენე!

ჩამოსვლის მეორე დღეს ციხეში ამომაყოფინეს თავი! თურმე აქაც მქონია ათი წლის კატორღის განაჩენი. ამ მოკლე ხანში ჩემი საქმე წარედგინება სასამართლოს. გულს მიკლავს, რომ მამამ უკანასკნელად ვე-

ღარ მნახა, როგორც დაკარგული და ისევ მონახული შვილი. ვიცი, რომ ძალიან ვუყვარდი და ძალიან დარდობდა ჩემს ახლანდელ ბედზე. 16 წლის შემდეგ მაინც მნახა. დედის გვერდით ჩავასვენეთ შორეულ ქვეყანაში, უცხო მიწაში. სამშობლოდან შორს, რომელიც ასე უყვარდა. ალბათ, ჩვენს უცხო მიწაში უნდა გადავიკარგოთ, ჩვენი შვილები და შვილისშვილები ნელ-ნელა გადაგვარდებიან და უცხოეთი მათთვის უცხოეთი აღარ იქნება."

„მათე კერესელიძეს ისევ შევხვდი 50-60-იან წლებში დიუსელდორფში. ის, რაც მან და მისმა თანამებრძოლებმა ნამდვილი მეორე მსოფლიო ომის დროს მოიმოქმედეს, ქართველთა ეროვნული ინტერესების დასაცავად იყო გამიზნული, ისინი თავსაც წირავდნენ ამისათვის, თუმცა მათი ეს ღვაწლი შეუფასებელი დარჩა."

ასეა, უკუღმართმა ბედმა ბევრ სხვა ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტივით მათე კერესელიძეც სად არ ატარა. იგი ყოველთვის ჩხრეკდა და ფურცლავდა წარსულს, სადაც ვერ პოულობდა პასუხს ერთადერთ კითხვაზე: თუ კი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ქართველი ერი არ უნდა მართავდეს თავის თავს და არ ქონდეს თავისი სახელმწიფო?!

მარიამ მარჯანიშვილი
მკითხველი
ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
საჯარო ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

1921 წლის 17 მარტი - ბათუმის სანაპიროდან ევროპისაკენ გეზი აიღო გემმა. ამაში თითქოს უჩვეულო არაფერია. უჩვეულო მხოლოდ მგზავრთა შემადგენლობა იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები ტოვებდნენ საქართველოს. წინ უსასრულო ტალღები და ბურუსით მოცული მომავალი ელოდათ, უკან კი - დამოუკიდებლობის 2 წლისა და 9 თვიანი პერიოდის მოგონებები ასულდგმულებდათ და უკან დაბრუნების იმედსაც უსახავდათ. სამწუხაროდ, მგზავრთა იმედებს ასრულება არ ეწერა. საქართველოს მაგივრად, პარიზთან ახლოს მდებარე სოფელი ლევილი გახდა მათი უკანასკნელი ნავსაყუდელი, ხოლო ემიგრანტი პოეტის ნიკოლოზ (კოკი) დადიანის საფლავზე წარწერილი ეპიტაფიის ეს სიტყვები „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“ ყველაზე მჭევრმეტყველურად გამოხატავს ბედის უკუღმართობით სამშობლოდან გახიზნული ემიგრაციის მწარე ხვედრს. საქართველოს კი ახალი - ამჯერად ბოლშევიკური მთავრობა დაეპატრონა, რომელმაც კოჯორისა და ტაბახმელას მიდამოებში სამშობლოსათვის დაღუპული იუნკრების ცხედრებს გადმოაბიჯა და თბილისში ისე შევიდა.

დამოუკიდებლობის არასრული სამი წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსთვის. გარშემო პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ომის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, მეზობელ დიდ სახელმწიფოთა აგრესიის მუდმივი საფრთხე... საქართველოს მიერ არჩეული დასავლური კურსი გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისათვის. 1920 წელს მოსკოვში მოსალაპარაკებლად ჩასულ გრიგოლ ეროტაძეს ერთ-ერთმა ბოლშევიკმა ლიდერმა კამენევმა ვითომ ხუმრობით უთხრა:

„ოჰ, თქვე ქართველო თეთრგვარდიელებო! თქვენ გინდათ ჩვენგან გაქცევა. თქვენ გინდათ მარტო შეექცეთ მწვადსა და კახურ ღვინოს? გაგიჟებულხართ ძმებო. ასე ადვილად ვერ გაგიშვებთ”.

სამწუხაროდ, ეს ხუმრობანარევი სიმართლე იყო. ბოლშევიკები მეფის რუსეთის იმპერიის საზღვრებში არსებულ ტერიტორიებს საბჭოთა რუსეთის კუთვნილებად მიიჩნევდნენ, ხოლო მათ მიერ ხელმოწერილ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას საქართველოსთან ფარატინა ქაღალდად თვლიდნენ, რომელსაც მაშინ დახევდნენ, როცა მოისურვებდნენ.

შემდეგ იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, ისევ მარცხი, ისევ ემიგრაცია... სისხლიანი 30-იანი წლები, დახვრეტილი და განადგურებული ქართული ინტელიგენცია, „ინდუსტრიალიზაცია“ და „კოლექტივიზაცია“, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი, ომში გაწვეული 700 000 ათასი ახალგაზრდიდან 300 000 დედამ რომ ვერ დაიტირა, ომში გამარჯვებისათვის გაღებული უდიდესი ადამიანური და მატერიალური რესურსი...

თითქოს ომის შემდეგ უნდა დაესვენა ტანჯულ ქვეყანას, ხალხი მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა, დანგრეულს აშენებდა, სოციალიზმის ფერხულში იყო ჩაბმული და ისევ სისხლი, ისევ მსხვერპლი. 1956 წლის 9 მარტს ისევ ამუშავდა საბჭოთა რეპრესიული მანქანა, თბილისის ქუჩები უიარაღო გოგო-ბიჭების სისხლით შეიღება. საბჭოთა სისტემამ საკუთარი

ნამოქმედარი საგულდაგულოდ დამალა, ოჯახის წევრებს მიცვალებულების დატირების უფლებაც კი არ მისცეს. ზუსტად რამდენი ადამიანი დაიღუპა, დღემდე არ ვიცით.

საქართველომ დანარჩენ „მოძმე“ რესპუბლიკებთან ერთად გამოიარა ხრუშჩოვის „ოტტეპელი“-დათბობა, ბრეჟნევის „უძრაობა“, ციხეში გამომწყვდეული დისიდენტური მოძრაობის ლიდერები - ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, დედა ენის დაცვისთვის გამართულ საპროტესტო აქციაზე მოპოვებულ გამარჯვებასაც გაუსინჯა გემო, მთლიან საბჭოეთში ჯინსებისა და „ბითლზის“ სიმღერების აკრძალვის სუსხიც იწვნია, ტელევიზიით გამოსული კრემლის ლიდერების დამოძღვრასაც ისმენდა, თუ როგორ კარგია ყველაფერი აქ, ჩვენთან, და როგორ ცუდია ყველაფერი იქ, კაპიტალისტებთან.

ამასობაში 80-იანი წლებიც დადგა და გორბაჩოვის გამოცხადებულ „პერესტროიკასა“ და დემოკრატიას საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა აუბა მხარი, და ისევ სისხლი, ისევ მსხვერპლი... 1989 წლის 9 აპრილი - სამშობლოს ზვარაკად შეწირული „შავლეგოს“ მომღერალი გოგო-ბიჭები. რა არ აპატიეს? - სამშობლოს სიყვარული და თავისუფლებისაკენ ლტოლვა.

ამჯერად კი ყველამ ნათლად დაინახა, თუ როგორ ღაფავდა სულს უზარმაზარი წითელი იმპერია. მის ნამდვილ სახეს კი სწორედ მაშინ ახადა ფარდა გენიალურმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ ფილმში „მონანიება“.

1991 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა. მართალია, ერთი დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი გვქონდა, მაგრამ ამით თბილისში დაღუპულთა ხსოვნას მივაგეთ პატივი.

და საქართველო უკვე მეორედ დაადგა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ არც თუ მარტივ გზას. ერთი მხრივ, მსოფლიოს თავი უნდა გავაცნოთ, რომ გვაღიაროს, მეორე მხრივ, რუსეთი ისევ გვემუქრება და თითს გვიქნევს, უჩემოდ ყოფნა როგორ გაბედეთო. რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატისტული მოძრაობები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სამოქალაქო ომი, დამხობილი და ლტოლვილად ქცეული პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც მოკლეს თუ თავი მოიკლა, - დღემდე არ გვაქვს ამ კითხვაზე სწორი პასუხი. 1992 წელს დაკარგული აფხაზეთი, იქიდან იძულებით გამოდევნილი ქართული მოსახლეობა, რომელიც საკუთარ ქვეყანაში დღემდე დევნილის სტატუსით ცხოვრობს და ზოგი იმედით, ზოგიც კი უიმედოდ გაჰყურებს ენგურს გაღმა დარჩენილ საკუთარ სახლ-კარს, რომელსაც გადამთიელი დაპატრონებია...

1995 წელს მეორე პრეზიდენტად ქვეყანამ ედუარდ შევარდნაძე აირჩია, რადგანაც მის საერთაშორისო ავტორიტეტზე დიდ იმედებს ამყარებდა ყველა. საგარეო კუთხით მართლაც ბევრი რამ გაკეთდა: საქართველო უკვე გაეროს რიგით 179-ე წევრი იყო, 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოს კარიც გაუღეს და დახმარებასაც შეპირდნენ ევროპის შესაბამისი სამართლებრივი სისტემის შექმნაში.

ქვეყნის შიგნით კი მდგომარეობა არც თუ სახარბიელო იყო. საბჭოთა ეკონომიკური სისტემა ხუხულასავით დაიშალა, ეროვნული ეკონომიკა კი ჯერ ისევ სუსტი იყო, პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყანაში შემოსვლისაგან უცხოელი ინვესტორებიც თავს იკავებდნენ, ყვაოდა კორუფ-

ცია. ასეთ ვითარებაში საზოგადოებაში თავი იჩინა გულგატეხილობამ და სკეპსისმა - ნუთუ დამოუკიდებლობა გვიღირდა ამად?

ქვეყანაში თანდათან ჩამოყალიბდა ევროპული და ამერიკული განათლების მქონე ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ოპოზიციური გაერთიანება, რომელთა ლიდერი მიხეილ სააკაშვილი იყო. მის მიერ დაარსებულმა პარტიამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მმართველი პარტია „მოქალაქეთა კავშირი“ არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა და მისი ლიდერი ედუარდ შევარდნაძე 2003 წლის ნოემბერში ე.წ. „ვარდების რევოლუციით“ აიძულა თანამდებობიდან გადამდგარიყო. ახალი მთავრობა შეუდგა რეფორმების გატარებას, რომელიც საზოგადოებისთვის არც თუ უმტკივნეულოდ წარიმართა, ბევრი ადამიანი აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. ქვეყნის ეკონომიკა შესამჩნევად წინ წავიდა, უცხოელები საქართველოთი დაინტერესდნენ.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი მაინც არ გვანებებს თავს და ისევ მუქარის ტონით გვესაუბრება, არ გვპატიობს დამოუკიდებლობის და თავისუფლების სიყვარულს.

2008 წლის 8 აგვისტოს დილით გორისა და ცხინვალის მოსახლეობა რუსული თვითმფრინავების ხმამ გააღვიძა. ეს ომი მალე საქართველოს სხვა კუთხეებსაც მოედო, ადამიანები კვლავ იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მშობლიური ადგილები. აგვისტოს ხუთმა დღემ ორივე მხრიდან 850 ადამიანი იმსხვერპლა.

12 აგვისტოს კონფლიქტურმა მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციებისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობის საფუძველზე. თუმცა რუსეთი დღემდე არ ასრულებს „ექვსპუნქტიანი შეთანხმების“ ყველა მუხლს. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთისა და სამხეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო და ამით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია.

„დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი“ - ეს სიტყვები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში თქვა დიდმა რუსმა მოიგავემ ივანე კრილოვმა და თითქოს ჩვენზე - ქართველებზე და რუსებზეა ეს გამონათქვამი ზედგამოჭრილი. რუსეთი თავის დანაშაულს ჩვენ გვაბრალებს, გვებრძვის ყველანაირი საშუალებით - სამხედრო ომი იქნება ეს თუ საინფორმაციო, მავთულხლართების მეშვეობით იტაცებს არა მარტო ქართულ მიწებს, არამედ ქართველ ვაჟკაცებს და მათ დასახიჩრებულ სხეულებსაც კი ძლივს აღირსებს გამწარებულ ჭირისუფალს. ჩვენ კი პატარა საწყალი ბეკეკასავით მუდმივად თავის მართლების რეჟიმში გვამყოფებს. კრემლის ლიდერების ილუზიები კი ისევ საბჭოთა კავშირის აღდგენას უკავშირდება და საქართველო, როგორც ერთ-ერთი ურჩი რესპუბლიკა, სამაგალითოდ ისჯება.

ასე მიდის და მიიკვალავს გზას ჩვენი სამშობლო მსოფლიოს ისტორიის ბობოქარ ოკეანეში, ებრძვის ამ ოკეანის ტალღებს და იცის რომ გაჩერება არ შეიძლება, ხელები მძლავრად უნდა მოუსვას, რადგან გაჩერება და დანებება დაღუპვის ტოლფასია.

მსოფლიოს წინაშე ბევრი თავმოსაწონი რამეც გაგვაჩნია ამასობა-

ში: უნიკალური ხალხური კულტურა, ქართული ცეკვები, მუსიკა, ქართული სამზარეულო, ღვინო, გამორჩეული სტუმართმოყვარეობა, მიმზიდველი ბუნება და დიდი ტურისტული პოტენციალი, რომელსაც განვითარება და გამოყენება სჭირდება. ეს ყველაფერი რეალობად რომ ვაქციოთ, სწორედ ამიტომ ვისწრაფით დიდ ევროპულ ოჯახში ჩვენი ადგილის დასაკავებლად. თუმცა ეს პროცესი ცოტა არ იყოს გაჭიანურდა, ევროპა თითქოს თავს იკავებს ჩვენი პრობლემებიდან გამომდინარე, ეს კი რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე ალიანსის წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა ღიად განაცხადეს, რომ საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კი განაცხადა, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველო ნატოში არ გაწევრიანდეს.

საქართველო, ეს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო ყოველთვის იქცევდა ყურადღებას, სწორედ ამიტომ გვყავდა ამდენი მტერი. ასეა ახლაც. ჩვენ კი დიდი დაფიქრება და მოხერხება გვჭირდება იმისთვის, რომ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა დიდი რუდუნებით და ბრძოლით შემოგვინახეს და გადაგვირჩინეს, გადავცეთ ჩვენს მომავალ თაობებს, ისე რომ არც მსოფლიო რიტმს ჩამოვრჩეთ და ნაბიჯი ავუწყოთ პროგრესისაკენ მიმავალ ქვეყნებს..

საქართველომ თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე უამრავი მსხვერპლი გაიღო... მათი სულები ზეციური საქართველოდან ლოცავენ სათაყვანო სამშობლოს და იმეორებენ ჯანსუღ ჩარკვიანის უკვდავ სიტყვებს:

„თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია!“

დალი შავაძე
მკითხველი
ხულოს საჯარო ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ

მე იმ ულამაზესი ქვეყნის შვილი ვარ, რომელსაც საქართველო ჰქვია. ყველა ქართველი ვალდებულია იცნობდეს მრავალჭირვარამნახული საქართველოს წარსულს, იცოდეს ვინ არის და საიდან მოდის, თორემ აბა ისე რა მნიშვნელობა ექნება მისი არსებობის გამართლებას?

ჩვენი ქვეყანა მუდამ თავისუფლებისთვის იბრძოდა. რა არის თავისუფლება თუ არა იმის გაცნობიერება, თუ ვინ ხარ, რას წარმოადგენ, რას ისახავ მიზნად? თორემ ისე არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ყოველწლიურად 26 მაისის აღნიშვნას.

წელს საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე გრანდიოზულად აღნიშნა ქართველმა ერმა. რა გზა განვლო 1918 წლიდან დღემდე ჩვენმა ქვეყანამ? რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ გასავლელი გზა ძალიან მძიმე იყო. ეს ყველა ქართველმა კარგად უნდა გააცნობიეროს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობამ. ამასთანავე, ისე არ უნდა მოხდეს, რომ მხოლოდ წარსულს მივაპყროთ მზერა, ეს იმისთვის გვჭირდება, რომ დავსახოთ მომავალი მიზნები ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

არ ვაპირებ ყველა ისტორიული ფაქტის მოყვანას, მაგრამ რატომ აღმოვჩნდით სხვა ქვეყნის მარწუხებში, რა იყო ამის წინაპირობა, აუცილებლად გასათვალისწინებელია.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი – თითქოს აქედან დაიწყო ყველაფერი. რატომ დაიდო ეს ვითომ მეგობრობის ხელშეკრულება? იმიტომ, რომ საქართველო უამრავი თავდამსხმელის გამო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა: ჯერ ოსმალები აოხრებდნენ ქართლს, შემდეგ „ოსმალობას“ „ყიზილბაშობა“ ჩაენაცვლა. ლეკთა თარეშსაც არ უჩანდა ბოლო. მეფე ერეკლემ ევროპის სახელმწიფოებთან სცადა პოლიტიკური კავშირის გაბმა. იმედოვნებდა, მათგან დახმარებას მიიღებდა. ერეკლე თვლიდა, რომ საქართველოს გადარჩენა და მოძლიერება მხოლოდ ქვეყნის ევროპულად გარდაქმნის გზით იქნებოდა შესაძლებელი.

ევროპასთან ურთიერთობის მცდელობა მარცხით დამთავრდა და ერეკლემაც იმედიანი მზერა ქრისტიანული რუსეთისკენ მიმართა. თუმცა რა მივიღეთ ამ ტრაქტატისგან, რომლის თანახმად ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა და თავდასხმებისგან უნდა დაეცვა? 1795 წელს კრწანისის ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა აღა - მაჰმად-ხანთან. ამაო იყო სამასი არაგველისა და ცხრა ძმა ხერხეულიძის თავგანწირვა. რუსეთს ხელიც არ გაუნძრევია ჩვენს დასახმარებლად. უფრო მეტიც, 1801 წელს ალექსანდრე I-მა მანიფესტი გამოსცა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ და თავის გუბერნიად გამოაცხადა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მაშინვე დაიწყო, მათ შორის ერთ-ერთი 1832 წლის შეთქმულება, მოგეხსენებათ, იასე ფალავანდიშვილმა გასცა.

ეროვნული თვითყოფადობის დაკარგვამ ათქმევინა ნიკოლოზ ბარათაშვილს სიტყვები: „ვაი, ჩვენო ქართლის ბედო, ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპაო.“

საქართველოს ისტორიაში გამორჩეულია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი. მსოფლიოში ძნელად მოიძებნება მისი მსგავსი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ამდენი გააკეთა თავისი ერისთვის. „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“ - ამ სიტყვებში არაფერი ყოფილა გადაჭარბებული. ის ამ მიზანს ერთგულად ახორციელებდა, მისი მთავარი ამოცანა გულხელდაკრეფილი ერის გამოფხიზლება იყო. მან დაუმტკიცა ყველას, რომ ერი ბედნიერი ვერ იქნება თუ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის და მისი კეთილდღეობისათვის არ იბრძოლებს. სამართლიანია გალაკტიონის შეფასება: „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი!“

მეფის სპეცსამსახურები გამუდმებით ცდილობდნენ ქართველი ქართველს დაპირისპირებოდა და ძმათა სისხლისმღვრელი ომი წამოეწყო. ამ მხრივ, შემიძლია დავასახელო აჭარაში ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების დაპირისპირება. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა დიდი ქართველი მამულიშვილის მემედ აბაშიძის საჯარო გამოსვლა: „ბათუმშიც სცადეს ორი სარწმუნოების ხალხის - ქართველი მაჰმადიანებისა და ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენ თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანები ვართ... მაგრამ ეროვნებით ქართველები.“ რუსები მაჰმადიან ქართველებს თურქებს უწოდებდნენ მაშინ. სწორედ ამ მტკივნეულ საკითხს მინდა შევეხო და გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ეს პრობლემა დღესაც დგას აჭარაში. ოღონდ რუსები კი არა საქართველოს მოსახლეობის სხვა ნაწილი ალმაცერად უყურებს აჭარაში მცხოვრებ მუსლიმ ქართველს და არაქართველად თვლის. მაშინ სად იყვნენ, როდესაც დანდალოს ხიდზე ქრისტიან აჭარელთა სასაკლაო ჰქონდათ მოწყობილი თურქებს და ვინც რჯულს არ შეიცვლიდა, თავებს კვეთდნენ, მათი სისხლით შეიღება აჭარის წყალი. ან მაშინ სად იყვნენ, 300 წლის მანძილზე სხვისი მონობის ქვეშ რომ იმყოფებოდა, რატომ ვერ შეძლო გამოხსნა? ამდენ წლიანი უღლისა და ტანჯვის შემდეგ აჭარელმა კაცმა შეინარჩუნა ენა და ქართველობა. ნუთუ ახლა ამის ღირსია, რომ ეს შეურაცხყოფა ითმინოს? ახლა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით შეფასება მარტივია. გადაჭედილია სოციალური ქსელი. კარგი იქნება საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიხედოს ბევრმა და წაიკითხოს: ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა...

რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შედეგად მონარქია დაემხო და იმპერია დაიშალა. სწორედ ამ პერიოდში საქართველოში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც ფაქტობრივად ქვეყანას მართავდა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს საზეიმოდ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. სახელმწიფო ფორმად შეირჩა დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი თარიღი საქართველოს ისტორიაში. სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამი წლის შემდეგ არსებობა შეწყვიტა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, ხოლო სანატრელი დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ 1991 წლის 9 აპრილს შეძლო.

1921 წლის 25 თებერვალს გმირულად დაეცნენ ქართველი იუნკრები, მათ შორის იყო მარო მაყაშვილი:

თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იყო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი.

საქართველო კვლავ რუსეთის მარწუხებში აღმოჩნდა, თბილისის თავზე წითელმა დროშამ იწყო ფრიალი. საოკუპაციო სამხედრო ჯარები ყველგან განლაგდნენ.

მოსკოვის 1921 წლის მარტის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებით თურქეთმა ოფიციალურად უარი თქვა ბათუმსა და მის ოლქზე. აჭარაში თურქი ასკერების ნაცვლად საბჭოთა ჯარის ნაწილები შევიდნენ (ოკუპანტი ოკუპანტმა შეცვალა).

ქართველებს ხელი არასდროს ჩაუქნევიათ, ისინი მუდმივად იბრძოდნენ თავისუფლების მოპოვებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში წამყვანი პოსტები ქართველებს (სტალინი და ბერია) ეკავათ, საქართველო მაინც ვერ გადაურჩა რეპრესიებს, სისხლისღვრას.

რეპრესიებმა იმსხვერპლა ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მწერალთა კავშირის ოქმები დღითიდღე ივსებოდა „ხალხის მტრებად“ შერაცხული მწერლების სახელებით. მწერალთა კავშირის კრებაზე პაოლო იაშვილის განაჩენი რომ გამოჰქონდათ, ტყვიამ შეაზანზარა შენობის კედლები. პაოლომ თავი მოიკლა, სულშეძრულმა მიხეილ ჯავახიშვილმა კი თქვა: „ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, ყველას გვაჯობაო!“ მიხეილ ჯავახიშვილიც, ტიციან ტაბიძეც და ბევრი სხვა კულტურული მოღვაწე შეეწირა წითელ ხელისუფლებას.

მეორე მსოფლიო ომმაც უმძიმესი ადამიანური ზარალი მიაყენა საქართველოს.

1978 წლის 14 აპრილს თბილისში რუსთაველის პროსპექტზე გრანდიოზულმა საპროტესტო გამოსვლამ ხელი შეუშალა ქართული ენის აღმოფხვრას. ქართველმა ერმა მშობლიური ენის სტატუსი შეინარჩუნა და ყოველი წლის 14 აპრილს აღინიშნება კიდეც დედა ენის დღე.

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ტანკებმა დაიკავეს რუსთაველის პროსპექტი. დიდი პროტესტის ნიშნად მიტინგზე გამოსულ ქართველ ერს ილია II-მ დაშლა სთხოვა, მაგრამ მთავრობოს სასახლის წინ მყოფმა ქართველებმა უარი განაცხადეს, ისინი მღეროდნენ და პატრიოტულ ლექსებს ამბობდნენ. რუსმა ჯარისკაცებმა ნიჩბებით სასტიკად დახოცეს ახალგაზრდები, ძირითადად ქალები და გოგონები.

1991 წლის 9 აპრილი. უმნიშვნელოვანესი თარიღი. 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით საქართველოში გამოცხადდა დამოუკიდებლობის აღდგენა. დიდი ხნის ბრძოლისა და ლოდინის შემდეგ საქართველოს ეღირსა ნანატრი თავისუფლება.

კიდევ ბევრი მოუშუშებელი იარა აქვს საქართველოს: აფხაზეთი, ოსეთი, 2008 წლის აგვისტო. მიუხედავად ამდენი ტანჯვისა და მსხვერპლისა, ქართველი ერი მაინც ოპტიმისტია.

საქართველომ უკვე გადადგა ნაბიჯი ევროპული განვითარებისკენ. დღეს ჩვენი პასპორტი ევროპაში ვიზის გარეშე მოქმედებს. ჩვენმა წინაპრებმა 100 წლის წინ შექმნეს ევროპული სტანდარტის სახელმწიფო და 70-წლიანი ოკუპაციის მანძილზეც არასდროს დაუყრია ფარ-ხმალი. ყოველთვის გვყავდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც თავისუფალი საქართველოს იდეებისთვის იბრძოდნენ.

საქართველოს მიზანდასახული არჩევანი დღეს ევროკავშირი და ნატოა. ჩვენ უნდა გავაღრმაოთ დემოკრატიული პოლიტიკური პროცესი, ამ მიზანს რომ მივაღწიოთ, საზოგადოება უნდა აღიჭურვოს შესაბამისი აზროვნებითა და უნარებით. ამისათვის კი საჭიროა ქართველობამ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობამ ბევრი იშრომოს, იკითხოს, აკეთოს თავისი საქმე უანგაროდ და მიზანმიმართულად. მხოლოდ ასე შევძლებთ თავისუფალი საქართველოს აღმშენებლობას.

ნანა აბულაძე
მკითხველი
სოფელ უჩხოს საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა
ხულოს მუნიციპალიტეტი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ გრძელი და რთული გზაა...
არის და არც არის...
შეიძლება იყო დამოუკიდებელი და არ იყო თავისუფალი?
შეიძლება იყო თავისუფალი და არ იყო დამოუკიდებელი?
დიახ, შეიძლება დამოუკიდებელი იყო, მაგრამ არ იყო თავისუფალი, რადგან დამოუკიდებლობა ფაქტობრივად მდგომარეობაა, სხვებისაგან აღიარებას რომ საჭიროებს.
დოკუმენტები, აქტები, ხელმოწერები - ზუსტად 100 წლის წინ...
დაიბადა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. პატარა, უსუსური, ჩვილი ბავშვივით ხელით საგოგმანები, სულს საბერი, ჯერ ფეხაუდგმელი, ხახადაფჩენილი მეზობლების პირისპირ.
დამოუკიდებლობა სხვის იმედად, სხვის თვალებში შემყურედ - სხვისი წაშველების მოლოდინში. არადა, სხვა ხომ არც თვალებში ჩაგხედავს, არც ხელს წაგაშველებს და როცა დაგჭირდება, სწორედ მაშინ მიგატოვებს.
ზუსტად ასე დაგვემართა, ისარგებლა "კეთილმოსურნე" მეზობელმა და გადაგვყლაპა...
შინაურებმაც გვარიანად შეუწყეს ხელი.
დავკარგეთ ნანატრი დამოუკიდებლობა.
ჩაგვაბეს სხვების ფერხულში...
და იყო ავბედითი ოცდაჩვიდმეტი, როცა ისევ შინაურების დამსახურებით გაგვიჟლიტეს ერის საუკეთესო ნაწილი. შიში გამეფდა ქვეყანაში - ერთმანეთის შიში.
და იყო ყველაზე სასტიკი ომი კაცობრიობის ისტორიაში.
და იყო ფაშიზმზე მოპოვებული გამარჯვება სხვებთან ერთად - ათასობით ქართველი საჯიშე ბიჭის შეწყვეტილი სიცოცხლის ფასად.
შემდეგ თითქოს სიმშვიდეც იყო. ცხოვრებაც გრძელდებოდა უდიადესი და უძლიერესი საბჭოეთის ძმურ ოჯახში.
მაგრამ არ შეწყვეტილა თავისუფლების მოყვარე ქართველების ფარული თუ ცხადი ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.
და იმ დროს, როცა ხმის ამოღება კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ თითქმის სიცოცხლის ფასი ღირდა, როცა ხალხის ხმა ყოველთვის რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", ქართველებმა შეძლეს ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოეცხადებინათ, რადგან ქართველისთვის მშობლიური ენა ეროვნული თვითმყოფადობის გამოვლენაა და ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. შეძლეს და "სამაია" იცეკვეს, "ჩაკრულო" იმღერეს, "სამება" ააშენეს...
დამოუკიდებლობის აღდგენა ფაქტიურად 9 აპრილს დაიწყო, როცა „რუსთაველი" რუსული ტანკებით აავსეს, ნიჩბებით დაჩეხეს მოხუცები და ქალები, გაზით მოწამლეს ასობით ახალგაზრდა.
აგორდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა. ისევ მოვიპოვეთ ნანატრი თავისუფლება...

და დაიწყო...
სავალი გზა ყოფიერებით დამძიმებული დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ.
ამ გზაზე ძმათამკვლელი ომიც შემხვდა, სისხლით მორწყული თბილისი, დანგრეული და გაპარტახებული.
შემხვდა ჩაბნელებული და გაყინული საქართველო, მშიერი და გაბოროტებული.
დარჩა ჩვენი ულამაზესი აფხაზეთი უჩვენოდ. იქიდან წამოსული ადამიანების სიკვდილის პირისპირ შეხვედრის შიშით გაფართოებული თვალები, სამშობლოს წართმევით გამოწვეული ტკივილი და მაინც სადღაც უსასრულოდ შორს მოკიაფე იმედის ნაპერწკალი.
შემხვდა პოლიციელებისგან ქუჩაში ჩახოცილი ბიჭები, გადავსებული ციხეები და აღზევებული უსამართლობა.
შემხვდა აგვისტოს ხუთი ცხელი დღით დაშანთული ადამიანებით დასახლებული სპეციალური დასახლებები.
შემხვდა დაჩეხილი და დანაწევრებული საქართველო, წართმეული ტერიტორიები და მოძრავი მავთულხლართები...
შემხვდა ნაგვის ურნებთან მოფუსფუსე მათხოვრები, მშიერ-მწყურვალი ბავშვები და მოხუცები.
შემხვდა სამშობლოს მოწყვეტილი ათასობით ადამიანის გამოუთქმელი სევდით სავსე თვალები, გადახვეწილები მხოლოდ იმიტომ, რომ სახლში დარჩენილებს ლუკმა-პური მოაწოდონ.
შემხვდა უმუშევრობით, გაჭირვებით გადაღლილი ხალხი და როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისევ სხვის იმედად.
და მაინც...
100 წელი გავიდა...
ნეტავ დიდ ხანს მოგვიწევს ლოდინი და ბრძოლა?
ნეტავ საჭიროა ეს ყველაფერი თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე?
მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება თავისუფლება?
თავისუფლება ხარკს არ იხდის...
ხარკს თავისუფლებისთვის იხდიან...
თავისუფლება ხომ სულის მდგომარეობაა, უსასრულობაა დროსა და სივრცეში. შენს თავისუფლებას ვერავინ აღიარებს, შენ უნდა იგრძნო.
დამოუკიდებლობა მიწაზე მყარად დგომაა, მტკიცე ნაბიჯებით სიარული და თავისუფლებისათვის მზადება.
თავისუფლება ფრენაა...
ფრენას ფრთები ჭირდება..
ფრთები განათლებაა...
“ფრთები, ფრთები გვინდა!”..
გზა დამოუკიდებლობისაკენ განათლებით მიდის.
თავისუფალი ადამიანი განათლების გარეშე არ არსებობს.
არ არსებობს თავისუფალი ქვეყანა თავისუფალი ადამიანების გარეშე.
დამოუკიდებლობა თავისუფლებაა...

თავისუფლება მომავლისაა...
სადღაც შორს, ჰორიზონტზე გაცისკროვნებული საქართველო მოჩანს...
დამოუკიდებელი და თავისუფალი...

ხათუნა ჩიტაძე
ბიბლიოთეკარი
ააიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის
საბიბლიოთეკო გაერთიანება

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

ყოველი ახალი დღე ახლიდან სვამს კითხვას: არის თუ არა საქართველო ნამდვილად ჩვენი?

შეკითხვები: როგორი ქვეყანა გვინდა? რა გზას დავადგეთ: პრო-ამერიკულს, პრო-ევროპულს თუ პრო-რუსულს, თუ საერთოდ ქუჩაში მომრავლებული შავი ჩადრებიდან გამომდინარე, პრო-ირანულ (ოსმალურ) გზას? წლების განმავლობაში ვერ მოვახერხეთ გზის შერჩევა და დღესაც არ გვაქვს ჩამოყალიბებული სახელმწიფოს იდეოლოგია.

გვავიწყდება, რომ ასარჩევად გვაქვს კიდევ ერთი გზა - ქართული. უბრალოდ ქართული გზა, რომელიც გულისხმობს სამყაროსთან თანაარსებობას და არა სამყაროსთან შერწყმას, გათქვეფას, გაქრობას. ამ გზის გავლა არ დაგვამცირებს, არ გაგვთელავს და არ მოგვისპობს სამშობლოს, რომელიც არ არის მხოლოდ ტერიტორიული ერთეული. ყველა ერი იბრძვის თვითდამკვიდრებისათვის, ღირსებისათვის, აზროვნების ინდივიდუალიზმისათვის და ამას ყველა ხერხით (ღია თუ ფარული) სახელმწიფოებრივად ახორციელებს. უფრო გონიერი და გამჭრიახი ერი, ამ სულისკვეთებას თავს ახვევს სხვა ხალხსაც და ამ მეთოდით პრაქტიკულად ისაკუთრებს გზააბნეულთ. ვინ ვართ ჩვენ? გზააბნეულები? დაკარგულები? ხალხი, რომელსაც არ ეცოდინება, სად იცხოვრებს მისი შთამომავლობა? მსოფლიოს დღევანდელი შთაგონებით - ყველაფერი ფულია! ეს პირდაპირ პროპორციულია იმის, რომ ყველაფერი ფულად უნდა ვაქციოთ, ანუ გავყიდოთ. გავიყიდოთ ანუ აღარ ვარსებობდეთ.

და აქ საერთოდ გასაკვირია სიტყვა, რომელიც გვეამაყებოდა 29 წლის წინ - თავისუფლება (1989 წელი, 9აპრილი). დღეს მისი მნიშვნელობა თითქმის ყველა ახალგაზრდისთვის გაუგებარია, სიტყვის აზრი - გაუფასურებული და შინაარს დაკარგული. მის მაგივრად ყველა ქართველის გულში შემოიჭრა დარდი, ტკივილი სამშობლოზე.

ადამიანები, რომლებიც 100 წლის წინ ქმნიდნენ ქართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, სურდათ შეექმნათ ქვეყანა, რომელიც იქნებოდა ევროპული მისწრაფებების, მაგრამ ქართული შინაარსის, სულისკვეთებისა და იდეოლოგიის.

სად ვართ ახლა? რა გამოხატავს, რა საშუალებით გამოიხატება ჩვენი იდენტობა? ქართული იდენტობა? ეროვნული იდენტობა? მკითხველს დაებადება უცნაური შეგრძნება ამ სამი სიტყვის შერწყმის გამო. დიახ. მე ვამბობ: „ქართული ეროვნული იდენტობა“! ჩვენი საფუძველი, ფუძე, რომელზეც უნდა დაშენდეს მომავალი არსებობა! ვინ უნდა გამოხატავდეს მას? ჩვენ! ხოლო ვინ უნდა ახორციელებდეს ამ აზრების კონსოლიდირებას, გაერთიანებას, გაჟღერებას? ტექნოლოგიურად ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება - მასობრივი საიფორმაციო საშუალებები, რომლებიც საინფორმაციო გამოშვებებისა და თოქ-შოუების მეშვეობით დღეს მხოლოდ სენსაციაზე არიან „აწყობილნი“, მხოლოდ ზედაპირულად, იდეოლოგიის გარეშე ასახავენ ერის არსებულ მდგომარეობას. მხოლოდ ზოგჯერ, შემთხვევით „გაიპარება“ სულში ჩამწვდომი პოზიციები და მეორე წუთს იკარგება უსასრულობაში... შემდეგ თავიდან მეორდება და ისევ იხშობა...

რაღაცას ვფხაკურობთ, ვფორთხიალობთ, ვბოდიალობთ და რეალობაში არაფერიც არ ვართ დღეს.

ჩვენი მშობლების და წინაპრების თაობა ცხოვრობს წარსულით. სკოლაში ისწავლება წარსული, საამაყო და დიდებული... მომავალი დახშულია!

ღაღადებენ განათლებაო... ქართული არაო, ევროპული, ამერიკულიო... ანუ, მეორადები ვართ და არაფერი გვივარგა... ტკივილია... დიდი ტკივილი!

ჩვენი დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა დღეს ჰგავს წყალზე მოცურავე ტივს, რომელიც ნებისმიერ ტალღას მიჰყვება, ნებისმიერი სიოს მიმართულებით მიექანება, ვერცერთ მცხუნვარე მზის სხივს ვერ ირიდებს. ტივი, რომელიც ისეთი სათუთია, რომ მისი ამობრუნება და დასასრული ერთია. ქვეყანა, რომელიც დატივტივებს და არაა მყარ ნიადაგზე, არასაიმედოა. არასაიმედოა ყველასთვის, ვინც აქ ცხოვრობს და ამიტომ არავის სურს „ტივზე ცხოვრება“ და გარბიან... შორს, სადაც ორივე ფეხით დადგები და სხვასაც დააყენებ ფეხზე. უცხო ქვეყნებში ტანჯვა, მონობა, დარდი, მონატრება, ნოსტალგია უფრო რეალურია არსებობისთვის, ვიდრე მსახიობობა, პედაგოგობა და ნებისმიერი კარგი პროფესია საკუთარ ქვეყანაში. ტკივილია... დიდი ტკივილი!

ახლა ვიტყვით: ჩვენი წარსული დიდებაო, ჩვენი ფესვები, ღვთისმშობლის წილხვედრი სამშობლოვო...

არა, ბატონო, არა...!

დაიდოს გეგმა!

დაიდოს განვითარების პერსპექტივა!

დაიდოს მომავლის ხედვა!

დაიდოს რეალური ანალიზის ტრენდი!

დაიდოს გული!

დაიდოს ტვინი!

დაიდოს აზრი!

დაიდოს ერთობა!

დაიდოს ჩემი ქვეყნის მომავალი!

ქართველების მომავალი!

ჩემი მომავალი!

ვის გაქვთ უფლება იყოთ გულგრილნი? ვის გაქვთ უფლება „გეკიდოთ“? ვინ ხართ, ვისაც საკუთარი შვილების სამშობლოს მომავალი გაყიდეთ? ფული გგონიათ თქვენი ჯიში, თქვენი შვილების ჯიში? თქვენც ისევე გადაშენდებით, როგორც ყველაზე ღარიბი, ღატაკი და უმომავლოდ განწირული ქართველთა 80 %.

მათხოვრად ქცეული ერი.

გათიშული დედა-შვილობა. მცირეწლოვან ასაკშივე მიტოვებული ბავშვები... უშვილებოდ და უოჯახოდ დარჩენილი ფსიქიკა შერყეული დედები... როგორია დედის გული, რომელიც საკუთარი შვილის ნაცვლად სხვის შვილს ზრდის? როგორია ქალის გული, რომელიც საკუთარი მშობლის ნაცვლად სხვის მშობელს უვლის? დედა-ამანათები და დედა-გზავნილები... ხოლო ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ დაბრუნებას აზრი დაეკარგა!

აზრი დაეკარგა საკუთარ ოჯახში ურთიერთობებს! გაიცრიცა და გაუფერულდა სიხარული, რომელიც სიმწრით მოპოვებულმა ფულმა მოიტანა. დიდი გაუცხოვების ჟამია, ყველაზე დიდი სიყვარულის - დედა- შვილობის გაუცხოვების ჟამი!

მუქთახორებად ქცეული და სხვის კმაყოფაზე მყოფი, წარსულში ამაყი ქართველი კაცები, რომლებმაც ყველაფერთან ერთად მორალური სახეც დაკარგეს... დაშლილი, გაცამტვერებული ოჯახები, რომელიც ქვეყნის ბაზისია... საინტერესოა დაფიქრება, მათი შემყურე შვილები, როცა ახალი თაობის ჯერი დადგება, როგორ ოჯახებს შექმნიან, ვის გაზრდიან ეს ბავშვები თავად, როგორი შინაარსით წარმართავენ საკუთარ და საზოგადოებრივ ცხოვრებას?!

უკანასკნელ 25 წლიწადში ერის დემოგრაფიული და სულიერი მდგომარეობა განახევრდა! ვეღარ ვპოულობთ ძალას, რომ თვალები გავახილოთ, რომ ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთ, რომ ისევ სიყვარულით ვიარსებოთ! ეს მანამ არ მოხდება, სანამ დედა არ დაუბრუნდება შვილს და არ მოიპოვებს ეკონომიკურ და სულიერ სიმშვიდეს! ეს არ მოხდება, სანამ დედა არ შეხედავს თავის პატარა შვილს ყოველ დილით და არ მოესიყვარულება მას უშუალო კონტაქტით, თვალებში ჩახედვით, სანამ დედის თბილი გულით გამზადებულ საკვებს არ მიირთმევს და დედის ღიმილი არ გაათბობს... მაშინ გაქრება აგრესია, რომელიც მძვინვარებს, მაშინ მოვა სიმშვიდე, მაშინ დაბრუნდება სიყვარული საქართველოში.

იქნებ და არ ვარგივართ? იქნებ არ ვიმსახურებთ სიყვარულს? იქნება არ ვიმსახურებთ შვილებს? არ ვიმსახურებთ დედებს? არ ვიმსახურებთ ძლიერ მამებს? არ ვიმსახურებთ სამშობლოს? არ ვიმსახურებთ საკუთარ ღირსებას?

ჩვენი მოხუცები განსაკუთრებით უსუსურები, ყველასგან მიტოვებულები, დაჩაგრულები... სახელმწიფოსთვის ე. წ. სტატისტიკური პენსიონერები, რომელთაც სულ შიათ და სულ სცივათ... აქვთ არასრულფასოვანი სიბერე, როცა საკუთარი შვილის და შვილიშვილის სიყვარულის, სითბოს და ზრუნვის გარეშე ჩადიან სამარეში... საკუთარი არსებობის დასასრულს ჯოჯოხეთად ხედავენ! საკუთარი მოხუცები დაგვავიწყდა და სხვისას დავუთმობთ ადგილს საზოგადოებრივ ტრანსპორტში? ვინ ვართ ჩვენ? უსიყვარულოდ მოსიარულენი... და ეს ნორმად დამკვიდრდა!

ყველას კარგად გვესმის მოპოვებული ვიზა-ლიბერალიზაციის სიკეთეები, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა პირობა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს სიმწრით ემიგრირებული ქართველების მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია. გამოდის, რომ საკუთარი ხალხი არც აქ გვინდა და ახლა უკვე აღარც უცხო მიწაზე! მათ საზღვარგარეთ არსებობისთვის ხელი არ უნდა შევუშალოთ, პირიქით უნდა შევუწყოთ, - ეს არის ქვეყნის ხელისუფლების დიპლომატიის ერთ-ერთი ძირითადი აზრი! საკუთარ ხალხს ჯერ სამშობლოში უნდა მიხედო, ვისაც შრომა უნდა ხელი შეუწყო, ვისაც სწავლა უნდა, ისე ასწავლო, რომ წლები ამაოებაში არ დაკარგოს და ამის შემდეგ გადაწყვიტო, დაიჭირო თუ არა დასაჭერი, ანდა შეუწყო თუ არა ხელი უცხოელ სამართალდამცველებს

შენი მოქალაქეების დაჭერაში. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება თუ დავიკისრეთ, საკუთარი ქვეყნის და ხალხის წინაშე დაკისრებული ვალდებულებები რატომ მოვიხსენით?

მინდა გავიხსენო ამბავი, რომელიც დედამ მოყვა წლების წინ. საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აშშ-ში ვიზიტისას შეხვდა ქართველ სტუდენტებს, სადაც სიტყვით მიმართვისას დასძინა: „ ყველა დროში, ყველა თანამდებობაზე პირველ რიგში ქართულ საქმეს ვაკეთებდი. არ ვიცი ეს როგორ შეფასდება შემდეგი თაობების მიერ, მაგრამ ეს გავაკეთე ისე, რომ კარგად არცერთი უცხო ენა არ ვიცოდი და დღესაც არ ვიცი. მე ვიცი დანამდვილებით, რომ დადგება დრო, როდესაც ყველას ეცოდინება ჩვენი ენა, ჩვენი ქართული ენა და ჩვენ, თქვენ, ქართველები ვიამაყებთ!“ ეს არის მიახლოებული ციტატა დედანისა ძალიან ლამაზი სიტყვებით და ემოციით! მანამდე კი თანამედროვე პოეტის, რუსლან მიქაბერიძის ლექსი ვნახე ფბ-ში და შესაძლოა მხატვრული ღირებულება არ აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, სრულად პასუხობს დღევანდელობას. ორი მონაკვეთი ლექსიდან:

ვისია ტურფა ქვეყანა,
ეს მიწა-წყალი ვისია?
იქნება მართლა არ ვიცით,
იქნება მართლა სხვისია?...
...არ მოსათმენის მოთმენა
ძალიან საძრახისია,
ვისია ეს საქართველო?
უნდა გაირკვეს, ვისია
მისთვის სიკვდილი, კაცებო,
სიცოცხლის დასაწყისია!

ელისაბედ ზანდუკელი
მკითხველი
ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის „ალ. როინაშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანება“
ქ. დუშეთის მთავარი ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ აწმყოს ერთდროულად უწევს ორ თაობასთან მკლავგაყრილს წინსვლა. დროში განსხვავებული, მაგრამ ისტორიულად და ბუნებრივად დაუშლელი ბირთვი ერთნაირად როდი აზროვნებს და აფასებს მოვლენებს. წარსულის გაუფრთხილებლობისთვისაც და მყარი ფუნდამენტის ჩაუყრელობისთვის ხშირად ერთი და იგივე თაობა ისჯება, თუმცა ამ სადამსჯელო პროცესს ეტაპობრივად სამივე მათგანი გადის. სწორედ ამაში იკარგება ყველაზე დიდი დრო, იხარჯება ენერგია და ემოცია მძლავრობს გონიერებაზე. ენერგიულობასა და ემოციურობას კი, სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ, არასოდეს უჩიოდა ქართველი ერი, ოღონდ ეგაა, ხშირად მათი გამოვლენის დრო და ადგილი გვეშლებოდა. რაც არ უნდა ყოფილიყო, მიზანი ერთი გვამოძრავებდა - თავისუფლება. მიზანთან მისასვლელი გზა და საშუალება სხვადასხვა იყო. საუკეთესო და უსაფრთხო გზის ძიებაში ერთმანეთის ნდობაც დაგვიკარგავს, ყისტიც მოგვიდია და დაღალულები ტკბილადმოუბარ მესამე ძალას ადვილად მოვუთაფლივართ. ამ ყველაფერთან ერთად, გონზე მოსვლა, საკუთარ შეცდომებზე სწავლა და აღებული გზიდან არგადახვევა გენეტიკურად მოგვდგამდა. საზოგადოდ თუ არა, საკუთარ თავთან, მესაიდუმლესთან ან სიკვდილის ლანდთან მაინც შეგვეძლო ჩვენი სისუსტეების აღიარება, რომ ამქვეყნად მრავალი ცოდვა მიგვიძღვის და სხვის ფანდურზეც გვიყვარს ბუქნაობა, რომ ვაჟკაცობა და რიტორობა სიმთვრალეში კარგად გამოგვდის. სინანული, აღიარება, პატიება, შერიგება შეგვიძლია და, აქედან გამომდინარე, მორალური, ზნეობრივი, იურიდიული უფლება გვაქვს ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო და თავისუფალი პოლიტიკური ნების გამტარებელნი. იმ პოლიტიკური ნებისა, რომელიც ქართულ სულსა და სხეულს იქნება მორგებული.

მართალია, პატარა ერი ვართ, მცირერიცხოვანი, მაგრამ სიმცირე ნაკლად კი არ უნდა ვაქციოთ, არამედ მოტივაციად, შემართებად და იმის არგუმენტად, რომ ღირსებასა და თავისუფლებას რაოდენობა არ განსაზღვრავს.

ტერიტორიული სიდიდე, დაჩაგრულის დახმარება, თავისუფლების სწორი გაგება, ტოლერანტობა, უფლებების (თავისი და სხვისი) დაურღვევლობა არახალია ქართული საზოგადოებისთვის.

დრო ყველაფერს საკუთარ სახელს არქმევს, ადგილს უძებნის, ემოციას აცხრობს, გონებას ამშვიდებს, მაგრამ მას უკან ვერ დააბრუნებ, სწორედ ამიტომ, ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისა და ანალიზის საშუალებაღა გვრჩება. ჩვენ ის ერი ვართ, რომელიც საკუთარ ნამოქმედარს დღის, კვირის, სეზონის, ოთხწლიანი და ხუთწლიანი მოღვაწეობის ბოლოს საკმაოდ კრიტიკულად აფასებს და მართალიც არის. შეფასება, ანალიზი და ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელი და საჭირო პროცესია. თუნდაც „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპი საკმარისი არგუმენტია საიმისოდ, რომ ნამოქმედარის შეფასებას თავი არ ავარიდოთ.

ერთი ასწლეული ცოტა დრო არ არის. ხშირად ერთი თარიღიც საკმარისია იმისთვის, რომ მან მთელი საუკუნის ისტორია განაპირობოს და, პი-

რიქით, ამ თარიღამდე მისვლას შეიძლება იგივე დრო დასჭირდეს.

1918 წლის 26 მაისი ის თარიღია, რომელსაც მთელი რიგი მოვლენები უსწრებდა წინ. ქართველი კაცის ისტორიული ყოფიდან და ბუნებიდან გამომდინარე ეს თარიღი ადრე თუ გვიან უნდა დამდგარიყო. XX საუკუნე ქართული საზოგადოებისთვის ისტორიული ფაქტების სწრაფი ჩანაცვლებით გამოირჩევა. ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი სასწორზე იდო. 1918 წლის თებერვალში საქმე ეხებოდა საქართველოს, როგორც რეგიონის, რუსეთიდან გამოყოფას და არა მის დამოუკიდებლობას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ასაშენებლად საჭირო გახდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა. დაშლამ ცხადყო თითოეული მასში შემავალი რესპუბლიკის პოლიტიკური ორიენტაცია. საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ მფარველად გერმანია შეარჩია. გერმანელი გენერალი ქართველებს გერმანიის იმპერიის მთავრობასთან დაცვის თაობაზე შუამდგომლობას იმ პირობით სთავაზობდა, თუკი ქართველები დამოუკიდებლობას გამოაცხადებდნენ.

აშკარაა, რომ თავისი დიდგორი კიდევ ერთხელ საკუთარი ძალებით უნდა მოეგო ქვეყანას და მერე კი მფარველობაზე თანახმა იყვნენ. არადა, ჩემი აზრით, გვერდში დგომა და დაცვა სწორედ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იყო საჭირო. პოლიტიკურ ბედისწერად მოგვდგამს ქართველებს ორი დიდი იმპერიის ინტერესის ობიექტად ყოფნა. დღევანდელი გადასახედიდან მაშინდელი არჩევანი გამართლებულია, რადგან ამ შემთხვევაში შანსი ბევრად მომგებიანი და სამომავლო ჩანდა. რუსეთის იმპერიის მფარველობაში ხომ დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმად ვერ ჩამოვყალიბდებოდით. უფრო მეტიც, საამაყოდ მიმაჩნია რისკზე წასვლა კეთილდღეობისა და თავისუფლების მოლოდინში. საქართველოს ისტორიაში ეს იყო უპრეცენდენტო შემთხვევა, რადგან საქართველოს ადგილი უნდა დაემკვიდრებინა, როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკას და არა ფეოდალურ სახელმწიფოს. ევროპული კურსი არახალი იყო ქართული საზოგადოებისთის და ამიტომაც უჩვეულოც არაფერი იყო იმაში, რომ მოკავშირეს გერმანიაში ეძებდა. ამჯერადაც ქართლის ბედი წყდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ცოტა ადრე ამის გაკეთება, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად ერთ მხცოვან ადამიანს უწევდა, რომელსაც თავს ზემოთ ძალა აღარ შესწევდა უკეთესის გასაკეთებლად. ახლა კი ქართლის ბედს, შეიძლება ითქვას, საზოგადოება წყვეტდა და არა რომელიმე პიროვნება. გაუნელებელმა სურვილმა, მონდომებამ და პოლიტიკურმა ფონმა 1918 წლის 26 მაისი განაპირობა. გოლოვინის (ამჟამინდელი რუსთაველის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ნაშუადღევს, 4 საათსა და 50 წუთზე „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ იქნა წაკითხული. ამჟამად, ქართველი ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელი, ხოლო ქვეყანა სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. საერთაშორისო ბრძოლებში საქართველო მუდმივად ნეიტრალურ სახელმწიფოდ რჩებოდა. აი, ეს პუნქტი, ბრძოლებში ნეიტრალური პოზიციისა, ძალზე მნიშვნელოვან, ჭკვიანურ სამომავლო პუნქტად მიმაჩნია. ეს პუნქტი, ვფიქრობ, ერის მოღონიერებისა და რიცხობრივი სიმრავლისთვის წინ გადადგმული

ნაბიჯი იყო, რამეთუ მამელუქობა პატარა ერისთვის თვითმკვლელობას უტოლდება. ამ პუნქტით მაშინდელმა ეროვნულმა საბჭომ, იგივე პარლამენტმა, მუდმივი პრობლემის, „მუდამ ჩვენს მცირე რიცხოვნობას მოვსტიროდით," მოგვარებას ჩაუყარა საფუძველი.

არანაკლებ მისასალმებელი და გაუხუნარია შემდეგი პუნქტები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, მიუხედავად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისთვის.

ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე სახელმწიფოსთვის, რომელმაც გეზი ევროპისკენ აიღო, მსგავსი საკითხების გათვალისწინება შორს მიმავალი მიზნებისთვის გადადგმული ნაბიჯი იყო. ტოლერანტობა, ეთნიკური ნიშნით განურჩევლობა, თავისუფალი საარსებო გარემო მომავალში ერს ღირსეულ ევროპულ ყაიდაზე ჩამოყალიბებაში შეუწყობდა ხელს.

ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო, მთავრობა ანგარიშვალდებული იყო უმაღლესი ორგანოს, პარლამენტის წინაშე. მთავრობის კოალიციურობა, სახელმწიფო საზღვრების დადგენა, მშობლიური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, ეროვნული გვარდიისა და რეგულარული არმიის ჩამოყალიბება, კონსტიტუციის მიღება უახლესი წარსულის ფონზე, მიმაჩნია, რომ თამამი და პროგრესული ნაბიჯია ახალბედა სუვერენული ერისთვის. თუმცა ყველაფერი, რა თქმა უნდა, რიგზე არ იყო. როგორც ჩანს, ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის სისუსტე მემკვიდრეობით მოგვდგამს, რასაც ოპოზიციური ძალები აქტიურად იყენებდნენ. დღევანდელი გადასახედიდან მაშინდელი საზოგადოების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო ომის გავრცელების საშიშროება თავიდან იქნა აცილებული, წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ უფრო შემცირდებოდა მანძილი 1921 წლის 25 თებერვლამდე. ეს ის საშინელი სამოქალაქო ომია, რომლის გამოწვევას 90-იანი წლების საქართველომ ვეღარ გაუძლო და საკონტროლო გასროლაც საკუთარი ხელით განგვახორციელებინა.

მაშინდელ ეკონომიკურ აღმშენებლობაში, კერძოდ, საქართველოს თავდაცვითი ძლიერების ორგანიზაციის საქმეში, პრივილეგირებული მდგომარეობა გერმანიას უნდა მინიჭებოდა, ურთიერთშეთანხმებისა და კონვენციების საფუძველზე. გამოიკვეთა გერმანიის როლი საქართველოს საერთაშორისო აღიარების საქმეში. შედგენილ იქნა განსაკუთრებული მოხსენება საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მაშინდელი საქართველო ზრუნავდა და მოქმედებდა იმისთვის, რომ მოეგვარებინა ეკონომიკური პრობლემები.

გერმანიასთან ურთიერთობით ქვეყანას შესაძლოა მისცემოდა ეკონომიკური გაფურჩქვნის შანსი და დამოუკიდებლობის გარანტია, მაგრამ პატარა ერის ინტერესებს ოფიციალურად ნაკლებად ითვალისწინებდნენ ოდითგანვე დიდი ქვეყნები.

ასი წლის წინ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მხოლოდ პოლიტიკური მიმართულებით არ მიმდინარეობდა. ნიადაგი კულტურულ სფეროში სათანადოდ მზადდებოდა და ამის უტყუარი დასტურია 1918 წლის 26 იანვარს ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება. სიმბოლურია, რომ ეს თარიღი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დაემთხვა. ამ უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ რამდენიმე დღით ადრე დაასწრო ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ეს აუცილებელიც იყო, რადგან უნივერსიტეტზე მტკიცე საიმედო საყრდენს ახალშობილი სუვერენული სახელმწიფო რას იპოვიდა? განათლების ამ საუკუნოვანმა კერამ მყარი საფუძველი ჩაუყარა 1918 წლის 26 მაისს. ზუსტად ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ნებისმიერ ეპოქაში განათლების ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის აუცილებლობას. საღად მოაზროვნე, წიგნიერი, ტრადიციულ და ევროპულ ღირებულებებს ნაზიარები თაობა ქმნის პოლიტიკურ ამინდს და პირიქით, პოლიტიკით ნაკარნახევი განათლების სფერო ფუნდამენტ მორყეულია. ხელოვნურობა და ფასადური წიგნიერება თვალშისაცემია. სტუდენტობა ქვეყნის მთავარი არტერიაა და ის ერთდროული სუნთქვის საშუალებას აძლევს კულტურასა და პოლიტიკას. დღეს, როცა საუკუნის წინანდელ მოვლენებს ვაფასებთ, მაშინდელი ქართული საზოგადოება ორმაგად მაღლდება ჩემს ცნობიერებაში, რადგან საქვეყნო საქმეში ძირითადი ბირთვი შეიკრა და გეზი თავისუფალი განათლებიდან თავისუფალი პოლიტიკისკენ აიღო. გამორიცხული არ არის ის ფაქტი, რომ, შესაძლოა, ქვეყანა გრძნობდა ამ ბედნიერების ხანმოკლეობას, მაგრამ ამის შიშით მთავარ მიზანზე ხელი არ აუღია. პირიქით, ისტორიის უკუღმართობას თავისუფლების სამი წელი მოსტაცა. პოლიტიკური ბედნიერება თავის კვალს აჩნევს ერის ცხოვრებას. მართლაც, კვალი იმდენად საფუძვლიანად და ღრმად აღმოჩნდა გავლებული, რომ სამოცდაათწლიანმა დიადი სამყაროს მშენებლობამაც ვერ წაშალა. ამიტომაც, შეჯამებისას აღსანიშნავი და მისათითებელია ის ფაქტები, რომლებიც დადებით შეფასებას იმსახურებს. მუდმივად შეცდომებზე საუბარი საზოგადოების მოტივაციას აგდებს, ჯანსაღსა და მავნე კრიტიკას ერთმანეთში ურევს და, ყველაზე მთავარი, დროს გვართმევს. მაშინ ხომ შეიძლებოდა საზოგადოების სიზარმაცეს ის სამი წელიწადი მხოლოდ "ბჭობაში" გაეტარებინა და პეტრეს მოსვლამდე პავლესთვის ტყავი გაეძროთ. მადლობა მაშინდელ ქართულ საზოგადოებას, ტყავის გაძრომის სამი წლით დაგვიანებისთვის. სწორედ იმ სამწლიანმა გამოცდილებამ ასაზრდოვა და განაპირობა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები.

ქართულ კულტურულ ცხოვრებას იმ პერიოდისთვის თავისუფალი სუნთქვა ეტყობა. პოეზიაში „ცისფერყანწელების" სახით. მუსიკალურ ცხოვრებაში თბილისის საოპერო დასის სცენაზე წარმოდგენილ იქნა პირველი ქართული ოპერა „ქრისტინე". პირველი მხატვრული ფილმიც დამოუკიდებელი საქართველოს კულტურის მონაპოვარია. ქართულმა საზოგადოებამ, როგორც კი ხელსაყრელი მომენტი იპოვა, ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, იყოჩაღა, საერთო საქმე პირადულ დონეზე აიყვანა და 1917 წლის რუსეთის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგი,

იმპერიის ნგრევა, ერის სასიკეთოდ გამოიყენა. სწრაფი მოქმედებითა და აზროვნებით, თანადგომოთა და შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, ბრძოლითაც კი მაქსიმუმი გააკეთა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოსაყალიბებლად. მაშინდელი საზოგადოების მორალური სიმტკიცე და უშიშარი პოლიტიკური განწყობა, მე პირადად, გმირობის ტოლფასად მიმაჩნია. დიდი იმპერიის არტახებში ყოფნისას აზროვნება, მისწრაფება, იდეა ხელშეუხებელ სამყაროში - სულში - შეინახა ქართველმა ხალხმა და არა ბორძიკით, არა ხოხვით, არამედ შემართებით მოპოვებული გერბით, დროშითა და ჰიმნით გამარჯვება იზეიმა. ხანმოკლე დამოუკიდებლობის ჟამს ნეტარებასა და თვითტკბობას არ მისცემია. მას უყურადღებოდ არ დარჩენია ჯანსაღი სახელმწიფო ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები. კანონი ენის, საქართველოს მოქალაქეობისა თუ რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ. სასამართლო სისტემის რეფორმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში კიდევ ერთი საყრდენი კედელი იყო. ადგილობრივი მმართველობის, დღეს უკვე გამოცდილი სისტემა სათავეს იმ პერიოდიდან იღებს. რა თქმა უნდა, ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ფულადი საფინანსო სისტემის შექმნა. გამოიცა დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოშვების შესახებ. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკი. 1918 წლის სექტემბერში თბილისის უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა. ეს ფაქტი კი უპირობოდ უნდა ჩაითვალოს საუკუნის მონაპოვრად. კავკასიის მუზეუმის ბაზაზე დაარსდა საქართველოს მუზეუმი. შეიქმნა საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა. კიდევ ერთხელ აღნიშვნის ღირსია სწორი ეროვნული პოლიტიკის წარმოება. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს უფლება მიეცათ ეროვნულ საბჭოში აერჩიათ წარმომადგენელი. ქართული პოლიტიკური მოღვაწეობის გვირგვინი 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული კონსტიტუცია გახლდათ.

1918-1921 წლებში მოღვაწე ქართული საზოგადოება სწრაფად ითვალისწინებდა და იყენებდა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული რესპუბლიკების გამოცდილებას და კონსტიტუციაც სწორედ ამ გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავდა. მოკლედ, პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკა არ იყო ნაჭუჭში ჩაკეტილი, სასოწარკვეთილი და მარტოდენ გულმოწყალეთა დახმარების იმედზე, არამედ გონიერებით ნაკარნახევი საქმე შედეგამდე გადიოდა და არჩევანი, გეზი ევროპისკენ, გამართლებული აღმოჩნდა. ამავე კონსტიტუციით აფხაზეთს, აჭარას, საინგილოს, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილებს, ავტონომიური მმართველობა მიენიჭათ. მართალია, კონსტიტუციის დამტკიცებიდან წამზომი ჩართული იყო მისი პრაქტიკული არამოქმედებისთვის, მიუხედავად ამისა, ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. სწორედ ამ კონსტიტუციამ მოგვცა შემდგომში იურიდიული საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა. სულაც არ არის გასაკვირი ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის ისეთი გამოწვევების

წინაშე აღმოჩენა, როგორიც სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სირთულეა. მიზანი ასეთი იყო, სახელმწიფო სექტორების თანაბარი განვითარება, მაგრამ გაზრდილი ფასები და დაბალი ხელფასები ეკონომიკურ ვითარებას ამწვავებდა. თავის სირთულეებთან ერთად ეს პერიოდი, თანამედროვე დამოუკიდებელი რესპუბლიკის მშენებლობის გზაზე, უფრო მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ სამი წელიწადი. „მაგრამ ხანგძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს მტრისას მისი გამოცანა." ასე იყო მოზარდი რესპუბლიკის შემთხვევაშიც. დიდხანს არ ეწერა განვითარებისთვის ფუსფუსი ქართულ საზოგადოებას. 1921 წლის 12 თებერვალს დაწყებული საომარი ოპერაციები საქართველოსა და რუსეთს შორის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობით დასრულდა.

ნებისმიერი ისტორიული მოვლენა განსჯისა და კრიტიკის ობიექტი ხდება. დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეზე მე, როგორც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე ჩემი ქვეყნისა, კრიტიკულად ვერ შევაფასებ ჩემი წინაპრების ქმედებას. საუკუნის შემდეგ მოკრძალებული მადლიერება მათ ჩემგან, რადგან შესაძლო მომენტი ხელიდან არ გაუშვეს, საკუთარი და ოჯახების სიცოცხლის რისკის ფასად. არც ისტორიკოსისა და არც პოლიტიკოსის პოზიციიდან არ ძალმიძს ამ მოვლენის განხილვა, რასაც 1918-1921 წლები ჰქვია. შეცდომები? შეცდომებზე მაშინ შეიძლებოდა საუბარი, თუკი იმ სამ წელიწადს სჯა-ბაასში გაატარებდნენ და ხანმოკლე ბედნიერების შესაძლებლობას წაართმევდნენ ერსაც და საკუთარ თავსაც. „უვალი გზის" გაკვალვა დიდი საქმეა. მოძმესთვის სიძნელის გაადვილებამ, თუნდაც იმან, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უმძიმესი სამხედრო და პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, კაპიტულაციაზე არ დათანხმდა, სამოცდაათწლიანი პაუზის მერე ქართველი ერის ნების აღსრულება გამოიწვია.

მტკივნეული იყო ქართული სულისა და სხეულისთვის 1921 წლის 25 თებერვალი. „მაინც დავმარცხდებით" პრინციპით არ უხელმძღვანელიათ და ახალგაზრდები უყოყმანოდ ეწირებოდნენ ახალგაზრდა რესპუბლიკას. ტკბილეულს მონატრებულნი, თბილისის მისადგომებთან, თოთო ბავშვივით უფრთხილდებოდნენ ქვეყნის სუვერენიტეტს. მაგრამ „წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით შემოდიოდა სიკვდილი ცელით". სისხლისა და მე-11 არმიის ფერების თანხვედრა შეუსაბამო ეჩვენებოდა თვით ბუნებასაც. ამოტომაც, ქართული სხეულიდან დაღვრილ სიხასხასეს თოვლი ათეთრებდა. ქართულ ზეცას გაშავების საშუალება არ ჰქონდა - სითეთრე ეშვებოდა ციდან. ისტორიულად მნიშვნელოვანი ეპოქის გზაგასაყარზე უნებლიედ აღმოჩენილი მეკურტანე იოსები ვერ გაერკვა, თუ რა ხდებოდა მის თავს. სწორედ ამ გაურკვევლობით, მოჩვენებითი ბედნიერებით, თითქოსდა საკუთარი კერის პოვნის ილუზიით უნდა ეცხოვრა სამწლიანი სუვერენიტეტის მემკვიდრე ქართველობას სხვის ჭერქვეშ. ვერ იპოვა სიმშვიდე დიდმა იოსებმა იმაში, რაც მას არ ეკუთვნოდა. 70-75 წელიწადი ვერ იგუა ქართულმა გენმა ის, რაც მისეული არ იყო.

სუვერენიტეტი სულში აქვს ქართველებს. ამიტომაც, ყოველთვის უმკ-

ლავდება გამოწვევას. უფრო მეტიც, მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებული მრავალმხრივი გამოწვევა მოტივაციად იქცა მაშინდელი საქართველოსთვის. შეჯამება-შეფასება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ამას კი კამათამდე მივყავართ. ჭეშმარიტებაც კამათის ნაყოფია. დღეს, დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეზე, ვფიქრობ, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეების ქმედებაში კრიტიკის ძიების საჭიროება არ არის. საბოლოოდ, უნდა ითქვას, 21-ე საუკუნის საქართველოს დამოუკიდებლობა მაშინდელი თავგანწირვის მონაპოვარია. დღეს უკვე ქართული სუვერენიტეტი მეტი გამოწვევის წინაშე დგას. ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირე, თავისუფლების თითქოსდა შეზღუდვის შეგრძნება, ემიგრაცია, სხვის ომებში დაღვრილი ქართული სისხლი, ყველაფერი ეს პრობლემად ქცეული გამოწვევაა. საბედნიეროდ, საიმისოდ, რომ შევძლოთ გამოწვევაზე ადეკვატური რეაგირება, გვაქვს ისტორიული, პოლიტიკური გამოცდილება და შესაძლებლობა.

დაბოლოს, „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა," რადგან დამოუკიდებლობიდან სწორადაღქმულ თავისუფლებამდე მიმავალი გზა შეცდომების გათვალისწინებასა და გამოცდილებაზე გადის.

ნონა ჩალიგავა
მკითხველი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ
ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნათქვამი იყო: 1917 წლის რევოლუცია ისე განვითარდა რომ სამხრეთის ფრონტი დაიშალა. რუსეთის არმიამ დატოვა ამიერკავკასია. პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, მაგრამ შინა პოლიტიკური კრიზისისა და გარეშე სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა კავშირი დაირღვა; ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა. ასეთ პირობებში ქართველი ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას.

ამის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო აცხადებს: „1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვენერულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა; 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა; 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს; 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს; 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროვნებას; 7) დამფუძვნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე.“

... 1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გერმანელმა კნორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ასი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართლებლის ხელში გადადიოდა. იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ქართველები არ შეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და წარსულის სევდით განმსჭვალულებმა, მწერლობაში ჰპოვეს ნავსაყუდელი. ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი

წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, - ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყველანაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯი დარჩა.

მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავლიაშვილი წერდა: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვსმენია ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადგვეღო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!..“

1918 წლის 26 მაისს ქართველი ხალხის წარმომადგენლებისაგან არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ამბავს ქუჩაში გამოსული ხალხი აღფრთოვანებით შეეგება, ეკლესიებში არ წყდებოდა ზარების რეკვა. ამაზე ხომ საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ ქართველები.

მიუხედავად იმისა რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ არასრული სამი წელი გასტანა, ქვეყნისთვის სასიკეთო მრავალი საქმე გაკეთდა: შეიქმნა ეროვნული გვარდია, გლეხებს მიწები დაურიგდათ, დაიწყო ეკონომიკის განვითარება, დაარსდა საქართველოს მუზეუმი, გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, მოსწავლეებისთვის დაიწერა ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.

1921 წლის თებერვალში დამფუძნებელმა კრებამ, პარლამენტმა მიიღო საქართველოს პირველი დემოკრატიული კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ქართული იყო. გამოცხადდა, რომ პირველდაწყებითი სწავლა ყველასთვის უფასო და სავალდებულო იქნებოდა.

1921 წლის თებერვალში წითელი არმია საქართველოსკენ დაიძრა, ქართული საჯარისო ნაწილები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს. თბილისის სამხედრო სასწავლებლის სტუდენტები - იუნ-

კერები კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ ცხარე ბრძოლაში ერთიანად შეაკვდნენ მტერს. 25 თებერვალს კი წითელი არმია თბილისში შემოვიდა, ქართველი ბოლშევიკის ს. ორჯონიკიძის მეთაურობით. აღმაშფოთებელია ის ფაქტი რომ ქართველმავე გაყიდა საქართველო და რუსეთს ჩააბარა.

საქართველომ კი, მხოლოდ 70 წლის შემდეგ შეძლო დამოუკიდებლობის აღდგენა.

1989 წელს ქუჩაში გამოვიდა მთელი საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, რასაც 9 აპრილის ტრაგედია მოჰყვა. რუსეთის ჯარმა გათელა უდანაშაულო, უიარაღო მომიტინგეები, იმის იმედით, რომ ჩაახშობდა მათში ქვეყნის თავისუფლებისადმი სიყვარულს, მაგრამ ამ ტრაგედიამ უფრო გააერთიანა ქართველი ხალხი და ეროვნული მოძრაობა უფრო გაძლიერდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იძულებული გახდა, 1921 წლის 25 თებერვალს გასაბჭოების აქტი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციად ეცნო, მოგვიანებით კი უზენაესი საბჭოს არჩევნებიც დაენიშნა.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვა პარტიამ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით.

1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ამავე წლის 26 მაისს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია.

წელს 2018 წლის 26 მაისს რესპუბლიკის 100 წელი შესრულდა. ამ ხნის მანძილზე უამრავი სასიკეთო რამ გაკეთდა ქვეყნისთვის. სრულიად საქართველომ ღირსეულად აღნიშნა ეს თარიღი.

აქვე მოვიშველიებ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სიტყვებს: „ჩვენ მართლაც შევძელით ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც ნამდვილად დამოუკიდებელია და თავის პოლიტიკას, თავის განვითარებას ერთადერთი სწორი წყაროთი, ხალხის ნებით და არა რაიმე სხვა მიზეზით განაპირობებს. მაგრამ გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ ჯერ კიდევ გასავლელია. ქართული სახელმწიფო კი მტკიცედ დგას ამ გზაზე“.

იმედი მაქვს წარმატებით გავივლით ევროპისკენ მიმავალ ყველა გზას და ღირსეულად დავიმკვიდრებთ ადგილს ევროკავშირის ქვეყნებს შორის.

ქეთი მინასოვი
მკითხველი
სოფელ ნანიანის ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

საქართველოს დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ ბრძოლის გზა ითვლის 100 წელიწადს... არც თუ ისე ლამაზად გასახსენებელს, პირიქით სისხლიანს, მძიმეს, რუსეთის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ უძრაობის ხანას, გამოღვიძებულ და ერთ მუშტად შეკრულ ერსა და ბერს... ხვალის უკეთესის იმედად დარჩენილ ტერიტორიებ დაკარგულ სამშობლოს... და რას ჰყვება ისტორია:

დღეს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან ასი წელი შესრულდა, ჩნდება კითხვა - გააჩნდა თუ არა საქართველოს რესპუბლიკას დამოუკიდებლად არსებობის შინაგანი რეზერვი? რომ არა რუსეთის ოკუპაცია, შეძლებდა თუ არა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას? რა თქმა უნდა შინაგანი რეზერვი უხვად იყო, მიუხედავად იმისა რომ დამოუკიდებლობამ სულ რაღაც ორი წელი და შვიდი თვე გასტანა. ამ მცირე პერიოდში ქვეყანაში განხორციელდა მთელი რიგი სისტემური რეფორმები, როგორც ეკონომიკაში ასევე კულტურასა და განათლებაში. ყველაფერი მხოლოდ შინაგანი რესურსის ხარჯზე. რაც მთავარია 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელიც თამამედროვე, ყველაზე პრეტენზიულ კონსტიტუციასაც კი ტოლს არ უდებდა. მიუხედავად უამრავი შინაგანი წინააღმდეგობისა, ეს სირთულეები დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დასასრულის მიზეზი ვერ გახდებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცალსახად რუსთა ოკუპაციის მსხვერპლი აღმოჩნდა.

ასი წლის განმავლობაში საქართველომ რა არ გადაიტანა, რამდენი სისხლი დაიღვარა მის მიწა-წყალზე. ისტორიამ რამდენი სისხლიანი დღე შემოუნახა შთამომავლობას: მეორე მსოფლიო ომში რუსეთის სახელით წასული ქართველი მეომრების დანაკლისი, აფხაზეთის ომი, 9 აპრილი, დაკარგული ტერიტორიები, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები, დღემდე ტკივილად დარჩენილი სახსოვარი განადგურებული სახლი და კერა, იმედად დარჩენილი ოჯახები, რომ კვლავ დაუბრუნდებიან მიტოვებულ კერას, საქართველო გამთლიანდება და გაძლიერდება... ლექსად ნათქვამი ტკივილი:

„საქართველოს მთლიანობა,
სხვა ნატვრა არ მქონია,
სიყვარულით ნაშენები
რა სამშობლო მქონია!
სამშობლოზე ოცნებებში,
წლებს შორს ჩაუქროლიათ,
გინდ ვკვდებოდე
მაინც ვიტყვი-
რა სამშობლო მქონია!"

„9 აპრილი“ - ისტორიაში შევიდა, როგორც საქართველოს მოსახლეობის გამოფხიზლების, ერთიანობის, და გამარჯვების დღედ... ლოცვად დატოვებული სიტყვები: ...„დაუკარით რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“... და ქართველის გულიდან ნათქვამი სიტყვები, რომელიც დედის ნანასავით ჩაგვესმის:

„სთქვი სად გტკივა,
გენაცვალო დაღლილს,
გემსხვერპლები ჩემო,
დამიჯერე, სხვა რამ
ნატვრა სათქმელადაც არ ღირს,
ჯერ სამშობლო, დანარჩენი მერე“...

ისტორიაში შევიდა ჩემი სოფლის ახალგაზრდების სახელი: ეკა ბეჟანიშვილი, ხვიჩა ბიძინაშვილი და ლევან ცისკარიშვილი. დღეს ტიბაანის საჯარო სკოლა ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობისაა და ცისკარიშვილის სახელი კი ქუჩას ეწოდა.

მათი სახელები ყველაფრის უხმოდ მთქმელია, ასეთი ნორჩი სიცოცხლეები დასჭირდა საქართველოს კიდევ ერთ გამოფხიზლებას, გაერთიანებას, გაბრწყინებას... ისინი ჩვენი დროის გმირები არიან.

ისტორია გვიამბობს: 1918 წლის 26 მაისს ქართველი ხალხის საუკუნის ოცნებამ ხორცი შეისხა - იშვა ახალი სახელმწიფო, საქართველოს რესპუბლიკა, რომელმაც სულ რაღაც ორი წელი და შვიდი თვე იარსება, მიუხედავად ამისა, მსოფლიო ისტორიაში ის გამორჩეული ნიშნით შევიდა. საქართველოს რესპუბლიკა გახლდათ პირველი სახელმწიფო, სადაც სოციალისტებმა გაიმარჯვეს არჩევნების გზით. მანამდე მსგავს პრეცენდენტს ცივილური სამყარო არ იცნობდა.

1918 წლის 26 მაისს დასრულდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ მოვლენის პარადოქსი ის იყო, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ის ადამიანები, რომელნიც მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს თავისუფლების იდეას, რომელთა სინდისზეც იყო ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, საქართველოს სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.

ხშირად ისმის კითხვა - იყო თუ არა საქართველო მზად დამოუკიდებლობისთვის? პასუხი ამ კითხვაზე ცალსახაა. რა თქმა უნდა იყო. ფაქტი კი ის არის, რომ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში ქართველ ერს არ შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, საქართველო ვერ შეეგუა რუსეთის იმპერიის დიქტატს, რომელიც ერთმორწმუნეობის მიუხედავად ყველაფერს აკეთებდა იმისთვის რომ ქართული ეროვნული ფასეულობები შეებღალა.

თავადაზნაურობა ითვალისწინებდა იმ რეალობას, რომ მთავრობა არ იყო ეროვნულად განწყობილი, თუმცა იმასაც ხვდებოდნენ სოციალური პრობლემებისა და სხვა რეფორმების გატარება სწორედ ეროვნულ ინტე-

რესს რომ ესადაგებოდა. ეს საერთო სახალხო განწყობა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის სურვილით საზრდოობდა. ამის დასტური კი დღემდე მიღწეული საკმაოდ საინტერესო და ემოციური არტეფაქტი გახლავთ: ხაშურის რაიონის სოფელ აძვისში შემორჩენილია საფლავის ქვა, სადაც ისტორიული ეპიტაფიაა ამოტვიფრული: „მონობაში გატანჯულო დაუვიწყარო მამავ! შენი ოცნება ასრულდა - საქართველო თავისუფალია!“ მხოლოდ ერთი დღე დაკლებია გარდაცვლილ ერთ ჩვეულებრივ გულანთებულ ქართველს მისი საოცნებო სამშობლო თავისუფალი რომ ენახა.

საქართველოს მიწის თვითეული გოჯი ინახავს ისტორიას. საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა, საკმაოდ რთულია ამ რეალობისას ეროვნული ბალანსისა და მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს იოლად მისაღწევი რეალობაა, ქართველთა განწყობას აფასებენ აქ მოსახლე ხალხები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა დღემდე გამორჩეულ ინტერესს იწვევს. 1918 წლის 26 მაისს ახლად დაარსებული რესპუბლიკისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საერთაშორისო კონტაქტები, საერთაშორისო აღიარება.

ერთიანი კავკასიის იდეა, რომ აქ მოსახლე ყველა ეთნოსისთვის კეთილდღეობისა და პოლიტიკური შეუვალობის უტყუარი ფორმულაა, ისტორიის მრავალსაუკუნოვანმა ჟამთასვლამ არაერთხელ დაამტკიცა - თუ კავკასია ერთიანია ეს რეგიონი მსოფლიო პოლიტიკისთვის ყველაზე ანგარიშგასაწევი გეოსტრატეგიული ადგილია.

100 წელიწადი... ტკივილიანი, სისხლიანი, უძრაობის ხანა საბჭოთა კავშირი თავისი უსამართლო კანონებით შეჭიდული პატარა საქართველოსთან. ბევრჯერ საფრთხე შეექმნა ქართულ დამწერლობას, კულტურას. წართმეული ტერიტორიები, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები ხვალის უკეთესის იმედით რომ უთენდებათ ყოველი დღე...

დედა-ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა სტუმართმოყვარე მშრომელი ხალხით დღემდე შეჭიდული უსამართლობას ცდილობს სისხლისღვრის გარეშე ცივილური მოლაპარაკებებით დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები. იმედს არ კარგავს ქართველი კაცი და გვესმის ლექსად ნათქვამი სიტყვა ქართული სულით გაჯერებული:

„ივერიას გაშლილი აქვს ფრთები,
სისხლი დუღს და სული იწვის მზისებრ
და ალგეთზე ღვთის მადლით და ნებით
მგლის ლეკვები იზრდებიან ისევ!!!"

მაია აბულაშვილი
ბიბლიოთეკარი
სოფელი ტიბაანის ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

„ნამდვილი დამოუკიდებლობის გზა, ჩემი აზრით, ეროვნული ხასიათის რესტავრაციით, მრავალი თვალსაზრისით უკვე დაკარგული ეროვნული სიამაყის, ეროვნული ღირსების აღდგენით უნდა დაიწყოს“ (ზვიად გამსახურდია). ეს სიტყვები ყველაზე კარგად გამოხატავს მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო 1918 წლის 26 მაისამდე.

ფაქტების უკეთ აღსაქმელად განვიხილოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, გარემო რომლებმაც შანსი მოგვცა დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ე. წ „გეორგიევსკის ტრაქტატი“. ტრაქტატის შესავალში აღნიშნული იყო, რომ იმპერატორმა დიდსულოვნად ინება ქართველების გათავისუფლება „უღლისაგან მონებისა“ და იმ დამამცირებელი ვალდებულებებისაგან, „რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულიყუნეს... ტყუედ მიხდისა ვაჟთა და ქალთასა“. ტრაქტატი აცხადებდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე თეიმურაზის ძემ მოთხოვნით მიმართა რუსეთის იმპერატორს მისი სამეფოსა და სამფლობელოების უზენაესი მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ „უზენაეს ხელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთის იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისა“; იმპერატორმა „ინება აღდგინება და დამტკიცებაი მეგობრობითისა პირობისა“. შესავალშივე დასახელებული იყვნენ ორივე მხრიდან ის წარმომადგენლები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ რწმუნებით ამ ხელშეკრულების გასაფორმებლად. გარდა ამისა რუსეთი იძლეოდა პირობას, რომ საქართველოს დაეხმარებოდა თავისი ტერიტორიების დაბრუნებაში, თუმცა მფარველობისა და დახმარების მაგივრად 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრე I გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიაში შეერთების შესახებ. მიუხედავად უკმაყოფილებისა ქართლ-კახეთის ანექსიას მალევე მოჰყვა იმერეთის, გურიის, აფხაზეთის, სვანეთისა და სამეგრელოს ანექსია.

ამის შემდეგ კი დაიწყო აჯანყებების მთელი სერია, თუმცა უშედეგოდ. ვიდრე რუსეთის ძალები შიდა დაპირისპირებებში ჩაერთო. I მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე რუსეთის იმპერია რეგრესს განიცდიდა, შიდა ქაოსითა და ანარქიით იყო მოცული, 1917 წლის თებერვალში მომხდარი რევოლუციის დროს გადადგა ნიკოლოზ მეორე. ძალაუფლება ხელში აიღეს დროებითი მთავრობის წარმომადგენლებმა, ამიტომ საქართველოსა და ამიერ კავკასიაზე რუსეთმა დაკარგა კონტროლი, რამაც შანსი მისცა რუსეთის პერიფერიებზე პატარა ხალხებს სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა. ფეხს იდგამდა მსოფლიოს დიდი გადანაწილების პროცესი, ის რაც უნდა მოყოლოდა პირველი მსოფლიო ომის დასასრულს.

1917 წლის ნოემბერში თბილისში შედგა „ეროვნული ყრილობა“, რომელშიც მონაწილეობდნენ იმდროინდელი ქართული საზოგადოების ყველა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები, მსჯელობა იყო საქართველოს მომავალზე. გავთავისუფლდებოდით თუ არა რუსეთისგან? ჯერ კიდევ დიდი ილია, ერის სულიერი მამა დღენიადაგ ქადაგებდა -

სანამ ჩვენ არ გავთავისუფლდებით შინაგანი ტყვეობისგან მარადჟამს ვიქნებით დიდ სანაგაოზე გამობმული სათრეველა.

სწორედ ამ ეტაპიდან დაიწყო საქართველოში პოლიტიკური თამაში. ამიერკავკასიის სამი ქვეყანა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი გაერთიანდა, რომელსაც ამიერკავკასიის სეიმი ერქვა (1918 თებერვალი), შემდგომში ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

რა ხდებოდა ამ დროს მსოფლიო ასპარეზზე?

I მსოფლიო ომი დასკვნით ფაზაში შევიდა. ე. წ ცენტრალური სახელმწიფო (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი) მარცხდებოდა ანტანტის ქვეყნებთან ომში, რომელსაც მხსნელად მოევლინა ამერიკის შეერთებული შტატები და ხელიდან გამოცლოდა შიდა რევოლუციების წყალობით რუსეთის იმპერია. რუსეთს საკუთარ სამოქალაქო ომში ჩაძირულს არ ეცალა მსოფლიოსთვის. ვიდრე რუსეთი ახალი სახით მოევლინებოდა სამყაროს, თბილისში, საქართველოში უნდა ეზრუნათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღებაზე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა გერმანიის სახელმწიფო, თავისი პოლიტიკური ზრახვებით და დაინტერესებებით. ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის ეს გამოდგა ერთადერთი შანსი გადარჩენისთვის, საშინელი იყო იმჟამინდელი პოლიტიკური რეალობა, როგორც აკაკი ჩხენკელი ამბობდა - სხვა გზა არ არის, უნდა გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა.

1918 წლის 26 მაისს შემდგომში სახელმწიფოს მეთაურმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დასრულდა 117 წლიანი ბატონობა რუსული იმპერიისა.

ქართველებისთვის დაიწყო ახალი ცხოვრება დამოუკიდებელ სახელმწიფოში, რომელშიც ტარდებოდა უამრავი რეფორმა. მაშინდელ ქართველობას მიეცა შანსი დამოუკიდებლობის. ნელ-ნელა გაიმართა საქართველო და შემდგომ ევროპის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. შეიქმნა ფულადი ერთეული - ბონი. ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე გაიხსნა უნივერსიტეტი. ჩამოყალიბდა პირველი ქართული პარლამენტი - დამფუძნებელი კრება, ქვეყნის მეთაურად მოგვევლინა ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე), ქართველობამ მოახერხა და შეადგინა საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომელიც ტოლს არ უდებდა ევროპის წამყვან სახელმწიფოთა კონსტიტუციას. თანდათანობით სოციალ-დემოკრატები ეროვნულ მოტივებს დაუბრუნდნენ. სანამ რუსეთი "მოიცლიდა" ურჩი საქართველოსთვის, ქართველები სამწლიანი დამოუკიდებლობის სიზმრით ტკბებოდნენ. ბელადი ვლადიმერ ლენინი დასძენდა კიდეც - "საქართველო მეტისმეტად გათავხედდა". საქართველო კი მსოფლიო პოლიტიკურ ინერციას აყოლილი აგრძელებდა დამოუკიდებლობით ტკბობას.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას დიდი ხანია ხელი აეღო საქართველოზე. მას უკვე დიდი ბრიტანეთი მფარველობდა, რომელიც დაინტერესებული იყო კავკასიის ნავთობით, "ბაქოს ნავთობით" და ამიერკავკასიის ხალხების ბედი ნაკლებად ადარდებდა. 1920 წელს კი დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა კავკასიისა და სახელდობრ, საქართველოს

პატრონობაზე.

მემატიანე გვამცნობს - „მაშინ, როდესაც უკანასკნელმა ბრიტანულმა გემმა დატოვა ბათუმის პორტიდან მისცა სიგნალი, ამ სიგნალის ხმა ყველაზე მკვეთრად მოსკოვში გაიგონესო“. რუსეთში უკვე ხელისუფლებას მკვეთრად ხელჩაჭიდებული ბოლშევიკები დაწინაურდნენ ჩვენივე ჯიშის წარმომადგენელი იოსებ ჯუღაშვილი, რომლის უდიდესი ძალისხმევითა და სურვილით მოგვიანებით მოხდა გათავხედებული საქართველოს მორჯულება - გასაბჭოება.

1921 წლის 17 მარტს ბათუმიდან გეზი აიღო გემმა, რომელსაც მიჰყვებოდნენ საქართველოს ყოფილი მეთაურები და ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც იძულებით ტოვებდნენ სამშობლოს და საქართველოს ეროვნულ საგანძურთან ერთად „უცხოეთის ცის ქვეშ“ მიჰქონდათ ქართული მიწა.

1921 წლის თებერვალი კოჯორთან, ტაბახმელასთან, თბილისის მისადგომებთან მოხდა ახალი უშედეგო თავგანწირვა, გმირობა ქართული ეროვნული გვარდიისა, სამასი ქართველი იუნკერისა და მარცხი.

წავიდა სერგო ორჯონიკიძის გზავნილი მოსკოვში - „თბილისში წითელი დროშა ფრიალებს!“.

ცოტამ თუ გააცნობიერა რა დაკარგა საქართველომ და ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე მსოფლიო მასშტაბით თუ რა ულმობელი ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში, რომელსაც ახალ ხალხთა საპყრობილე, საბჭოთა კავშირი ეწოდა. რეალობა, რომელშიც დანაშაულად აღიქმებოდა ნებისმიერი თავისუფალი ქმედება და აზრი; დაიწყო მანამდე კაცობრიობის ისტორიაში არარსებული პოლიტიკური წნეხი, ხალხის ულმობელი დევნა და შევიწროვება. ამის შემდეგ 70 ხანგრძლივი წელიწადი დაჭირდა საქართველოს, რომ თავი დაეღწია ბოროტების იმპერიისგან. 70 წლის შემდეგ კი 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს ისტორიაში გაჩნდა ახალი ქართველი. სწორედ ამ ღამეს როდესაც საბჭოთა ჯარებმა დახოცეს უდანაშაულო მომიტინგეები, ჩვენში საბოლოოდ დასამარდა საბჭოთა ქართველი. ეს იყო სანატრელი დრო ქართველის მრავალ საუკუნოვანი ისტორიისა, რომლიდანაც დაიწყო გამოფხიზლება.

1991 წლის 9 აპრილს მაშინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, შემდგომში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა ეროვნული დამოუკიდებლობა. საქართველომ აღადგინა დაკარგული სახელმწიფოებრივობა და კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ ნებისმიერი ხალხის შემდგომი წინსვლა და პროგრესი სახელმწიფოებრივობის გარეშე წარმოუდგენელია. დღესდღეობით 27-ე წელს მიითვლის ე. წ მეორე რესპუბლიკა საქართველოში, რომელმაც გადაიტანა უმძიმესი - ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი, კონფლიქტი ისტორიულ სამაჩაბლოში, რუსეთისგან მონათლულ ე. წ. სამხრეთ ოსეთში. იმ რუსეთისა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში განახორციელა პირდაპირი აგრესია საქართველოს ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში, ყოველგვარი პოლიტიკური და ყოფითი რეალობის გვერდით.

საბედნიეროდ დღესდღეობით დანგრეულია მითი რუსეთის ძმობისა და აშკარა ძალას იკრებს ახალი პოლიტიკური აზროვნება.

მახსენდება დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები, რომელიც შეესაბამება ქართულ რეალობას - „სამი რამ აკლია ქართველს: ეროვნული შეგნება, რეალობის ალღო და შრომის უნარი“.

ერთია მოიპოვო დამოუკიდებლობა, გახდე თავისუფალი და მეორე შეძლო მისი შენარჩუნება. თუმცა როდესაც სახელმწიფოებრივობის შეგრძნება მოსახლეობაში მაღალია, სახელმწიფოებრივი თავისთავადობა და ხელშეუხებლობაც პრიორიტეტად რჩება.

მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ვისურვებდი დაგვეძლიოს „გათითოკაცებული“ ერის სინდრომი, რომ ყველა ჩვენგანისთვის თანაბარ მნიშვნელოვანი გახდეს „მე“ და „ჩვენ“, რათა მთელი შეგნებით გავითავისოთ სასიცოცხლო მნიშვნელობა სამშობლოსი - როგორც სახელმწიფოსი. მიმაჩნია, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრიობა თავისუფალი ქვეყანა იქნება გარანტი, როგორც ერის, ამასთანავე თითოეული ჩვენგანის წარმატებისა და სრულქმნადობის წარმოჩენისა.

გრიგალივით მღელვარე ფიქრებში ხშირად ელავს ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფელ აძვისში, უბრალო გლეხის საფლავის ქვაზე წაკითხული ეპიტაფია: „მონობაში გატანჯულო დაუვიწყარო მამავ! შენი ოცნება ასრულდა - საქართველო თავისუფალია”.

თინათინ კაპანაძე
მკითხველი
ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის
საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკა

უკვდავება
(ეძღვნება ახჩიღ ტატუნაშვიღის ხსოვნას)

,,ლალე, ლალე, დივლი და დალალე, ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი გენაცვალე“... - ბავშვობაში ხშირად რომ მღეროდა სევდიანად, გულში ჩამწვდომად, თვალებ აწყლიანებული, ის ამოჩემებული სიმღერა გახმიანდა სულში მარტვილობისას. ახლო მეზობლები გაკვირვებულები, რომ იყვნენ, ამ ერთმა ციდა ყმაწვილმა, რა იცის სამშობლოს სიყვარული და ვინ ასწავლის მისთვის თავდადებასო. ვინ იფიქრებდა, როდესაც დავაჟკაცდებოდა, მამულისათვის თავის შეწირვის მაგალითს გვიჩვენებდა ქართველებს, სულიერად აგვამაღლებდა, გაგვამხნევებდა და გამოგვაფხიზლებდა.

ქვეყნისადმი, მოყვასისათვის თავგანწირვაშია ქართველი ერის ისტორიის პათოსი და როდესაც დაფიქრდები თუ რამ მოიყვანა ქართველი ერი დღემდე, თუ რამ გადაარჩინა ისტორიის შემზარავ ქარტეხილებში, რწმუნდები, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ თავისებურებამ. ეს თვისება სისხლში ჰქონდა გამჯდარი ერს და ქართველმა კაცმა კარგად იცოდა, რომ მისი სიცოცხლეცა და სიკვდილიც საქართველოსთან არის დაკავშირებული, რომ,, სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: ენა, მამული და სარწმუნოება“

მზე აფიცხებდა ქართლის მიწას, მზის ოქროსფერ დისკოს წითელი სხივები ერია, უცნაური სანახავი იყო მინდორი, ყაყაჩოების თვალუწვდენელ მინდორს თითქოს ცეცხლის ალი ეხვია, მარტვილის ფეხქვეშ დაფენილი ყაყაჩოები იწვოდნენ... საწამებელი მოეწყოთ გამტაცებლებს, იცოდა წამება არ აცდებოდა, ჯვარცმას რომ უმზადებდნენ ქართველობისათვის, თავისუფალ კაცის გულში, თავისუფლების ზარები რეკდა, ცის თაღი ეხსნებოდა მამულიშვილს, უფალს შესთხოვდა მოენიჭებინა მოთმინება წილხვდომილი ბედისა ,,ბედი სასტიკისა და ლამაზისა“ - აქამდე რომ მოიყვანა.

ჯალათები თავის საქმეს აგრძელებდნენ და არ იღლებოდნენ.... უჭერდნენ მარწუხებსა და ცეცხლით სცდიდნენ, შეშინებული, დაბეჩავებული, დანებებული უნდოდათ, რომ ეხილათ. „ერის სიწმინდეს- ბაირაღს ფეხი არ დაადგა“, - ამითი აცოფებდათ, ღოჯებს აჩენდნენ სიბრაზით. ჩიტების გუნდმა გადაუფრინა მინდორს, მზერა გააყოლა, გულით მათთან ნავარდს ნატრობდა:- გადამთიელო ვერასოდეს ვერ იგრძნობ ამ მიწის მადლსა და სურნელს, მიწისას, რომელიც თავისუფლებისათვის გვიბოძა უფალმა და ჩვენი წინაპართა სისხლით რომაა გაპოხილი, ქართველი ერის გზა გოლგოთაა, ჯვარცმაა, ამაღლება და გასხივოსნებაა მომავალში.

ძალიან დიდხანს გაგრძელდა დღე... მწუხრი დადგომას იგვიანებდა... სისხლის წვეთებით იწინწკლებოდა ბალახები, კაენის ცოდვა

ტრიალებდა და ცასა და მიწას ბზარავდა, გაახსენდა ბევრი რამ, ჩავლილი წუთისოფლისა, წმინდა ამბროსი ხელაიას სიტყვები ამხნევებდა: „გული სამშობლოს ეკუთვნის, სული ღმერთს, ხოლო ხორცი თქვენთვის მომიცია საჯიჯგნად მტერო."

მარტვილისათვის ცა იხსნებოდა, მტრისგან დარბეულ, გადამწვარ ერთ-ერთ სოფელს, ყოველ ღამით ღვთისმშობელი დასტირისო, გაახსენდა.

თითქმის ყველა სამშობლოსათვის წამებულთა წმინდანთა სახემ გაიელვა არჩილის თვალისწინ, ეს ამშვიდებდა და ნათელი გადასდიოდა ნაწამებ სახეზე. ღრუბლებში ჩანდნენ: მოწამენი დავითი და კონსტანტინე, ბიძინა, შალვა, ელიზბარი, იოთამ ზედგინიძე, ილია მართალი, ცხრა ძმა ხერხეულიძენი, 300 არაგველნი და მრავალნი დიდმოწამენი და წმინდანნი, ზეცაში გალობა ისმოდა ანგელოზთა, შარავანდედსა ქარგავდნენ წამებულისათვის.

სადღაც, შორიდან ძაღლი ყმუოდა, ავის მოლოდინში, ალბათ სისხლის სუნი თუ ეცა...

ერთი ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო, მხოლოდ ერთის - გაეთელა ფეხქვეშ ბაირაღი და წუთისოფლის მონა გამხდარიყო. 100 ათას მოწამეს, როგორ მივუვალ ზეციურ სასუფეველში, განა ჩემი წინაპრებიც არ ირიცხებოდნენ იმ წამებულთა რიცხვში, ჩემი ხატი და ჯვარი, დასაფიცარი, რომ შევურაცხყო, განა იმისთვის მეტყოდა ნანას დედა, შვილებს რა ვუთხრა, რა ვუამბო ამ ომისა; გამხეცებული ჯალათი მიხვდა რომ ვერაფერს გახდებოდა ურჩ, გაკერპებულ ქართველთან, მასთან მთელი საქართველო იდგა. - რა სჭირს ამ ქართველებს, სიკვდილს რომ არჩევენ მამულისათვის, ხომ იციან რომ ეს ომი არ დასრულდება, მამული ხომ სიკვდილს ურიგებთ, ისინი კი მაინც გვეჯიუტებიან: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა", მღერიან სიკვდილის გზაზე შემდგარნი, რა დიდი ძალა აქვთ, მზეც ტირის და ცრემლად იღვრება, ეს კაცი კი ლოცულობს სამშობლოსათვის და გულს მიკლავს, აწამებდნენ დიდ ქართველ მამულიშვილს.

(„ხოლო უწყალოთა მათ მტარვალთა იწყეს რა მოჭრად თვითეულთა ასოთა ყოველნივე თითნი ხელისა და ფეხისანი მოჰკვეთეს თვითეულად სახსარ-სახსრად. და მერე, მაჯა-იდაყვნი, და მხარნი და ფერხნი კოჭებიდგან მუხლებამდე, და ესრეთვე თეძონიცა...)

...მახვილებით დაჩეხეს, ტყვიებით დახვრიტეს.

ხელ-თითების მოკვეთა დაუწყო, იესო ქრისტე იდგა და ჭრილობებს უხვევდა, ტანჯვას უმსუბუქებდა ვაჟკაცს, რომელიც საქართველოს სახეს და ლოცვას განასახიერებდა, სანთლად ენთო და იწვოდა, რომელიც წინაპართა სულის გამოძახილს იმეორებდა, რომელშიც იწყებოდა არა მარტო ერთი კაცის სულის ამაღლება, არამედ ქვეყნის ამაღლება და გასხივოსნება.

ნაწილ-ნაწილ კვეთდა ჯალათი სხეულის ნაწილებს, უბედურ ჯალათს ქედუხრელი ვაჟკაცისა შურდა, რომელსაც არ დაუჩივლია მარტვილობა, შეუვალსა ხდიდა მამულის ციხე-სიმაგრეს, მისი სვლა თავისუფლებისაკენ, ეს გზა ღვთიური გზა იყო, რომელსაც ქართველი ერი ადუღაბებდა, ათასწლეულების, მანძილზე.

-ხვალ, ისევ ამოვა მზე, მე სხვა მზე გამითბობს სხეულს, ჭრილობებს დამიამებს და ზეცა შემიფარებს, მამულისათვის თავგანწირვა ყოველ დროს აერთიანებს ერს და ზრდის მომავლის ჯანსაღ ნერგებს.

რაღაც ნათელი დასტრიალებდა ნაწამებს და ანათებდა მის გულს: წრფელსა და ალალს, რომელზედაც ოქროცურვილით ამოქარგული ჯვარი ესვენა: ჩვენთან არს ღმერთი და საქართველო. სისხლიან კვართის ჯიბეში იპოვეს წერილი, მტრისადმი მიწერილი:

„შენ, რომელიც ავი გრიგალივით მოდიხარ ჩემს მიწაზე, ჩეხავ და წვავ უფლისმიერ ზვარს, ამხობ ათასწლოვან სახატე-სალოცავებს, კერას მიქრობ და თელავ თვალხატულა მინდვრებს და ჩეხავ ტყეებს, ნუ ამიმღვრევ თავანკარა წყაროებს, ნუ მომიკლავ მცხუნვარე მზის ქვეშ გარუჯულ დაკოჟრილ ხელებიან გამრჯე მთიბავს, ზამთრისათვის რომ ემზადება და ჩქარობს, არა გაქვს იმისი უფლება, გადამითელო იისფერი მინდვრები, სანთლად ანთებული გვირილები, თავთავ დამძიმებული ყანები.

ჩემი ქვეყნის წარსული ათასწლოვანია, აქ წმინდათა ნატერფალებია, წმინდა ნინოს სანთელია დანთებული, ისაა ნათლია ამ მთისა და ბარისა.

ნუ მომიკლავ ქალს, ნაყოფით დახუნძლულს, ნუ შეაცლი თოთო კვირტებს, მოხუცსა და უმწეოს ნუ ადენ მწარე ცრემლებს, შენ მამა-პაპას არ უღვრია სისხლი ამ ქვეყნისათვის და ნუ მინგრევ არწივთა ბუდეს, სხვის კერაზე, ვერ ააგიზგიზებ ცეცხლს, ფუძის ანგელოზი შენი მწყალობელი არ იქნება, ხიზანი ხარ და როგორ მებრძვი, ვერ წამართმევ, ვერც წარსულს, ვერც აწმყოსა და ვერც მომავალს. ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ საუკუნეების მანძილზე თავისუფლებისათვის და ის ბრძოლის ჟინი არ ჩამკვდარა ჩვენში, მშიშრებად არ ვქცეულვართ.

მეუსახელოუფლისციხელი ვარ, ვარძია ვარ, ზარზმა და სვეტიცხოველი, ილორი და გერგეტი, ნიკორწმინდა და გელათი, მოწამეთა და ბაგრატი, საფარა და ფიტარეთი, ბარაკონი, დავით გარეჯი, მრავალძალი, იკორთა და ანანური, ალავერდი და სამება.... მადლიანი მიწის ძახილი ჩამესმის და დამარცხების უფლება არა მაქვს. წმინდანების ნაცრემლზე ია და ვარდი ხარობს, მაკურნებელი წყაროები გადმოჩქეფს, ჩემი რწმენა სანთელივითაა, კუნაპეტ ბაბილონში... შენ სნეული ხარ ბაბილოვანო, განმეშორე, ჩემი ანბანი, ჩემი წიგნი, ჩემი ხატები, წმინდათაწმინდაა, ვერ მოგვიშლი საბუდარს, სადაც ყველა გმირია და მზად მყოფი ქრისტესათვის თავი დასდოს და მარადისობაში გაიცაიაგოს. ვერ წარტაცებ ჩემს სამშობლოს ნათელ კვართს უფლისას, გინდა წილი იყარო და ეს მთა-

ბარი გერგოს, სიხარბით დაბრმავებულო. ვერ დაგითმობ ამ ზვრებსა და მწვერვალებს, ვაზი არ მიგიკარებს, ნაყოფით ვერ დატკბები, ჩემსავით ვერ მოეფერები მზითა და მადლით ავსებულ მტევნებს.

ბნელეთი სინათლით იძლევა, მრავალთა ნაკვალევს გადაშლის ქარი, ძნელბედობისას ამოკაწრულ სიტყვებს გიტოვებ, ქვებზე ამოტვიფრულს, წაიკითხე და ბანაკი აშალე, წადი უკან არ მოიხედო, თორემ ქვად იქცევი, წადი!

გალეშილები ხარხარებდნენ და ქირქილებდნენ: რას არ მოიგონებენ ეს ქართველები, ჩვენგან თავის დასახსნელადო, ხარხარებდნენ დამარცხებულები და დასჩერებოდნენ ვაჟკაცის ჯერ კიდევ ცოცხალ გულს, რომელიც მზითა და ღვთიურ მადლით ივსებოდა.

თავისუფლების ქარიშხალი ეხეთქებოდა ქვეყანას, ზარი რეკავდა.

ანნა ერისთავი
დირექტორი
ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ

დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ეს ორი ერთმანეთისგან განუყოფელი, ერთმანეთთან შესისხლხორცებული ცნებებია, რომელიც განაპირობებს ადამიანის პიროვნულობას. პიროვნება შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც განსაზღვრავს, აანალიზებს, აყალიბებს, ლოგიკურ ჩარჩოში აქცევს და სრულ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ გადაწყვტილებებზე. სახელმწიფო, რომელიც შედგება პიროვნებებისგან შეუძლებელია არ იყოს დამოუკიდებელი, რადგან ადამიანს, რომელიც თავს პიროვნებად ცნობს, სჭირდება გარემო, სადაც მოახდენს სრულფასოვან ადაპტაციას. პიროვნებას სჭირდება თავისუფალი სივრცე, გარემო და სახელმწიფო რომელიც მას, როგორც საკუთარ სრულფასოვან წევრს, შესთავაზებს სახელმწიფოს თავისუფლებას. თუმცა, სამყაროში სადაც არსებობს დაპირისპირება ერებს შორის, კონკურენცია, სურვილი ერთმანეთის დაჯაბნისა, შეუძლებელია ბრძოლის გარეშე, მხოლოდ "თავისუფლების სურვილით" მიაღწიო თავისუფლებას.

1917 წლის თებერვალში ცარისტული რეჟიმის დამხობა ქმნიდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის ხელსაყრელ მომენტს. 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის ტაძარში გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ეს ფაქტი გახდა ერთ-ერთი წინაპირობა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, იმის გათვალისწინებით რომ 'სამეზობლოში" მხოლოდ აგრესორები ყავდა, არ იქნებოდა მარტივი მიეღწია დამოუკიდებლობისთვის. თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა, რაც გულისხმობს ოქტომბრის რევოლუციას, ხელი შეუწყო საქართველოსთვის ახალ ეტაპზე გადასვლას. როდესაც თურქეთი ზავის თანახმად ოლქებს ითხოვდა, ამიერკავკასიამ ეს უარყო და დიპლომატიური გზით შეეცადა პრობლემის მოგვარებას. გერმანიასთან თანამშრომლობამ შედეგად ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა მოგვცა. აკაკი ჩხენკელის წერილი, სადაც ის არსებულ მდგომარეობას ამცნობს ქართველ დიპლომატებს, ერთ-ერთი ისტორიული წყაროა ამ მოვლენისა. ეს გახლდათ მცდელობა, საქართველოს დამოუკიდებლობა დაპირისპირებოდა ოსმალთა შემოტევებს, და სწორედაც რომ ამ მცდელობამ გაამართლა ნაწილობრივ, რადგან ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებმა უარი თქვეს გერმანიასთან თანამშრომლობაზე. ამის მიუხედავად საქართველო 1918 წლის 26 მაისის 5 საათსა და 10 წუთზე გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. "ამიერიდან ქართველი ხალხი სუვერენული უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა."

ხშირად საუბრობენ და განიხილავენ იმ ფაქტს, რომ საქართველო არ იყო მზად მიღებული შედეგისთვის, მაგრამ მინდა აღვნიშნო რომ საქართველო ოდითგანვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად ეს 1918 წლამდე არ დამტკიცებულა, ყველა ბრძოლა, ყველა ის მეფე, რომელიც იბრძოდა ტერიტორიული მთლიანობისა და ქართველი ხალხისთვის, ყველა განვითარებისკენ გადადგმული დ ა მ ო

უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ნაბიჯი განმსაზრვრელი ინდიკატორია იმისა, რომ საქართველომ, დამოუკიდებლობა კი არ მოიპოვა, უკვე არსებულ დამოუკიდებლობას მისცა სახე.

გასაკვირი არაა, რომ რუსეთმა, ჩვენმა "ერთმორწმუნე მეგობარმა" 1921 წელს, ჩვეულებისამებრ, დაარღვია სამშვიდობო ხელშეკრულება. წითელარმიელების თავდასხმის ობიექტი, არა მარტო თბილისი, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობა გახდა. მინდა აქვე აღვნიშნო საყურადღებო ფაქტი, საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, რუსეთის მხრიდან ეს პირდაპირ იყო ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევა და რაღათქმაუნდა საქართველოსთვის განვითარების გზათა ჩახრშობა.

მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, თბილისის აღება არ ნიშნავდა საქართველოს რესპუბლიკის დაცემას, საქართველო არც მაშინ დაცემულა, როცა საბჭოური მართველობის კლანჭებქვეშ მოქცეული ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისუფლების სიყვარული, სურვილი, ჟინი. "სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი" (კონსტანტინე გამსახურდია) ეს სიტყვები, და ის მსხვერპლი (საუბარია ასი-ათასობით რეპრესირებულ ადამიანზე, სამწუხარო და გასათვალისწინებელია, რომ მათი უმეტესობა შეადგენდა სწორედ იმ ადამიანებს ვისაც ქვეყნის თავისუფლებისთვის უნდა ებრძოლა, ვისაც დიდი როლი უნდა ეთამაშა ქვეყნის განვითარებაში. მოგეხსენებათ ესენი გახდნენ, იურისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, განათლებული და აქტიური მოქალაქეები).

ქვეყნის სიძლიერე ერთიანობაზეა დამოკიდებული, ერთიანობა კი სიყვარულზე, ხოლო "სიყვარული თავის გაცემაა." განა მონას შეუძლია გასცეს თავი, რომელიც მას არ ეკუთვნის? არა! რადგან მონაა იგი, ის არ ეკუთვინს საკუთარ თავს და არც საკუთარი თავი გააჩნია, რომ მას ეკუთვნდეს, რომ გასცეს. შესაბამისად თავისუფლება უპირობო აუცილებლობაა ქვეყნის სიძლიერისა.

როდესაც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს სახელმწიფოს ისეთი მოდელი, სადაც დაცულია თითოეული მოქალაქის უფლება, სადაც (განსხვავებით იმდროინდელი ევროპული სახელმწიფოებისა) ქალებს აქვთ არჩევნებში არა მარტო მონაწილეობის, არამედ საკუთარი კანდიდატურის დაყენების უფლება. სადაც დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, სადაც დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე. გავიმეორებ! როდესაც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს სახელმწიფოს ასეთი მოდელი,

შეუძლებელი იყო ქართველთა სულისკვეთებიდან გამქრალიყო თავისუფლების და დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის სურვილი.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა ქვეყნისთვის დემოკრატიული მმართველობის დასაბრუნებლად, ეს იყო ლიდერების დაპატიმრება, ბრძოლა ქართული ენისთვის 1978 წელს, რომელმაც საგრძნობლად განუმტკიცა ქართველთ საკუთარი თავის რწმენა, ბრძოლის სურვილი და ჟინი. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, ამ ტრაგედიის მნიშვნელობა, დარწმუნებული ვარ, თითოეულ ქართველს კარგად ესმის, ამიტომაც მის დეტალურ განხილვას ვერ დავიწყებ, მემძიმება. ამის შემდეგ განხეთქილება ეროვნულ მოძრაობაში და ბოლოს - 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები.

ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, საბოლოოდ გამოცხადდა და დამტკიცდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა და არა დაარსება. სწორედ ეს მიმაჩნია 1918 წლის დამოუკიდებლობის ყველაზე დიდ მნიშვნელობად. ჩვენ დამოუკიდებლობა ა ღ ვ ა დ გ ი ნ ე თ!

ჩვენი სახელმწიფოს მთავარი მიზანი დამოუკიდებლობა და სრული თავისუფლების მიღწევაა. თუმცა დღეს-დღეობით, მართულ-ხლართები მოწმობენ, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა არ შეწყვეტილა, რომ დღესაც, ისევე როგორც 100 წლის წინ, დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სიტყვით, საქმით, დიპლომატიით და განათლებით, თუმცა ეს ბრძოლაა და "მიზანი ამართლებს საშუალებას." თუ საჭირო გახდა, ქვეყნის და თავისუფლების დასაცავად იარაღიც უნდა ავიღოთ ხელში (იმედია ეს ბოლოს ხსენებული არ გახდება აუცილებელი).

ჩვენ სწორედ უნდა გავიაზროთ ჩვენი ისტორიის ის მძიმე წლები რაც სახელმწიფოს იმდროინდელმა ხალხმა შესწირა, ამ დროშიც მზად უნდა ვიყოთ, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი თავისუფლების, ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად და მისთვის ყველაფრის გასაღებად.

გამოწვევათა რიცხვი არა და არ ილევა, ეს სწორედ უნდა შევაფასოთ. გამოწვევა რომლის წინაშეც ვდგავართ, ჩვენი განვითარების განმსაზღვრელია. თუ ჩვენ პრობლემების წინაშე სისუსტეს გამოვიჩენთ, ეს პრობლემები ჩვენზე ძლიერნი აღმოჩნდებიან. მაგრამ, თუ წინ აღვუდგებით, თუ შევარჩევთ სწორ ტაქტიკას, მაშინ სახეზე იქნება განვითარებული და მაღალღირებული სახელმწიფო. პრობლემებს რა მოთვლის, ენაში ბარბარიზმების დამკვიდრებიდან დაწყებული მცოცავ ოკუპაციაზე გაგრძელებული და ხალხში, აგრესიის გაჩენაზე დამთავრებული. საიმედოდ, ჩვენ გვაქვს ბრძოლის უნარი, დანარჩენი გამბედაობასა და ერთიანობაზეა დამოკიდებული. რასაც, ისევ გავიმეორებ, საიმედოდ! ჩვენი ქვეყნისგან ველი...

ყველაფერი თავისუფლებით იწყება და ასევე, მის გარეშე მთავრდება. თავისუფლება არის იძულებაზე უარის თქმა და საკუთარი ნების განხორციელების მცდელობა. როცა ჩვენ ვართ თავისუფლები, პასუხისმგებელი ვართ ჩვენს ქცევაზე, ხოლო ჩვენი ქცევა ჩვენს გარშემომყოფებზე ახდენს გავლენას. შესაბამისად სახელმწიფო, ერთმანეთზე მოხდენილი თავისუფალი ნების გავლენა. ეს უნდა იყოს მიმართული სახელმწიფოს

განვითარებასა და მის შეცნობაზე. მსურს საუბარი დავასრულო ჩვენი ამჟამინდელი პრეზიდენტის, ბატონი გიორგი მარგველაშვილის სიტყვებით "თავისუფლებისაკენ სწრაფვის მიზნების განხორციელება შეუძლებელია საკუთარი ქვეყნის შემეცნების გარეშე. ფიქრი, ერის შემეცნებაზე ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი წინაპრების ღირებულებებით თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა"

ანა ტაბატაძე
მკითხველი
ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის
საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე – რესპუბლიკის 100 წელი

ნებისმიერი პატარა ერის ცხოვრება ალბათ ერთნაირია, ისინი იბრძვიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, რადგან დიდი სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობენ თვითონ გადაწყვიტონ მათი ბედი. საქართველო კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ იბრძოდა მუდამ დამოუკიდებლობისთვის. დამპყრობელი სამწუხაროდ ხშირად იმარჯვებს ძალის გამოყენებით და ცდილობს დაპყრობილი ქვეყნის ყველა მოქალაქეში ჩაკლას სურვილი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის და მანქურთებად აქციოს ისინი. თუმცა საქართველოზე და ქართველ ხალხზე ამის თქმა შეცდომა იქნება, რადგან ჩვენ შეგვიძლია უამრავი გაჭირვება მოვითმინოთ, მაგრამ როცა საქმე ეროვნულ ინტერესებს და სახელმწიფოებრიობას ეხება მის დასაცავად ბოლომდე ვიბრძვით. ვიბრძვით თავისუფლებისთვის. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ადამიანი თავისუფალი იბადება და სურს „იფრინოს“ და მხოლოდ „იფრინოს“, ამიტომაც ძნელად ეგუება შემბოჭველ მარწუხებს. მეფის რუსეთის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში სამეფო სამთავროების გაუქმების შემდეგ ქართველები სხვადასხვა კუთხეში აჯანყებით პასუხობდნენ მტერს. ეს დასტურია იმისა, რომ ერთი წამითაც არ დაუკარგავთ იმედი ერთ დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნიდნენ, მაგრამ რეალურად აჯანყებულებს არაფერი არ გამოუვიდათ. მნიშვნელოვანი ცვლილებები მხოლოდ 1870-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ასპარეზზე გამოვიდნენ „თერგდალეულები“. მათ დიდი როლი ითამაშეს საქართველოში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი იარაღით არ იბრძოდნენ. მათ კალმის მეშვეობით დაიწყეს ბრძოლა. თავიანთ იდეებს და შეხედულებებს მათ მიერ დაარსებულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდნენ, რამაც დიდად შეუწყო ხელი ხალხში თითქოს და მივიწყებული თავისუფლების გაღვიძებას. ცდილობდნენ ქართული ენა აქტუალური გაეხადათ და ამიტომაც შექმნეს მათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ისინი თარგმნიდნენ ევროპელი მოაზროვნეების ნაშრომებსა და საუბრობდნენ ევროპაში ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობაზე. გავა წლები და ალბათ საბჭოთა რეჟიმი, იმიტომ განახორციელებს საშინელ რეპრესიებს მწერლების მიმართ, რომ მათ აღარ ეთქვათ სათქმელი კალმის მეშვეობით ადამიანებისთვის. ის რომ ქართველმა ხალხმა დაიწყო კვლავ ფიქრი დამოუკიდებლობაზე, მიანიშნებდა იმ დროს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ჩამოყალიბება. შეიძლება განსხვავებული იდეეებით, მაგრამ მრავალ პარტიულობა განსხვავებული აზრი და მისი პატივისცემა ხომ დემოკრატიის მთავარი პრინციპია, რასაც ვერ ეგუებოდა რუსეთი. მეფის რუსეთის დამხობა არ იყო მარტივი, მაგრამ თვითონ რუსეთში დაიწყო ხალხმა მისი რღვევა. 1917 წლის რუსეთში მომხდარი თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში იწყება მზადება ეროვნულ-სახელმწიფოებრიობისაკენ. 1917 წლის აპრილში ჩამოყალიბდა „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“. საბჭო პირველი პოლიტიკური გაერთიანება იყო, სადაც ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები შეიკრიბ-

ნენ და დაიწყეს ბრძოლა საქართველოს ბედზე. გადაწყდა მოეწვიათ ეროვნული ყრილობა. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის გახსნამდე რუსეთში კვლავ მოხდა გადატრიალება და ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება. კავკასიის პოლიტიკური ძალები არ სცნობდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობას. 1917 წლის 15 ნოემბერს ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელმა მთავრობამ, ფაქტიურად ამ ნაბიჯით ქართველმა პოლიტიკურმა ძალებმა დაასწრეს საბჭოთა რუსეთს, რადგან ის აპირებდა ძალით გაევრცელებინა ძალაუფლება ამიერკავკასიაში. 1917 წლის 19 ნოემბერს ეროვნულ ყრილობაზე შეიკრიბა ქართული საზოგადოების რჩეული ნაწილი და აირჩიეს „ეროვნული საბჭო“, ნოე ჟორდანიას ხელმძვანელობით. ეს უკანასკნელი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. ყრილობაზე გადაწყდა, რომ თუ რუსეთი დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგებოდა, მაშინ, საქართველო დარჩებოდა მის შემადგენლობაში, ამ მოსაზრებას დაუპირისპირდნენ ეროვნულ-დემოკრატები და სამართლიანადაც, რადგან დამოუკიდებელ საქართველოს არ სჭირდებოდა ვინმეს შემადგენლობაში ყოფნა. ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა და მისმა გამბედავმა ნაბიჯებმა მიიყვანა ქვეყანა დამოუკიდებლობამდე, მან დააარწმუნა ეროვნული საბჭო, რომ იმისთვის, რათა გადარჩეს ქართული სახელმწიფო აუცილებელია გამოცხადდეს მისი დამოუკიდებლობა, აკაკი ჩხენკელი წერდა: „ურისკოდ არაფერი არ კეთდება, საჭიროა გამბედაობა და მხოლოდ გამბედაობა.“ 1918 წლის 26 მაისს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. ეროვნულ საბჭოს ნოე ჟორდანიამ გააცნო „დამოუკიდებლობის აქტი“. მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს ქვეყნებს აცნო ეს ფაქტი. ალბათ როგორი ამაყები იყვნენ იმ დღეს ეს ადამიანები, ვინც დიდი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში და დაიწყეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ნებისმიერი ადამიანი დღეს, რომ წარმოვიდგენთ იმ წუთებს ბედნიერი ვხდებით და ყველამ ვიცით თუ როგორი სახელმწიფო იქნებოდა დღეს საქართველო, რომ არა შემდგომ უკვე საბჭოთა რუსეთი. 1918 წლის ივნისში მთვრობის თავმჯდომარე გახდა ნოე ჟორდანია. ეროვნულ საბჭოს ეწოდა საქართველოს პარლამენტი. ახლად შექმნილი სახელმწიფო ატარებს რეფორმებს, შეიქმნა სახელმწიფო ბანკი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამხატვრო გალერეა. შექმნეს საკუთარი გერბი, დროშა და ჰიმნი. დამოუკიდებლობის პირველი წლები ალბათ მარტივი არ იყო თუმცა ბრძოლა არ უნდა შეეწყვიტათ. 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს კონსტიტუცია, რაც უდიდესი წარმატება იყო ამ ახალი სახელმწიფოს მხრიდან. ეს კონსტიტუცია იყო მთლიანად ადამიანის უფლებებზე მორგებული. იმ კანონების გატარება ალბათ ყველაზე თავისუფალ სახელმწიფოდ აქცევდა საქართველოს. რატომ იყო მნიშვნელოვანი საქართველოს დამოუკიდებლობა? იმიტომ რომ საშინაო თუ საგარეო საქმეები არ გადაეწყვიტა სხვა ქვეყანას. საქართველო უნდა განვითარებულიყო ევროპული გზით და იმ ღირებულებებით რაც ყველაზე

მნიშვნელოვანია იქ, ესაა: ადამიანი და მისი უფლებები. ის რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, რაც ყველაზე მთავარია არჩევანის თავისუფლება. ახალ სახელმწიფოს პრობლემებს კვლავ უქმნიდა საბჭოთა რუსეთი და ამას აკეთებდა ოსი და აფხაზი სეპარატისტების მეშვეობით, ყველანაირად ცდილობდა საქართველოს მთლიანობის ხელყოფას. ბოლშევიკური მთავრობა არ აპირებდა შეგუებოდა დამოუკიდებელ საქართველოს. შეიმუშავეს გეგმა, რომ თითქოსდა აჯენყებულების დასახმარებლად შემოვიდოდნენ, აჯანყება კი უნდა მომხდარიყო ლორეს რაიონში, რომელსაც შერეული ადმინისტრაცია განაგებდა. ბორჩალოს მაზრის რუსულ და სომხურ სოფლებში აჯანყება დაიწყო 1921 წლის 11 და 12 თებერვალს. XI წითელმა არმიამ მიიღო ბრძანება მოსკოვიდან, რომ დაუყონებლივ დაეკავებიათ თბილისი. 19 თებერვალს თბილისის მისადგომებთან გამართულ ბრძოლაში ქართულმა ჯარმა და გვარდიამ უკან დაახევია მტერს. სასტიკი ბრძოლები გაიმართა კოჯორთან, სადაც ახალგაზრდა იუნკრებმა გამოიჩინეს თავი. მიუხედავად ამისა, მეთერთმეტე წითელი არმია 25 თებერვალს თბილისში იყო. სამწუხაროდ დავმარცხდით, მაგრამ სამი წლის სახელმწიფოს არ შეეძლო ისეთ ურჩხულთან გამკლავება როგორიც საბჭოთა ხელისუფლება იყო. შექმნილი სიტუაციის მიუხედავად დემოკრატიული სახელმწიფოს მთავრობა არ დათანხმდა საბჭოთა კავშირის წინაშე კაპიტულაციას და ემიგრაციაში წავიდა. ისინი იქედან აპირებდნენ ბრძოლის გაგრძელებას. სწორადაც მოიქცნენ ღირსეულად დამარცხებულები წავიდენენ და მათი სურვილი მაინც ასრულდა 1991 წელს. ამის შემდეგ იყო საშინელი წლები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში... 70 წელი იცხოვრა საქართველომ დამოუკდებლობის გარეშე. საბჭოთა ხელისუფლებამ გაანადგურა ყველა თავისი მოწინააღმდეგე. შექმნა სისტემა სადაც ადამიანები მონებად აქცია. ბოლო მოუღეს ინტელიგენციას. ამ სისტემაში არ უნდა გეფიქრა, არ უნდა გეწერა, არ უნდა გესაუბრა, არ უნდა გემღერა ის რაც არ ესიამოვნებოდა სისტემას. ფაქტიურად არ უნდა გეცხოვრა. ნიცჩშეს სიტყვებით, რომ ვთქვათ ადამიანები „აქლემებს“ დაამსგავსნენ. დღესაც დიდია გავლენა საქართველოში საბჭოთა კავშირის და დღესაც ბევრს ენატრება სისტემა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უკან დახია. საბედნიეროდ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც რთულად ეგუებიან ზედამხედველობას. საბჭოთა კომუნისტური საზოგადოების ნგრევის მიზეზი სწორედ ეს იყო. ჩამოყალიბდა ავტორიტარული სისტემა, რომელიც ეკონიმიურადაც არაეფექტური იყო. მთელი საზოგადოება ერთ გიგანტურ ციხეს გავდა. ხოდა ადამიანებმა თავი დააღწიეს ამ ციხეს. თუმცა მარტივი არ ყოფილა - იყო მძიმე და ტკივილის მომგვრელი 9 აპრილი და ამ დღეს რუსული ტანკებით დაღუპული ქართველი გმირები. ამის შემდეგ იყვნენ ეროვნული სულისკვეთებით სავსე ადამიანები, რომლებმაც 1991 წლის 9 აპრილს კვლავ გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მეორედ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის შემდეგ იყო საშინელი წლები. მოხდა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვა, დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, უკიდურესი გაჭირვება. თუ დღეს ერთიან

სახელმწიფოს არ წარმოვადგენთ რუსეთის დამსახურებაა მხოლოდ. ჩემი აზრით, ის "ავადმყოფი ქვეყანაა", რომელსაც ჭირდება მკურნალობა, რადგან მგონია, რომ იქ საბჭოთა კავშირი არ მომკვდარა და სხვანაირი სახე მიიღო უბრალოდ. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც გავიზარდეთ ,,ვიცით რა არის დამოუკიდებელ ქვეყანაში თავისუფლად ცხოვრება. ვცდილობთ ვიყოთ თავისუფლები. გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრები, სადაც ადამიანს, როგორც მთავარ ღირებულებას დიდ პატივს სცემენ. არ ვიცი ვის როგორ ესმის თავისუფლება, მაგრამ ის პირველ რიგში შინაგანი თავისუფლებაა, რომელსაც ვერ მიაღწევ ისეთ რეჟიმებში როგორიც იყო საბჭოთა კავშირი. მეორედ დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებიდან 27 წელი გავიდა. დამოუკიდებელი საქართველო ჩემზე ერთი წლით დიდია. თითქმის ერთად ვიზრდებით ჩვენ და ერთად ვსწავლობთ ცხოვრებას. გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე რთული იყო და ჯერ კიდევ წინ გვაქვს უამრავი გამოწვევა. უნდა გავთავისუფლდეთ საბოლოოდ უცხო ქვეყნის მარწუხებისგან, უნდა გავხდეთ ნატოსა და ევროკავშირის წევრები, უნდა გავაერთიანოთ საქართველო და ა.შ. მიმაჩნია, რომ ყველა გამოწვევას დავძლევთ, რადგან ბრძოლა თუ დავიწყეთ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. პირველი რესპუბლიკის ის 3 წელი იყო ალბათ ყველაზე ბედნიერი წლები, მჯერა რომ შევქმნით ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც აუცილებლად ავაშენებდით, რომ არა 1921 წლის 25თებერვალი.

თინათინ ჩუბინიძე
ბიბლიოთეკარი
ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის
ცენტრალური ბიბლიოთეკის №6 განყოფილება

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – რესპუბლიკის 100 წელი

1783 წელს საქართველოსთვის საბედისწერო „გეორგიევსკის“ ტრაქტატი დაიდო, რომელიც გულისხმობდა საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრულ ხელშეკრულებას, მაგრამ რუსეთმა ჩვენი ასეთი დამოკიდებულებით ისარგებლა და საქართველო დაიმონა.

ალბათ, გაგონილი გექნებათ, რომ „თავისუფლება ლომთა ხვედრია“, ხოდა 1918 წელს ქართველებმა ლომის ამპლუა შეითავსეს, მოიპოვეს ნანატრი თავისუფლება და თავი დააღწიეს იმ სასტიკ რეჟიმს, მაგრამ საამწუხაროა ის ფაქტი, რომ ეს თავისუფლება არ გაგრძელებულა 3 წელი, დიახ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში თეთრ ცხენზე მჯდომი, მოღერილყელიანი წითელარმიელები შემოიჭრნენ წითელი დროშითვე, რაც ავის მომასწავებელი აღმოჩნდა საქართველოსთვის, მთავარი კი ამ ყველაფერში ის იყო, რომ მათ ქართველივე ედგათ სათავეში და სწორედ ქართველი მოღალატე სერგო ორჯონიკიძე გასცემდა სასტიკ ბრძანებებს.

ჩრდილოეთის ქარმა ადამიანებს გულები ცხოველთა გულებს დაუმსგავსა და სწორედ იმ გულის გამყინავმა ქარმა ათქმევინა ხალხს უარი რწმენასა და თავისუფლებაზე და სამშობლო ფუფუნებაზე გააყიდვინა. სწორედ ასეთმა ხალხმა თავიანთი ხელით მოსპო ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, საკუთარივე ხელით შემოარტყა გალავნები და საკუთარი ხელითვე ჩაკეტა იმ გალიის კარები, რომელშიც მათთან ერთად მშვიდობისა და თავისუფლების მსურველები ისხდნენ, ასე მათ დაატყვევეს თავისუფლების მსურველი ბულბულები, რომლებიც მხოლოდ იმაზე ოცნებობდნენ, რომ ყოფილიყვნენ დამოუკიდებლები, მაგრამ არა, მათ მხოლოდ ის უნდოდათ, რომ ყოფილიყვნენ თავისუფლებაზე დამოკიდებულნი, სამშობლოს გამყიდველმა მედროვე ხალხმა კი ისინი ხელში ჩაუგდო ყვავ-ყორნებს.

რუსეთი არის და იყო ბოროტი, სისხლისმღვრელი, ოკუპანტი, ქართველთმოძულე სახელმწიფო, რომელიც ოდითგანვე ორიენტირებული იყო იმაზე, რომ ვინმე დაემონებინა, მაგრამ მე ვეთანხმები ოთარ ჭილაძის სიტყვებს: „არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც.“ ამ სიტყვებით მგონი მკაფიოდ გამოვხატე ჩემი სუბიექტური აზრი რუსეთთან დაკავშირებით და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ მონობაში დარჩენა ადვილია, დიახ, იოლია, როცა მკვდარი თევზივით დინებას მიჰყვები, მაგრამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ნეტარებაა, მარადიული ნეტარება, მონობა კი მარადიული სიკვდილი, ამიტომ ქართველები არ დასჯერდნენ მონობას და არჩიეს ჭეშმარიტი გზა, რომელმაც უკვე 1989 წლის 9 აპრილის ნამდვილ თავისუფლებას გვაზიარა, ხოლო მას მერე ნელ-ნელა ვუახლოვდებით ჭეშმარიტებას, ნამდვილ ბედნიერებას, როდესაც შეგვიძლია მთლიანად გამოვძვრეთ ნაჭუჭიდან, რომელშიც ახლა ვართ ჩაკეტილები და სწორედ შეუპოვარი ბრძოლა საბოლოოდ დაგვანახვებს გზას, რომელიც მშვიდობისკენ მიდის, დიახ, გზას, რომელიც ყვავილებითაა დაფარული და სადაც უფრო მეტი სიკეთე, სისპეტაკე, სისუფთავე და ნათელი ფერია, ვიდრე ბოროტება, სიბინძურე, სისასტიკე და ბნელი ფერი.

მონობაც და თავისუფლებაც – ორივე ადამიანის სულის გამოხატულებაა (სულიერი მდგომარეობაა) და მას ადამიანიც და ერიც თვითონ ირჩევს, ხოდა თამამად ვიტყვი, ჩვენ ვართ ერი, რომელმაც თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მშვიდობა აირჩია და მე დარწმუნებული ვარ, ბევრისთვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ისეთივე პრიორიტეტია, როგორიც ჩემთვის და ჩვენი წინაპრებისთვის, რომლებიც ამბობდნენ: „უმიწაწყლოდ ერი იგივეა, რაც უფრთოდ ფრინველი, უწყლოდ თევზი და უჰაეროდ სიცოცხლე“.

ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის, იმავე ოცდამეერთე საუკუნის თინეიჯერთათვის, სიცოცხლეს თავისუფლების გარეშე აზრი ეკარგება. ჩვენ ნამდვილად არ გვინდა ვცხოვრობდეთ იქ, სადაც ქუჩაში გასვლის შეგვეშინდება, და სწორედ ამისთვის ვიბრძვი, როგორც შემიძლია, დიახ, შეიძლება სიტყვით, მაგრამ განა თერგდალეულები სიტყვითა და კალმით არ იბრძოდნენ?! არა, არც კი ვფიქრობ, რომ თავი ამ ბუმბერაზ ადამიანებს შევადარო, მაგრამ მე მინდა ჩემი თაობა არ იყოს ის თაობა, რომელიც გაიგივებულია ალკოჰოლთან, ნარკოტიკებსა და ყოველგვარ უწმაწურობასთან, მე მინდა ხალხი ხედავდეს, რომ ოცდამეერთე საუკუნის თინეიჯერები ბევრ კარგ რამეს აკეთებენ, თუნდაც ისინი იბრძვიან დამოუკიდებლობისთვის, თავისუფალი აზრის გამოხატვისთვის, ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ და მე მწამს, რომ ეს ბრძოლა შედეგს გამოიღებს, რომელიც შეიძლება ჩვენ ვერ შევამჩნიოთ, მაგრამ ნაყოფს აუცილებლად მოიმკიან ჩვენი შთამომავლები. როგორც დღეს ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წინაპრებით, სწორედ ისე იამაყებს ჩვენით მომავალი თაობა. მაგრამ თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ თავისუფლების შენარჩუნებას, მაშინ დავკარგავთ რწმენასაც და ამიტომაც ვალდებულნი ვართ ნათელი მომავალი შევუქმნათ ჩვენს შთამომავლებს და შევინარჩუნოთ სისხლისფასად მოპოვებული ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ ჩაგვეძინოს, რადგანაც ჩვენი ბედის ბორბალი უკუღმა არ დატრიალდეს და არ დავუბრუნდეთ იმ დროს, როცა დამპყრობელი ხალხს აიძულებდა, უარი ეთქვა ყველაზე ძვირფას და ღირებულ ენაზე, მამულსა და სარწმუნოებაზე. ბრბოს დიდი ნაწილი ასეც იქცეოდა, დაუფიქრებლად აბიჯებდა ფეხს საქართველოს დროშას და უარყოფდა მას, საუბრობდა არა ქართულად, არამედ დამპყრობლის ენაზე და რაც ყველაზე აღსაშფოთებელი და ამაზრზენია, ამბობდა უარს სარწმუნოებაზე, იმიტომ რომ არ იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი ადამიანები და ჰქონდათ დამპყრობლის შიში, ხოლო ზოგიც, როგორც ზევით აღვნიშნე, მედროვე იყო და მოგეხსენებათ, მედროვე ხალხი ყველაფერზეა წამსვლელი ფუფუნების, მხოლოდ საკუთარი მიზნებისა და სურვილების დაკმაყოფილებისათვის, თუნდაც ერის და სამშობლოს მოღალატე სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც თანამდებობის გამო გაცვალა თავისი სამშობლო.

მართალია, ჩემი თაობისთვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, მოგეხსენებათ, შემორჩა ბრბოს ის ნაწილი, რომელიც „ტყვეობის“ წლებს ტკბილად იხსენებს მხოლოდ იმიტომ, რომ მოსკოვში გადაფრენა-გადმოფრენა იაფი იყო და დღეს თა-

ვისუფლებით უკმაყოფილოები სწორედ ისინი არიან, ვინც მაშინ, როცა სხვები იბრძოდნენ თავისუფლებისთვის და სამშობლოს ეწირებოდნენ, რესტორნებში ისხდნენ და არაფერი აინტერესებდათ, მაგრამ რას წარმოადგენენ დღეს ასეთი ადამიანები? ალბათ, არც არაფერს, რადგანაც ყველგან, იქნება ეს პოლიტიკა, ხელოვნება თუ ნებისმიერი სხვა, ამ სფეროებში წარმატებული და პერსპექტიული ადამიანები თავიანთი პიროვნული თავისუფლებით ფასობენ და იმით, რომ არიან დამოუკიდებლები და არა ვინმეზე ან რამეზე მიჯაჭვულნი.

დოსტოევსკი წერს - „თავისუფლება თავის შეკავებაში კი არა, საკუთარი თავის ფლობაშია“ - ეს დოსტოევსკისებური პიროვნული თავისუფლების ახსნაა. ხშირად საქართველოში და არა მარტო აქ, თავისუფლება აღვირახსნილობა ჰგონიათ, რაშიც ძალიან ცდებიან რადგან „თავისუფლება არის მსახურება“ - ეს გოეთეს სიტყვებია, რომელიც შეიძლება ბევრმა არასწორად გაიგოს და გაუჩნდეს კითხვა, თუ როგორ შეიძლება იყო თავისუფალი, როდესაც ვინმეს მსახური ხარ, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ყველანი თავისუფლების მსახურები უნდა ვიყოთ, რათა 1918 წლის 26 მაისს მოპოვებული ნანატრი დამოუკიდებლობა, რომელიც ერთხელ უკვე დავკარგეთ, მაგრამ შემდგომ ისევ სისხლის ფასად დავიბრუნეთ, აღარ დავკარგოთ და, პირიქით, გავუფრთხილდეთ.

ამრიგად, ვფიქრობ, რომ 26 მაისი ქართველი ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი გამორჩეული დღეასასწაულია და უნდა იყოს კიდეც, რომლისთვის სისხლისღვრა აღარ დაგვჭირდება, მაგრამ საჭიროა მოფრთხილება და მე მჯერა, რომ საქართველოს ამ დამოუკიდებლობას შევუნარჩუნებთ ჩვენ, სწორედ ის თინეიჯერები, რომლებიც დღეს გრძელი, ჭრელი ან ცალ-ცალი წინდით დავდივართ, რომლებსაც ფერადი თმები გვაქვს, შეიძლება დახეული ჯინსებიც გვაცვია და შავი ტუჩსაცხი გვისვია, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენ, თინეიჯერებს, ძალიან ფერადი შინაგანი სამყარო გვაქვს, არასდროს არ ვკარგავთ რწმენას და რაც მთავარია, ვიცით, რა არის გვერდში დგომა, რაც აშკარაა, ამიტომ მე ამაყად გეტყვით, რომ შეგიძლიათ მშვიდად გადმოგვაბაროთ საქმეები, რადგან ყველაზე მეტად ვიცით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გემო და ყველაზე მეტად მისი დაკარგვა გაგვიჭირდება.

თათა თიბილოვი
მკითხველი
ქ. გურჯაანის შოთა რუსთაველის სახელობის
ცენტრალური ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო და
სამუზეუმო გაერთიანება

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

ქართველს ოდითგანვე აქვს შესისხლორცებული თავისუფლების კულტი. ქართული სახელმწიფო საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს. საუკუნეების მანძილზე ათას ურჯულო დამპყრობელს უცდია უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნის პირისაგან მიწისა აღგვა, მაგრამ თვით უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოთა ძალებს აღმატებია ეს, რადგან მას წინ მუდმივად ქართული სული, ქართული გენი, ქართული ბუნება, ქართული რწმენა და თავისუფლების დიდი წყურვილი დახვედრია. ასე მოვიდა ქართული სახელმწიფო და ქართველი ერი მე-19 საუკუნემდე.

1801 წელს რუსეთმა ძალდატანებით წაართვა საქართველოს დამოუკიდებლობა.

თავისუფლებისმოყვარე ერი, რომლის თავზე წისქვილის დოლაბი ათასჯერ მობრუნებულა, მტერს განწირული ჰგონებია და აღმდგარა, უსასტიკესებს და არაადამიანურებს ქართველის თავისუფლების მოყვარული სულით აღფრთოვანებულთ ბევრ რამეზე დაუხუჭავთ თვალი, ხმალი დაუდიათ მათი ვაჟკაცობით აღფრთოვანებულთ, არ მოუკლავთ, შეუქიათ და მათზე ამბებიც შეუთხზავთ, ათასჯერ უცდიათ საქართველოს დაპყრობა, აუღიათ, დაუთმიათ კიდეც და ჩამოშორებიან თავიანთ ბოროტ ზრახვას;

აი, რუსეთმა კი ვერ მოინელა ქართველის თავისუფლება, საქართველოს დამოუკიდებლობა. დღემდე გვებრძვის აშკარად თუ ფარულად... დღემდე გვერჩის... მსგავსი ჩაგვრა და დამცირება ქართველებს არ გამოუცდიათ, მანამდე არსებული სხვა დამპყრობლებისაგან.

ხშირად მიფიქრია მეფე ერეკლეზე, რომლის წინაშეც ურთულესი ამოცანა დააყენა ვითარებამ. გმირი მეფის გამარჯვებებზე მთელი დასავლეთ ევროპა ლაპარაკობდა, მაგრამ ქვეყნის მხარდაჭერაზე რატომღაც არ გამოდიოდა, ამიტომაც იძულებული გახდა ან აიძულეს იმ ერთადერთისთვის მიემართა, ვინც დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე წამოვიდა. „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ერთგვარი აქილევსის ქუსლი გახდა საქართველოსთვის. ეს ვითომ „მეგობრობის ხელშეკრულება“ ერთგვარი შემზადება იყო საქართველოს ანექსიისათვის. სულ მალე გამოჩნდა რუსული ბრჭყალები. ზარ-ზეიმით რატიფიცირებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“ რუსებმა 1787 წელს დაარღვიეს, როდესაც ოსმალეთთან ახალი ომი დაიწყეს. ეკატერინე II-ის მიერ ქართლ-კახეთიდან უკან გაწვეული ჯარი ნიშანი იყო იმისა, რომ რუსეთს საქართველოს ბედი არ ადარდებდა. რუსეთი მაგრად ჩაეჭიდა ნოყიერ ლუკმას, დიდი ხნის წინ თვალდადგმულს. მან მოურიდებლად დაიწყო მისი „ჭამა“. საქართველო ხომ მისი პლაცდარმი იყო სპარსეთსა და ოსმალეთზე შეტევისთვის და შემდგომ მთელი ევროპის ჩასაყლაპად.

„ერთმორწმუნეობის ნიღბით“ მოქმედი რუსეთის დაპირებები არ შესრულდა. მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია რუსეთმა 1801 წელს ოფიციალურად დახურა. ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში თავისი უშუალო მმართველობის შემოღებით თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა.

„გეორგიევსკის ტრაქტატის“ დარღვევით რუსეთმა დაიწყო 200-წლიანი სასტიკი პოლიტიკა, რომლის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს გადაშენება. რუსეთმა გააუქმა ლეგიტიმური სამეფო და საეკლესიო ხელისუფლებები და მის სანაცვლოდ დაადგინა რუსეთის მეფისნაცვალი საერო ხელისუფლებაში, ხოლო რუსი ეროვნების ეგზარხოსი ნაცვლად პატრიარქისა. ჩაგვრა და გაპარტახება უზარმაზარ მასშტაბებს აღწევდა. „მონობაში გადიდკაცებულის“ უარმყოფელი და „თავისუფლების ძებნაში მკვდარის“ მჯობნელი ერი გულხელდაკრეფილი ვერ იქნებოდა. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის დიდი ტალღა აიზვირთა სრულიად საქართველოში 1802-1917 წლებში. აღმოსავლეთ - დასავლეთი, ერი და ბერი, ბატონიშვილები და რიგითი ქართველები ერთად იდგნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. 1832 წლის შეთქმულება ამის ორგანიზებული ცდა იყო პროგრესულად მოაზროვნე ქართველებისაგან. მიუხედავად შეთქმულთა წრის არაერთგვაროვანი იდეებისა, იგი ითვალისწინებდა ქვეყნის დამოუკიდებლობას ევროპული განმანათლებლობის პრინციპებით. აშკარა იყო, ქვეყანაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის იდეები თანდათან იდგამდა ფესვებს, ღვივდებოდა ეროვნული თვითშეგნება.

ქართველი ხალხი წლების მანძილზე იბრძოდა რუსული აგრესიის წინააღმდეგ. რეალური ცვლილებები კი საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად 70-80-იანი წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდში თერგდალეულთა თაობა გამოდის ასპარეზზე. იწყება აქტიური ბრძოლა ქართული ეროვნული აზროვნებისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს არ იყო ბრძოლა ხიშტითა და ხმლით, არამედ ბრძოლა კალმით, სიტყვით. რუსეთში სწავლა-განათლება მიღებული ახალგაზრდები რუსეთისათვის ბასრი მახვილი აღმოჩნდა. ურჩი ახალგაზრდების შეურიგებლობა არსებული რეალობისადმი, მოურიდებლობა ცხოვრების მანკიერი მხარეების წარმოჩენისა, ევროპის მოწინავე იდეების გავრცელება გახდა ეროვნული კონსოლიდაციის საძირკველი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ – ხომ კარგად გამოხატავდა ამ ახალგაზრდების იდეას? ბრძოლის პლატფორმას ასაზრდოვებდა ქართული პრესაც - „ტფილისის უწყებანი“, „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „კვალი“, „ივერია“...

რუსეთის დიდი ძალისხმევით დროებით მიძინებული ერის გამოღვიძების პროცესი დაიწყო. ქვეყანაში გაჩნდა ახალი მიმდინარეობები, იდეოლოგიები, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები. რუსეთი გაავდა და დაიწყო ადამიანების დევნა, მათთვის საზოგადოებაში სახელის გატეხვა. რუსეთის რეაგირება აზრს კარგავდა. ქართული საზოგადოება სიახლისაკენ ისწრაფვოდა.

ცარიზმმა რყევა დაიწყო და გაცამტვერდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციით. შიგნით დაწყებულმა კრიზისმა რუსეთის ყურადღება მოადუნა. რევოლუციური განწყობა პირველ მსოფლიო ომში ცარისტული რეჟიმის გადაბმულმა დამარცხებებმა შექმნა. იმპერიის სიძლიერეს ძირი შეერყა. ამიერკავკასიაში ძალიან პოპულარული ხდება ეროვნული დამო-

უკიდებლობის თემა. თანდათან შექმნილი სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული საბჭოები ამზადებდნენ საფუძველს დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად.

ხანგრძლივი ძალადობრივი წნეხითა და თვალთვალით დაღლილ ერს, მლიქვნელობითა და მონური მორჩილებით შეპყრობილს, თავისუფლების ტალღამ გადაუარა.

1918 წლის 26 მაისს, 5 საათსა და 10 წუთზე, თბილისში, გოლოვინის გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, მიღებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა.

117 წელი დაგვჭირდა დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად, რამდენი სისხლი, რამდენი შრომა, რამდენი ენერგია დაიხარჯა, ვფიქრობ, ყველაზე დიდი მხარდაჭერა საქართველოს გერმანიისგან ჰქონდა.

ურთულესი საშინაო და საერთაშორისო პირობებისა და მცირე დროის მიუხედავად რესპუბლიკის მთავრობამ და ქართველმა ხალხმა წარმატებით დაასრულა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა.

ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე ადრე საქართველოს დემოკრატიულ ქვეყანაში ჩატარდა საყოველთაო არჩევნები.

აქ კონსტიტუცია და დემოკრატიული ინსტიტუტები იცავდნენ ადამიანის უფლებებს.

საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ ბევრი დიდი საქმის გაკეთება მოასწრო: გახსნა უნივერსიტეტი, შემოიღო უფასო დაწყებითი განათლება, შექმნა არმია, არნახულად განვითარდა ლიტერატურა, ხელოვნება, თეატრი, ოპერა. დამოუკიდებელმა ქვეყანამ ყველა ზომა მიიღო ერთა ლიგაში შესასვლელად, მაგრამ უშედეგოდ. დამოუკიდებელი ქვეყნის მნიშვნელოვანი მონაპოვარია დამოუკიდებელი ქვეყნის კონსტიტუცია.

მცირე დროში ამდენი წარმატების მქონე ქვეყნის გამოცდილების გასაცნობად ევროპელი პოლიტიკოსები ჩამოდიოდნენ საქართველოში.

ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა სცნეს საქართველოს დემოკრატიული ქვეყნის დამოუკიდებლობა. თავად რუსეთმაც საბოლოოდ ნავსი გატეხა და მანაც აღიარა.

ხანგრძლივი არ იყო ეს ბედნიერება. საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მხოლოდ სამი წელი იარსება. რუსეთი კვალდაკვალ სდევდა მას, მისი ოკუპაციის იდეა თავიდან არ ამოუღია. მანვე ჩაკლა და მოსპო ახალგაზრდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა. 1921 წლის 25 თებერვალს გააწითლა და აქედან მოყოლებული 70-წლიანი უღრანი ველურობის, იმპერიული მონობის წნეხში ატარა.

მე და ჩემი თაობა საბჭოთა რუსეთის მიერ დახატულ იდეალიზებულ სამყაროში რომ ვცხოვრობდით და გავიზარდეთ, მოჩვენებითი კეთილდღეობით კარგად შეფუთული ძალადობის, შიშის, ტერორის, ბოროტების სამყაროს ნაწილნი ვიყავით, მაგრამ არც ჩვენ გაგვწირა განგებამ. ზვიადი

მოგვცა, მერაბი მოგვცა. მათ შეძლეს და დაამსხვრიეს მითი დიდი ქვეყნისა, რომელიც მცირე ერებს ჩაგრავდა.

როცა ისტორიის ფურცლებს გადაშლი, თვალწინ დაგიდგება რა რთული გზაა გასავლელი დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე და თავისუფლებიდან დამოუკიდებლობამდე. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენი წინაპრების ვაჟკაცობასა და შემართებაზე ჩვენი ხედვებითა და ჩვენი იდეებით. თავის დროზე ასე იყვნენ ალბათ პირველი რესპუბლიკის მესვეურები.

ირმა კვირკვია
ბიბლიოთეკარი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ
ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი

დაკარგული თავის ძიებაში

„9 მარტი, 1918 წელი, ნ. ნიკოლაძემ, რომელმაც თითქოს ზღაპრული ძალით აღმართა ზღვის ტალღებსა და ჭაობებში დიდებული ნავთსადგური და ვიწრო „კარები“ იმდენათ გააფართოვა, რომ თავდაუხრელათ შამოდიან შიგ განათლებულნი ევროპიელნი. ფოთის მნიშვნელობა, როგორც ნავთსადგურის ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ დღეს ის კიდევ უფრო გაიზარდა». საუკუნე გავიდა...

მეტრო.

მეტროს ხსენებისას, დამეთანხმება მკითხველი ასოცირდება მიმართულება, მეტროსადგურის სახელწოდებებით...

თითოეული ჩვენთაგანი სადღაც მიიჩქარის, ფიქრობს, იხსენებს, დარდობს, უხარია, უდარდელობს, ელოდება...

აქ , ამ მეტროში, ადამიანების ნაცვლად სიტყვების, განწყობილებების მონაცვლეობაა.. მგზავრები თქვენ იქნებით ძვირფასო მკითხველებო. მე კი ლექსს-სადგურებს შემოგატარებთ! სადაც მოგბეზრდეთ იქ ჩაბრძანდით და აღარ გააგრძელოთ მოგზაურობა ... კარები იხურება!

სადგური: დაკარგული თავის ძიებაში

სიგიჟე, საკუთარ თავთან საუბარია სამყაროს გამორიცხვით..
საკუთარ თავში ჩაკეტილი სამყარო.. შენ, შენსავ თავში, შენ მის გარეთაც... არავითარი განსხვავება!
აგრძელებ ურთიერთობას სამყაროსთან თავ-წაჭრილი ქათმის მსგავსად
რომელმაც არ იცის, რომ დაკარგა თავი!
გუგუნებენ რელსები... კარები იხურება!

ტორერო! ხალხი ყიჟინა..
ტორერო ბრმა იყო...
აპლოდისმენტები, შეძახილები... ტორერო ბრმა იყო!
იცდიდა..
უხერხული ღიმილი ჰქონდა სახეზე, გარდუვალობა.
ელოდა..
ხალხიც ელოდა!
დოგმა ქცეული კანონად!
კორიდის კანონად! ხალხი! არპატიება!
გარდუვალობა..
ხალხი - მშიერი მინოტავრი,
შიში - ვერ გაექცევი
ტორერო ბრმა იყო დაბადებიდან!
მესიზმრა.. ყველა ზურგშექცევით დადიოდა.. არ იყო არც ერთი სახე, რომელზეც შეგეძლო შეგეხედა..
შეტრიალებული ზურგი; კეფა, დაუსრულებლობა.. საკუთარი თავი სადღაც გეკარგება.. მედუზა!

მესიზმრა... კვამლი თვრებოდა, კვამლი ირწეოდა, კვამლი თბებოდა, კვამლი კარგავდა შეგრძნებას.
კვამლი მზის თითებში იძინებდა.
მესიზმრა... მზე ქადრის ტოტზე იჯდა, მზე ისვენებდა, მზე დაღლილიყო...
წყურვილის განცდა... ჩლიქები ეფლობოდა, ჩლიქები ეშვებოდა სულ უფრო ღრმად და ღრმად... წყურვილი ივსებოდა.
მესიზმრა... მე ვარ პეპელა, ჭუპრში გახვეულს მეძინა დიდხანს... მე ვარ პეპელა..

ქარიშხალმა გადაიარა... გახლეჩილა, დამსხვრეულა ხის ტოტები..
„ო, რამდენი მწუხარება ამიტანია“.
ქარიშხალმა გადაიარა..
დაგლეჯილი აქვს აფრები „დალანდს“, „და ღელვაში არ აქვს ძილი და მოსვენება“
აფრის ნაწილი ქარმა წაიღო, ქარმა გაფანტა...
სუნთქვა... არსებობისათვის აუცილებელი ჟანგბადი საკმარისი იყო
მაგრამ: “გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუჩები“...
ლოდინს შეეჩვია,
ლოდინი იყო თბილი ნაჭუჭი..
მინა გაიბზარა..
ხმაური?!
ვაკუუმს ტკიოდა იარა...
ახალ წესრიგს ითხოვდა დრო..
ვერ შეგუება!
სივრცეს ეძებდა...
ლოდინი აღარ იყო... რეალობამ გააფერმკრთალა: “ბოღმა გროვდებოდა,
ბოღმას აგროვებდა, ქვავდებოდა..
ვერ იტანდა სამძიმრებს, ცრემლებს..
ბოღმა აბრაზებდა,
ბოღმა აღრჩობდა,
ბოღმა სუსტდებოდა..
სისუსტე სძაგდა..
სისუსტეს ამჟღავნებდა ამ სიძულვილით,,
ღაბუა ჩიტის გულისფეთქვა...

გადარჩენა დამღუპველი,
მიწა ცარიელი.
მიწა მძიმე იყო უხილავი,
მიწის ტარება ისე ძნელი იყო...
მიწა..
ეს არ იყო გარდაცვალება
ეს არ იყო სიკვდილი

ეს ალბათ იყო ამაოება..
უსასრულო, ძალიან მძიმე, გაუსაძლისი..
დრო ძალიან ცოტა იყო
დრო არც იყო და დრო იყო სულ..
დასასრულს, დასასრულს, დასასრულს..
ეს იყო გარდაცვალება,
ეს იყო სიკვდილი,
ეს იყო დასასრული!

სიცივე... მზად იყო, ეშაფოტი, მზად იყო თავიც..
ელოდა...
მაგრამ ვერ ნახეს ქვეყნად ჯალათი რომელიც განაჩენს სისრულეში მოიყვანდა..
მობეზრდა.. მაგრამ სად იყო წამი, რომელიც დაუსრულებელს დაასრულებდა
ატანა... საინტერესო შეგრძნება აღმოაჩინა, ესიამოვნა...
ლოდინი... ის იმდენად შეეჩვია ეშაფოტს, რომ აზრადაც არ მოსვლოდა ქვემოთ ჩამოსვლა..
დაიღალა... იყო კი სადმე ადგილი სადაც მოისვენებდა?
სურვილი აღრჩობდა ვერ კი გაეგო, სიცოცხლისა იყო ეს სურვილი თუ სიკვდილის...

„ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული. რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა და პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალწინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს.“

სადგური: მრავალსახეები

ბავშვობის სახე ჩამორეცხეს, გადაღვარეს ნაგავსაყრელზე,
გადაღებეს სულის ეტრატი,
გადაწერეს ხელმეორედ და მრავალჯერ...
ზოგადად ყოველ ჯერზე იქმნებოდა ესკიზი,
ყოველ სიყალბეს ხვდებოდნენ აღტაცებით!
ყოველ შემდგომ ამაოებას,
კეთილშობილებისა და უმანკოების იერი ჰქონდა!
უსახური ბრბო საზრდოობდა დაკვეთების მრავალსახეობით,
მრავალსახეებით!

სადგური: ფიქრი

აუკრძალეთ გონებას ფიქრი!
ფიქრის გარეშე ?! ეს იგივეა აუკრძალოთ ადამიანს სუნთქვა !
სუნთქვა.. შენ შენსავ თავში ზღვას ემსგავსები..
მსგავსად ხმაურობ, ხეებს აწეწავ დარჩენილ ფოთლებს.. "მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში და თმების ქარით გამოქროლება"
გამოქროლება .. გარეთ კითხულობს ქარი მონოლოგს..
მონოლოგი... დასასრულს ფარდა... ფარდა წვიმის!
წვიმა...საკუთარ თავში წვეთ-წვეთ იცლები..
იცლები__ "მარადი სიზმარი" ,
სიზმარი __ შენ შენსავ თავში, შენ მის გარეთაც..
გარეთ____ სულის რევა
სულის რევა___ ქუჩაში მიდის გალაკტიონი...
გალაკტიონი___ " ვით უბინაოს ყოფნა ბინაში"
ბინა___ გზის დასასრული ..
დასასრულს___"მე არ მინახავს გაფრენა და გაუკვდავება.."
გაუკვდავება___ ფიქრის აკრძალვით!
გუგუნებენ რელსები..კარები იხურება!

სადგური: სასწაული

სიჩუმე. სიჩუმე საუბრობს...სიჩუმე სუნთქავს სიჩუმით..
სიჩუმე მოლოდინის _ მოლოდინის მოახლოება ..
მოახლოება საოცრების... სითბოს შეგრძნება, ჰაერი გათბა ..
დასასრული ქარიშხლების, წვიმების და ისევ ქარების!
ღრუბლების წოწიალი, ნევროზული წრიალი ცაზე.. გზა აბნეული მოძრაობები წინ და უკან.. მერე ისევ წინ და ასე დაუსრულებლად..
იღლები და ასე გგონია ეს ქარი თუ "ქალი" როგორცაა თავის ქალას აგხდის..
სიჩუმე!
სასიამოვნო სიჩუმე ისადგურებს და მოლოდინი , რომელსაც თან სდევს წამით
აციმციმებულ ვარსკვლავთა "კრთომა მხიარული" , მოწითალო ღრუბლების ცურვა ..
სასწაული!
ციდან ჩამოსული სიჩუმე .. .
გუგუნებენ რელსები..კარები იხურება!

მეტროსადგური : თავისუფლება

სხდომას თავჯდომარეობდა ნოე ჟორდანია: "დღეს თქვენ აქ მოწამე იყავით ერთი ისტორიულისა და ამავე დროს ტრაღიკული აქტის. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა ამავე დარბაზში ეყრება

საფუძველი მეორე სახელმწიფოს ” ამ სიტყვებით გახსნა სხდომა ნოე ჟორდანიამ.“საქართველოს დამოუკიდებლობის” აქტი ეროვნულმა საბ-ჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს 1918 წლის 26 მაისის 5 საათსა და 10 წუთ-ზე. “ამიერიდან ქართველი ხალხი სუვერენული უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.” ეს მოვლენა მაშინ ახალი ეპოქის დასაწყისად მიიჩნიეს. ახალი ეპოქის, რო-მელსაც საქართველოსთვის განვითარება და მშვიდობა უნდა მოეტანა..

საოცარი შეგრძნება გეუფლება: “როდესაც პარლამენტში ნოე ჟორდანიამ წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტი და მერე აივნიდან ხალხს გამოუცხადა... მთელი თბილისი აღტაცებით ტაშს უკრავდა... იმ დღეს ვლასა მგელაძე გაიქცა მამადავითის ეკლესიაში, ზარები დარეკა და ილიასა და აკაკის საფლავებს ჩასძახა: გაიხარეთ, საქართველო დამოუკიდებელი გახდაო”.

... მე თან დამდევდა უხსოვრობაში ნანახი სიზმარი, როცა ვიპოვე თითქოს არ მენახა... ზმანება ჰაერში გაიფანტა და დაიკარგა, დავცარი-ელდი.. მდუმარედ შევცქერი აუხსნელს, დიადს, დაკარგულს თუ ნაპოვნს უკვე ვეღარ ვარჩევ.. ასე მგონია ყველაფერი დასაფლავდა უკიდეგანო უდაბნოში. მივდივარ ვეძებ... შევცქერი ცხელ, მწველ მზეს. დაბნელდა, გაშავდა ყოველი. აღსასრულია.. სიგრილის შეგრძნება, უხილავმა აქეთ მიპოვა, კვლავ მოვლინების ტკივილი ვიგრძენ..

უცნაური გზაა გონების ლაბირინთი... კარები იხურება!

ირმა კეკელიძე
მკითხველი
ქ. ფოთის ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების
მთავარი ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ - რესპუბლიკის 100 წელი

თემურ-ლენგები, შაჰ-აბასები, აღა-მაჰმად ხანები, მურვან ყრუები და მუდამ თავისუფლებისათვის ბრძოლა... ყოველთვის ვაღწევდით თავს მონობას, რადგან ჩვენში მუდამ ჩქეფდა თავისუფლების წყურვილი.

1801 წლის 18 იანვარი... საბედისწერო თარიღი საქართველოსათვის... ამის შემდეგ თითქმის საუკუნოვანი ბატონობა... საბედნიეროდ, ჩვენში ისევ იყო თავისუფლების წყურვილი, იყო შეთქმულებები, იყო აჯანყებები, მაგრამ ამაოდ. შემდეგ იყო ბედთან დამორჩილება... იყო მრავალი მცდელობა იმისა, რომ ყველანაირი ეროვნული დაევიწყებინათ ჩვენთვის, აგვიკრძალეს ქართულად საუბარი, გაგვიუქმეს ავტოკეფალია, თუმცა, საბედნიეროდ, იყვნენ ილია ჭავჭავაძეები, აკაკი წერეთლები, ვაჟა-ფშაველები და ბევრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი გმირი. მათ მოგვიწოდეს, რომ უნდა შეგვენარჩუნებინა თვითმყოფადობა, შეგვახსენეს, თუ რისთვის იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, რისთვის სწირავდნენ თავს... ყველაფერ ამ სიკეთესთან ერთად პირველ მსოფლიო ომშიც აღმოვჩნდით... დანაკარგი დიდი, მაგრამ შედეგად საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. 1918 წელი... როგორც იქნა, ნანატრი თავისუფლება, მაგრამ დაკარგული ისტორიული მხარეები... სასწრაფოდ ჩატარებული არჩევნები და გამარჯვებული სოციალ-დემოკრატები... როგორც იქნა, ვიგემეთ თავისუფლება ამდენი ხნის შემდეგ. სიხარულისგან აღარ ვიცით რა გავაკეთოთ, როგორ დავიწყოთ მოქმედება. დავიწყეთ კონსტიტუციაზე მუშაობა... ვამყარებთ დიდ იმედებს და მომავალში ვხედავთ დიდ, ძლიერ, აღორძინებულ და ფეხზე წამომდგარ საქართველოს, რაც მავარია დამოუკიდებელ რესპუბლიკას. სასწრაფოდ შევქმენით დროშა და გერბი... ამას არ ვჯერდებით და ფულადი ნიშნის ე.წ. „ბონის“ გამოშვებას ვიწყებთ... დაარსდა საქართველოს სამხატვრო გალერეა, საქართველოს მუზეუმი, საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივი, პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტი... მოკლედ, ყველგან საქართველო და ყველანაირად ვცდილობთ დავტკბეთ, შევირგოთ თავისუფლება სანამ ჩვენია... 1921 წლის 21 თებერვალს ძალაში შევიდა კონსტიტუცია, რომელიც გამოირჩევა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განტმკიცებით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს, რადგან სულ რაღაც სამ წელიწადში გვაქვს პროგრესი და მომავლისთვის მეტი და მეტი პროექტი იგეგმება... „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“ ასე დაგვემართა ჩვენც. სამი დღის თავზე კონსტიტუციის მიღებიდან თბილისს XI წითელი არმია იკავებს. საქართველოს მთავრობა გარბის... ეროვნულ ფასეულობებს, ფაქტობრივად, მტერს უგდებენ ხელში და გარბიან. რომ არა ექვთიმე თაყაიშვილი და მისი თავგანწირვა, რათა ეს ფასეულობები შემოენახა მომავალი თაობისათვის დღეს ეს განძი აუცილებლად დაკარგული იქნებოდა. ისევ დიდი იმედგაცრუება, ისევ თავისუფლების დაკარგვა და ისევ იმაზე ფიქრი თუ რა მოვიმოქმედოთ... აფხაზეთის ავტონომიას საქართველოს დამფუძნებელი კრება ამტკიცებს, ოსეთის ეროვნული საბჭო რუსეთის მხარდაჭერით ცდილობს ისტორიული შიდა ქართლის მისაკუთრებას. ერთი წლის შემდეგ კი გვირგვინი ყველაფრისა,

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია... საქართველოში, როგორც ყოველთვის, იქმნება ორი საპირისპირო მოძრაობა „მენშევიკები“ და „ბოლშევიკები“, რომლებიც, რაღათქმა უნდა, კიდევ უფრო აკნინებენ საქართველოს ერთიანობას. ვფიქრობთ, რა დავაშავეთ ასეთი? პასუხი ჩვენც არ ვიცით... იწყება ახალი „ბედნიერი“ ეტაპი საქართველოს ისტორიაში. ახლა უკვე სარწმუნოებას ებრძვიან. იყო კიდევ მცდელობა აჯანყებების, მაგრამ ვერაფერს გავხდით. შემდეგ იყო მეორე მსოფლიო ომი. აღმოვჩნდით ბრძოლის ორივე მხარეს. გერმანია დაგვპირდა თავისუფლებას ომში ჩაბმის სანაცვლოდ, საბჭოთა კავშირი კი უბრალოდ მისი წევრები ვიყავით და სხვა გამოსავალი არ გვქონდა... გაგვაბრიყვა ისევ თავისუფლების წყურვილმა, 700 000 კაცი იქნა გაწვეული და 300 000 შინ აღარ დაბრუნებულა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ტყუილად შეეწირნენ ისინი ქვეყნის კეთილდღეობას, რადგან მსოფლიო ომმა საზარელი შედეგები მოუტანა ყველას. არც თავისუფლება და აღარც იმედი იმისა, რომ საქართველო ისევ გახდება დამოუკიდებელი. დადგა საშინელი წლები. ყველა იმკის ომის შედეგებს. საბჭოთა კავშირს აღარ აქვს სახსრები, რათა მოამარაგოს ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებით მის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნები. იწყება ქურდობა, ჩაშვებები, გადასახლებები, დახვრეტები, პურის რიგებში დგომა, ვალუტის გაუფასურება და კუპონების შემოღება. რამდენი ღირსეული, ნიჭიერი ადამიანი შეეწირა მათ ტირანულ მმართველობას. ხალხი ელის სასწაულს... აქვთ მოლოდინი იმისა, რომ რაღაც გადაარჩენს მათ... მაგრამ არ ჩანს პიროვნება, ვინც იტვირთებს ამხელა პასუხისმგებლობას... გრძელდება „ცივი ომი“, სახელმწიფოები ისევ ექიშპებიან ერთმანეთს, ეკონომიკური მდგომარეობა კი თანდათან უარესდება... ხალხი უკმაყოფილოა, ქვეყნები ვეღარ ახერხებენ ფეხზე წამოდგომას... საბჭოთა კავშირი ძალიან დასუსტდა, ხალხი უკმაყოფილოა... „პერესტროიკის“ შედეგად გაიმარჯვეს დამოუკიდებლობის მომხრე პარტიებმა, რასაც საბჭოთა იმპერიის რღვევა მოჰყვა. 1991 წლის დეკემბერში საბოლოოდ დაიშალა საბჭოთა კავშირი და როგორც იქნა, საქართველომ ისევ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ხდება. მისი მმართველობის დროს კონტროლს ვკარგავთ ცხინვალის რეგიონზე, შემდეგ უკვე ვიღებთ შეიარაღებულ დაპირისპირებას... ოპოზიცია არბევს კანონიერ ხელისუფლებას, გამსახურდია აკეთებს იმას, რაც სისხლში გვაქვს, გარბის... იქმნება კრიმინალური ბანდები. საქართველოს ხელისუფლებას სათავეში ედუარდ შევარდნაძე უდგება. იწყება დაპირისპირებები გამსახურდიას მოხრეებსა და ახალი მთავრობის მომხრეებს შორის, რაც კარგ პირობას უქმნის რუსეთთან დაკავშირებულ აფხაზსა და ოს სეპარატისტებს. 1992 წლის 14 აგვისტოს, საქართველოს ჯარები შედიან აფხაზეთში... დავმარცხდით... ყველაფერში გამსახურდიას ადანაშაულებენ... ითხოვენ გამსახურდიას დაბრუნებას, რომელიც სულ მალე გაურკვეველ მდგომარეობაში იღუპება... საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ხდება და მთავრობაში მისი პარტია მოდის. მის დროს მიმდინარეობს კორუფცია და რთული ეკონომიკური მდგომარეობაა... უშუქობა, უწყლოობა, საკვების რიგებში

დგომა, ხალხი გაბოროტებულია... ითხოვენ პრეზიდენტის გადადგომას, რაც 2003 წელს სისრულეში მოყავს მიხეილ სააკაშვილს, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ საშუალებით ქვეყნის სათავეში მოდის. 2004 წელს კი საქართველოს პრეზიდენტად გვევლინება. შემდეგი არის მისი ცხრა წლიანი, ფაქტობრივად „ერთპიროვნული“ მმართველობა. გააკეთა ძალიან ბევრი... საქართველო წინ წაწია, მაგრამ ამ ყველაფრის უკან კორუფცია იმალებოდა. ხდებოდა ბევრი უსამართლობა, ბევრიც უსამართლოდ დაისაჯა, ბევრსაც უსამართლოდ წაართვეს... როგორც იქნა, ხალხმა დაიწყო უკმაყოფილების გამოთქმა და 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში იმარჯვებს გიორგი მარგველაშვილი. პრეზიდენტს თითქმის ყველა უფლება გაუუქმეს... დამყარდა საპარლამენტო მმართველობა... 5 წელია გიორგი საქართველოს პრეზიდენტია, მაგრამ თითქმის არ ჩანს მისი მოღვაწეობა.

ამ 100 წლის განმავლობაში საქართველოს მოუწია ძალიან მძიმე პერიოდის გადატანა. ყოველთვის ვიყავით უსამართლობის მსხვერპლნი, ყოველთვის გვიწევდა სხვის ომში ბრძოლა საკუთარი ღირებულებების დასაცავად... მიუხედავად ამისა, ქვეყანა, რომელიც თითქმის არ ჩანს რუკაზე და რომელზეც თითქმის არავინ არაფერი იცოდა, აქამდე მოაღწია... გადაიტანა ბევრი უბედურება, დაკარგა ძალიან ბევრი და ღირსეული მამულიშვილი. ეს ყველაფერი კი ყოველთვის თავისფულებისთვის ხდებოდა. თავისუფლებაა, ის, რაც ყველა ჩვენგანს გვასულდგმულებს და რის გამოც ვიბრძოდით საუკუნეების განმავლობაში. სწორედ თავისუფლების წყურვილმა მოგვიყვანა აქამდე, სწორედ ამან შეგვაძლებინა გადაგვეტანა ყველა გასაჭირი ისეთ პატარა ერს, როგორიც ჩვენ ვართ. და მე ძალიან ამაყი ვარ, რადგან მქვია საქართველოს შვილი...

ნუცა ჭინჭარაშვილი
მკითხველი
ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის
„ალ. როინაშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანება“
ქ. დუშეთის მთავარი ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა 26 მაისს, 1918 წელს დაარსდა. ზუსტად 100 წელია, რაც თავისი არსებობით ქვეყანაში შექმნა თანამედროვე სახელმწიფო წყობილება, კულტურა თუ სხვა კანონები, რითაც დღემდე არსებობს.

გრძელი და რთული გზა გამოიარა საქართველომ ნანატრ დამოუკიდებლობამდე. ჯერ იყო აჯანყებები, მაშინ, როდესაც ქვეყანა ფაქტობრივად რუსეთის ხელში გადადიოდა. 1800 წელს იმპერატორმა პავლე I-მა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს მოაწერა ხელი. 1801 წლის 16 თებერვალს კი გენერალ კარლ კნორინგის დავალებით სიონის საკათედრო ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას ეს მანიფესტი რუსმა გენერალ-მაიორმა ლაზარევმა წაუკითხა. ნელ-ნელა რუსეთის იმპერია ანადგურებდა ქართულ ფასეულობებს, გააუქმა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა, გაძარცვა ყველა სიწმინდე და ცდილობდა ეთნიკური შუღლის გაღვივებას ქართველ ხალხს შორის. ბევრი საქართველოსთვის გულანთებული ადამიანი დაიჭირეს, გადაასახლეს და საერთოდ მოაშორეს ქვეყანას. შემდეგ გამოჩნდნენ 60-იანელები (თერგდალეულები), რომლებმაც ახალი სახე მისცეს ბრძოლას და ქართველი ხალხის შეუგუებლობას მონობასთან. ისინი იბრძოდნენ ყველაფრის დაბრუნებისთვის - ავტოკეფალიის აღდგენისთვის, წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღსრულებისთვის, შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დაარსეს ქართული თეატრი, შექმნეს ქართული ბანკი და ასე, სხვა მრავალი გზით აღვიძებდნენ ხალხში ქართულ სულს. სწორედ ამ პერიოდში დაიწერა და გაიჟღერა ილიას პერსონაჟის ლელთ ღუნიას სიტყვებმა "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" - სწორედ ეს სიტყვები იქცა მოძრაობის მთავარ ლოზუნგად. საქართველო ყოველთვის იყო რუსეთის მსხვერპლი, მაგრამ არასოდეს ყოფილა მონა. ამ სიტუაციის გამო კი ქართველ ხალხს მომავლის იმედი, თავის რწმენა და ხალისი ჰქონდათ დაკარგული. ისინი არსებობდნენ, მაგრამ თავიანთი თავი აღარ "ეყუდნოდათ". ისინი არ იბრძოდნენ ერთად, არ ჰქონდათ ერთსულოვნება და ერთმანეთის ნდობა. დღესაც კი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დამოუკიდებელია, ილიას ხიდჩატეხილობის პრობლემა ისევ აქტუალურია. ალბათ ძალიან დიდი დრო გვჭირდება კიდევ ერთსულოვნებისათვის და ერთმანეთის უპირობო ნდობის მოპოვებისთვის. თითოეული ჩვენგანი მზად უნდა იყოს, რომ ქვეყნის ყველა პრობლემის მოგვარება ჩვენი წილი საქმის სწორად კეთებით დავიწყოთ.

რუსეთის იმპერიამ დიდი ზიანი მიაყენა ქართულ საზოგადოებას, თუმცა მაინც შეძლო ხალხმა ფეხზე წამოდგომა და ერთიანი ძალებით მთავარ პრობლემებთან გამკლავებაც დაიწყეს. პირველი ქართულმა ეკლესიამ დაიბრუნა სამოციქულო ავტოკეფალია 1917 წლის მარტში. ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო დამოუკიდებლობისაკენ, რომელიც საბოლოოდ 1918 წლის 26 მაისს თბილისში ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. მასში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარების ისტორიული პერსპექტივები და ქართველი ერის დაუოკებელი სურვილი

თავად გადაწყვიტოს თავისი მომავალი ბედ-იღბალი. რევაზ გაბაშვილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწე, მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი, წერდა: "როდესაც პარლამენტში ნოე ჟორდანიამ წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტი და მერე აივნიდან ხალხს გამოუცხადა... მთელი თბილისი აღტაცებით ტაშს უკრავდა... იმ დღეს ვლასა მგელაძე გაიქცა მამადავითის ეკლესიაში, ზარები დარეკა და ილიასა და აკაკის საფლავებს ჩასძახა: გაიხარეთ, საქართველო დამოუკიდებლი გახდაო"! დამოუკიდებლობის აქტს პირველ პუნქტში უწერია ის, რისკენაც ქართველი ხალხი მუდამ მიილტოვდა და უკვე ასი წელიც გავიდა დამოუკიდებლობის ამ აქტის მიღებიდან: "ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა."

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამი წელი იარსება, ის საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებულმა ოკუპაციამ შეწყვიტა. მხოლოდ 90-იან წლებში აღადგინეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დღემდე მოვდივართ. 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

ავბედით 90-იან წლებში საქართველო, როგორც სახელმწიფო, გაცილებით ძლიერი იყო – მას არ ჰქონდა ტერიტორიები დაკარგული, არ იყო ესეოდენ დიდი ემიგრანტების რაოდენობა, რუსეთი უფრო სუსტი იყო, ვიდრე დღეს არის; თურქეთს კი არანაირი გავლენა არ ჰქონდა რეგიონში.

დესტრუქციული ძალების მოქმედება დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე დაიწყო. მათ მოახერხეს ქართველი ხალხის და საზოგადოების შუაზე გახლეჩა. რამოდენიმე პარტიამ შეძლო სამოქალაქო ომის ინსპირირება. ამ ომის შედეგს დღემდე ვიმკით.

გონივრულია ასე პატარა ქვეყანაში იყოს ერთმანეთს გადაკიდებული N რაოდენობის პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია?

თუ ისტორიულად საქართველოს კუთხეები შუღლობდნენ ერთმანეთს, დღეს ეს მემკვიდრეობა პოლიტიკურმა პარტიებმა შეითვისეს და დიდ საფრთხეს უქმნიან ქვეყნის სტაბილურობას. ეს შეიძლება ქართული სახელმწიფოს კრახით დასრულდეს.

ქართველმა ხალხმა შეძლო დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ გზის გავლა, თუმცა რეალური თავისუფლება ჯერ კიდევ წინ აქვს ჩვენს საზოგადოებას - აზროვნების მეტი უნარი, სწორი შეხედულებების სიმრავლე, გადაწყვეტილებების სიმტკიცე, სამართლიანობა ყველა სფეროში, გულწრფელობა, ურთიერთპატივისცემა, სწორად გათვლილი ეკო-

ნომიკა, კანონმორჩილება და პროფესიონალიზმი ჩვენ ჩვენს საქმეში.

ქვეყნის აშენებაც, პირველ რიგში, საკუთარი თავებიდან უნდა დავიწყოთ და ღირსეულად გავაგრძელოთ ის 100 წლიანი გზა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა დღემდე - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ მოდის...

გიგა ქვილითაია
ბიბლიოთეკარი
სოფელ ტყვირის ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

თავისუფლება, როგორც ცნება, მეტისმეტად კომპლექსურია, ფრიად მრავალგანზომილებიანი და მრავალშრიანი. როდესაც განვიხილავთ ქვეყნის თავისუფლებას, ეს ცნება კიდევ უფრო ფართოვდება და რაც უფრო ფართოა თავისუფლების ცნება, მით უფრო გრძელია გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე. თავისუფალი ქვეყანა, პირდაპირი გაგებით, გულისხმობს ქვეყანას, რომელიც არ არის კონტროლირებადი სხვა ქვეყნის მიერ და რომელშიც საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს შესაძლებლობა, გამოხატოს თავისი აზრი და დაიცვას საკუთარი უფლებები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, თუმცა საკუთარი თავისუფლებით საფრთხე არ უნდა შეუქმნას სხვისას.

ერი თავისუფალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალნი არიან მასში შემავალი ინდივიდები. ერის თავისუფლების ფუნდამენტი კი ეროვნული მოძრაობაა. ეს ვერ იქნება რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ან მასთან ინტეგრირებული ძალა. ვინაიდან ეროვნული მოძრაობა ზნეობრივ პრინციპებზეა დაფუძნებული, იგი საზოგადოების განვითარების საშუალებას იძლევა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში.

მე არ ვფიქრობ, რომ ყველა დამოუკიდებელი ქვეყანა, ამავდროულად, თავისუფალ ქვეყნად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვინაიდან დამოუკიდებელმა ქვეყანამ თავისუფლებისკენ მიმავალი გზა თავად უნდა გაიკაფოს. ამ საქმიანობაში კი მის უმთავრეს იარაღად შეგვიძლია დასავლურ ცივილიზაციასთან ინტეგრაცია, ლიბერალიზმი და ტოლერანტობა მივიჩნიოთ.

თავისუფლება დინამიკაა, პროგრესია, რომელსაც საზოგადოებამ თავად უნდა აუწყოს ფეხი. თავისუფლებისკენ მიმავალი უმთავრესი ნაბიჯები ევროპამ სწორედ იმ პერიოდში გადადგა, როდესაც საქართველო მისგან „რკინისფარდით“ იყო გამოყოფილი (ფარდის ჩრდილი დღესაც შესამჩნევია ქართულ მენტალიტეტში, რაც უფრო შორეულს ხდის მიზანს და ართულებს სავალ გზას). ამ პერიოდში ილახებოდა ეროვნული ფასეულობები, უფსკრულის პირას იდგა ქართული თვითმყოფადობა, საფრთხე ემუქრებოდა მამულს, ენას, სარწმუნოებას. საბჭოთა კავშირი მუდმივად სისხლში ახშობდა ეროვნულობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის ყოველგვარ გამოვლინებას. თავისი მიზნების მიღწევისთვის კი ყოველთვის ტერორის გზას ირჩევდა. ამის ნათელი მაგალითია 1921 წელი - დაპირისპირება მეთერთმეტე რუსული არმიის ძალით, 1989 წელი - 9 აპრილის ტრაგედია, 1991-1993 წლის მოვლენები, რომელიც შემდგომ სამოქალაქო ომად შეირაცხა.

1975 წელს ქ. ჰელსინკიში დაფუძნებულმა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ, რომელსაც საბჭოთა კავშირიც უერთდებოდა, მიიღო დასკვნითი აქტი, რომლის მეშვიდე პუნქტში მოხსენიებული იყო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპები. ჰელსინკის აქტით შთაგონებულმა ქართულმა დისიდენტურმა მოძრაობამ ე.წ. „ჰელსინკის ჯგუფები“ შექმნა ზვიად

გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თაოსნობით. 1978 წელს 12-14 აპრილის გამოსვლებით ქართულმა საზოგადოებამ აიძულა საბჭოთა ხელისუფლება დათმობაზე წასულიყო და საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის სტატუსით ქართული ენა ეღიარებინა. ეს იყო ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება. ცხადია, ქართველი თავისუფლების მოყვარე ახალგაზრდობა ვერ ეგუებოდა რეჟიმს. შეუძლებელია კულისებში დავტოვოთ თვითმფრინავის ბიჭების საქმე, მათი დაუძლეველი სურვილი თავისუფლებისკენ სწრაფვისა. „თვითმფრინავის ბიჭები“ მატერიალურად მყარად მდგარი ოჯახებიდან იყვნენ, თუმცა მათ უმთავრესი რამ - თავისუფლება აკლდათ. ქმედება, რომელსაც შემდგომში ტერორიზმი ეწოდა, ვფიქრობ, გულიდან ამოხეთქილი პროტესტის გამოვლინება იყო. პროტესტის გამოხატვას კი, მოგეხსენებათ, ადამიანის სიცოცხლის ფასი არ ადევს. მიუხედავად ყველაფრისა, ქართული ახალგაზრდობის შეჩერება ნელ-ნელა შეუძლებელი ხდებოდა, რაც გამოიხატა 1989 წლის 5-9 აპრილის მოვლენებში. 9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ ცხადყო, თუ როგორი დაუნდობელი შეიძლება ყოფილიყო იმპერია. ნათლად დაგვანახა, რომ ქვეყანაში არსებობდა ძალა, რომელსაც არ სურდა თავისუფლება, რის გამოც ისინი ხელს უშლიდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობასაც. შექმნილმა ვითარებამ საზოგადოების დაყოფა გამოიწვია, რამაც თავის მხრივ კონფლიქტი წარმოშვა. ეს კონფლიქტი კი გამოყენებული იქნა ქვეყნის საწინააღმდეგოდ მიმართულ მთავარ იარაღად. დროთა განმავლობაში პროვოცირდა კონფლიქტი აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რასაც მოჰყვა საქართველოში ძმათა შორის სისხლისღვრა, დევნილობის ფენომენის გაჩენა, დაკარგული ტერიტორიებიდან აყრილი ათასობით ადამიანის ტრაგედია.

თავისუფლების საძირკველი თეორიული განათლებით უნდა გაიჭრას და პრაქტიკით შედუღაბდეს. „ომი არ არის მშვიდობა, თავისუფლება არ არის მონობა, უმეცრება არ არის ძალა“ (ჯორჯ ორუელი. „1984“). პოსტ საბჭოური მოსახლეობის დასავლურ პრინციპებზე მოსამართად საჭიროა, პირველ რიგში, ცნობიერების ამაღლება. რეალური დასაბუთება იმისა, რომ დასავლური ცხოვრების სტილი და დემოკრატიული მოწყობის ტიპი არ ნიშნავს ენის, ტრადიციების, ეროვნულობის, კულტურის უარყოფას. ყოფილი საბჭოთა მოქალაქე ნოსტალგიას განიცდის იმპერიალისტური რეჟიმის მიმართ, იგი დამფრთხალია და შეშინებული, ვინაიდან მისი გულუბრყვილო აზროვნება დემოკრატიასა და დასავლურ ღირებულებებზე მეტისმეტად მწირია. მისი აზრით ,დემოკრატია- ეს არის სოციალურ ფენებს შორის კონტრასტული სხვაობა, საშუალო ფენის მოსახლეობის შემცირება, შემდგომში გაქრობა, ქვეყნის დამღუპველ და გამხრწნელ ქმედებათა კრებული.

თავისუფლება თავის მხრივ დემოკრატიული საზოგადოების პრინციპების ქვაკუთხედია. დემოკრატია თავისი არსით ხალხთა მმართველობას ნიშნავს, აქედან გამომდინარე ხალხის აქტიური ჩართულობის, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების და უკეთესობისკენ სწრაფვის გარეშე დემოკრატია დასაღუპად განწირულია. იგი ახალგაზრდა, ენერგიული, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების ძალისხმევით იმუხტება. ყო-

ველი მოქალაქე ვალდებულია ჩართული იყოს საზოგადოებრივ საქმიანობასა და ქვეყნის ფორმირებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრესი შენელდება და საბოლოოდ შეწყდება კიდეც. დღესდღეობით ქართველი ახალგაზრდობა აქტიურად ეწევა მოხალისეობრივ სამსახურს, ჩართულია სოციალურ ცხოვრებაში, გაწევრიანებულია არასამთავრობო ორგანიზაციებში, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი, ვინაიდან ახალგაზრდები სავსე არიან იმედით და უკეთესისთვის ბრძოლის ჟინით, თუმცა არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება, ხანდაზულებს კი, რომელთაც დროთა დინებასთან ერთად დიდი გამოცდილება დაჰგროვებიათ, უკეთესის იმედიც დაუკარგავთ, ამიტომ საჭიროა მუდამ დაპირისპირებული „მამების და შვილების“ ერთობლივი და მიზანმიმართული მუშაობა.

საქართველო დღეს გარდამტეხ ფაზაშია შესული. ბოლო ხანებში იგი გამოჩნდა მსოფლიო ასპარეზზე კულტურული, ეკონომიკური, გეოპოლიტური კუთხით ისე, როგორც არასდროს. სწორედ რომ დროა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისა. ამისთვის, ჩემი აზრით, საჭიროა ავიღოთ სიტყვა და დავუპირისპიროთ საქმე. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მიზანი, რასაც მოჰყვება მთელი რიგი მოქმედებებისა, რომელიც საბოლოოდ მიზნამდე მიგვიყვანს. ვფიქრობ, საქართველო სწორედ ამ გრძელი გზის შუა ნაწილშია, რადგანაც მიზანი ცხადია, თუმცა მის მისაღწევად არ გაგვაჩნია სამოქმედო გეგმა, რომელიც ქართულმა დემოკრატიულმა საზოგადოებამ უნდა დასახოს.

იმის გათვალისწინებით, რომ ძველი გასაღებით შეუძლებელია ახალი კარის გახსნა, საჭიროა ძირეული ცვლილებები. ვფიქრობ, ეს ცვლილება, პირველ რიგში, პრესას და ტელევიზიას უნდა შეეხოს, ვინაიდან ინფორმაციულ ფაქტორს შეუძლია განსაზღვროს საზოგადოებრივი აზრი. აუცილებელია პრესასა და ტელევიზიაში მოღვაწე ერთი და იგივე სახეების ჩანაცვლება, რადგან მათ ძირითადად პარტიული ლიდერები აკონტროლებენ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაზეა დამოკიდებული, მედია კი აუცილებლად ცენზურისგან თავისუფალი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი უნდა იყოს.

სხვა ყველაფერთან ერთად, საჭიროა აღმოიფხვრას ყოველგვარი ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობა დასავლურსა და ეროვნულს შორის ღირებულებათა დონეზე. ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავ მსგავს მაგალითს ვაწყდებით და მწვავედ ვრეაგირებთ ამაზე, რადგანაც საქმე ეხება ნაციონალურ და რელიგიურ ფასეულობებს.

ამრიგად, თავისუფლების ხარისხით მიმზიდველი დასავლური საზოგადოება მუდმივად აგრძელებს წინსვლას, ვინაიდან შეჩერება თავისუფლების დაკარგვის წინაპირობაა. აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემის პოლიტიკური გზით გადაწყვეტა, საზოგადოებაში ამაღლებული ცნობიერება, ცენზურისგან თავისუფალი მედია, კორუფციასთან, როგორც ქვეყნის საწინააღმდეგოდ მომართულ ძალასთან, ბრძოლა, დამოუკიდებელი აზროვნების წახალისება და სხვ. იმ გრძელი ჯაჭვის თითოეული რგოლია, რომელსაც საქართველო დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე მიჰყავს. ეს საკმაოდ რთული პროცესია, თუმცა შეუძლებელი ნამ-

დვილად არ არის, მით უმეტეს ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც ოდითგანვე გამოირჩეოდა ტოლერანტობით სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ, რომელმაც მრავალი საუკუნის წინ გაიაზრა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა და მეთორმეტე საუკუნეში ქალს მეფის ტიტული უბოძა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გააჩნდა ისეთი ნაშრომი, როგორიცაა „ძეგლისდება“, სადაც ყრმათა და მონათა უფლებებიც იყო დაცული. ასეთ ნიადაგზე, რა თქმა უნდა, შესაძლებელია საკმაოდ მაღალი დონის მიღწევა.

გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ჯერ კიდევ გასავლელია, თუმცა ერთიანი სურვილის შემთხვევაში თითოეული ჩვენგანის ძალისხმევის ფასად ყველაფერია შესაძლებელი.

მარიამ გურაშვილი
მკითხველი
სოფელ ილიაწმინდას ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის
სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ - რესპუბლიკის ასი წელი

ასი წლის წინ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დაედო საფუძვლად. დარწმუნებული ვარ, თერგდალეულთა ნახევარსაუკუნოვანმა ბრძოლამ, პოლიტიკურმა გარემომ, სხვადასხვა ქვეყნის პრაგმატულმა მიზნებმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და განვითარებაში.

მარქსისტ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც არანაირი ნაციონალური, ეროვნული მიზანი არ ჰქონდათ, როგორც მიხაკო წერეთელი წერს, ბედმა დასცინათ და სწორედ მათ მოუწიათ ხელისუფლების სათავეში ყოფნა არასრული სამი წლის განმავლობაში.

მე კი მიმაჩნია, რომ გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მეორის მხარდაჭერის გარეშე პარადოქსულ გარემოში (მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატები რუსეთში მუშათა პარტიის წევრები იყვნენ ლონდონის ყრილობამდე, მენშევიკებისა და ბოლშევიკების გაყოფამდე) ალბათ შეუძლებელიც კი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

იმპერატორი მართალია ოსმალეთის მოკავშირე იყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში რუსეთს ებრძოდა და მტრის დამარცხებას საქართველოს დახმარების ხარჯზე ცდილობდა. ამასთანავე, ალბათ დაინტერესებული იქნებოდა ჭიათურის მარგანეცითა და ბაქოს ნავთობით. სწორედ ამიტომაც სურდა მის შვილს-იოაჰიმს ცოლად მაჩაბელი მოეყვანა, ამიტომაც გაფორმდა ხელშეკრულება საქართველო-გერმანიას შორის, რომელიც ადგენდა გერმანიისთვის დროებით სარგებლობაში გემების გადაცემას. ამ დროს კი საქართველოს, რომელსაც მხოლოდ არგონავტების მითი თუ აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ოდესღაც ფლოტი ჰყავდა, აკაკი ხოშტარიას ნაჩუქარი სამი გემი თუ ეყოლებოდა.

საქართველოში იმდენად პოლიტიზირებული გარემო იყო, რომ მრავალპარტიულობა ნაკლებად გასაკვირია, მაშინ როცა ოჯახის ყველა წევრი შეიძლება სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი და მხარდამჭერი ყოფილიყო, მაგრამ არსებობდა დამოუკიდებლობის აღდგენის ეროვნული თანხმობა. ამის დასტურია ისიც, რომ კოტე აფხაზის ხელმძღვანელობით თავადაზნაურობამ საქართველოს მთავრობამ 15 მილიონი ოქრო გადასცა, ბანკმა კი 27 მილიონი.

სამწუხაროა, რომ 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საქართველომ ბათუმი და ახალციხის საფაშოს ტერიტორიები დაკარგა, მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოუდგენელიც კი იყო გერმანია ოსმალეთს საქართველოს გამო დაპირისპირებოდა.

თუმცა, დამოუკიდებლობის აღდგენის ფინანსურ საფუძვლებთან და გერმანიის დახმარებასთან ერთად, შეუძლებელია არ აღინიშნოს ქართველთა სამხედრო წარმატება, 1918-1921 წლებში 6 წარმატებით

გადახდილი ომი. ეს ფაქტი, საუკუნის შემდეგაც, როგორც მოქალაქეს მაფიქრებინებს, რომ 100 წლის წინ არაორგანიზებულმა, ნაკლებად კონსოლიდირებულმა საზოგადოებამ რუსეთს დაუთმო ასპარეზი.

მაშინ, როცა იაპონიამ საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადა საქართველოს იარაღის შესაძენად, ჩვენს ქვეყანას 7000 ოფიცერი ჰყავდა და არსენალის ანუ მახათას მთაზეც კი გვირაბებში იყო დაცული იარაღი, იქნებ სამხედრო მზაობაზე მეტად პარტიული ინტერესის ეროვნულ ინტერესზე წინ დაყენებამ შეგვიშალა ხელი? საქართველოს სხვა ქვეყნებიც ხომ მოუწოდებდნენ პარტიული სამხედრო შენაერთის - გვარდიის ნაცვლად ეროვნული არმია შეექმნათ.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა ორი ათეული წლით მაინც გაგრძელებულიყო დემოკრატიული საქართველოს ისტორია, წინა რენესანსული ეპოქა. სწორედ ამ პერიოდში დაარსდა კონსერვატორია, შეიქმნა ოპერები „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, კინოფილმი „ელისო“, არსებობდა რამდენიმე ლიტერატურული მიმდინარეობა. საქართველო ალბათ არც ერთ თანამედროვე ქვეყანას საზოგადოებრივ-კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონით არ ჩამოუვარდებოდა. ბალტიისპირეთის ბედს თუ გავიზიარებდით, დღეს არ დაგვჭირდებოდა ამდენხნიანი ბრძოლა ევროპულ სივრცეში ხელახალი ინტეგრაციისთვის.

ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს, როგორც დემოკრატიულ ქვეყანას, არაერთი მიღწევა ჰქონდა. 1919 წლის თებერვალში ჩატარებულ არჩევნებში ქალებს, როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო ხმის უფლება ჰქონდათ. უფრო მეტიც, 130 პარლამენტარიდან 5 ქალი იყო.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიხედვით ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანი იყო, შესამაბამისად რესპუბლიკა უზრუნველყოფდა მათ თანაბარ განვითარებას. საქართველოში სიკვდილით დასჯა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით გაუქმდა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. თუმცა რა გასაკვირია, რომ საბჭოთა კავშირის სისხლიანმა რეჟიმმა რამდენჯერმე აღადგინა და გააუქმა აღნიშნული კანონი. „ბოროტების იმპერიამ“ 20 მილიონ ადამიანთან ერთად ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და გიორგი მაზნიაშვილი იმსხვერპლა.

მაშინ, როცა დღემდე მწვავედ დგას პერსონალური მონაცემების დაცვის, უკანონო მოსმენების, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების პრობლემა, პირველი კონსტიტუციით მოქალაქის პირადი მიმოწერა ხელშეუვლად ითვლებოდა. გენდერული დისბალანსი და უსამართლო სამართალი დღემდე ძირს უთხრის საქართველოს ლიბერალურობას. როგორც ჩანს, 100 წლის წინ მოსამართლეთა არჩევის წესი, ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი და სეკულარული სახელმწიფო არსებობდა, რომელიც რელიგიურ საქმიანობას ყველანაირად ემიჯნებოდა და ეროვნული უმცირესობების უფლებებს მაქსიმალურად იცავდა.

დღეს ჩემ გარშემო მრავალი სოციალურად დაუცველი პირია, რომელიც სათანადო განათლების მიღებას ვერ ახერხებს. ზუსტად ერთი საუკუნის წინ სახელმწიფო ყველა უმუშევარს დაზღვევით ან სამსახურით უზრუნველყოფდა. მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს კი საჭირო ნივთებსა და საზრდოს გადასცემდა.

დემოკრატიული საქართველოს არსებობის 1028 დღემ დაამტკიცა, რომ შეგვეძლო დამოუკიდებლად არსებობა, პრორუსული კურსის გარეშე საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარება.

საბჭოთა კავშირმა კი იმსხვერპლა ერთიანი საქართველო და დღემდე ვერ ვხვდებით, რომ გლობალიზაციის პროცესში რუსეთი გვშთანთქავს სამხედრო ღონისძიებებითა და აქტიური პროპაგანდით. დღემდე ვფიქრობთ, რომ ევროპელობა ქართველობის დაკარგვას ნიშნავს, დღემდე სიხარულით იხსენებენ 10-15 წლიან ეკონომიკური აღმავლობის ხანას და ავიწყდებათ ეკლესია-მონასტრების განადგურება, რეპრესიების, სიდუხჭირის, ომიანობისა და ტალონების დარიგების პერიოდი.

100 წლის შემდეგ ერთ-ერთი ჯარისკაცი აცხადებს, რომ მიშას ჰიმნის მოსმენისას, ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, ფეხზე არ წამოდგებოდა. დღემდე გვაჯერებინებენ, რომ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი 8 აგვისტოს დაიწყო (7 აგვისტოს განახორციელა რუსეთმა შეტევა, 8 აგვისტოს კი საქართველომაც დარტყმით უპასუხა).

ჩვენთვის არავის უსწავლებია, რაში მდგომარეობს ევროპის უპირატესობა, არავინ გაგვაცნო ევროპული იდეალები და ახალგაზრდობასაც უძირო უფსკრულისკენ მიგვაქანებენ. დღემდე გვასწავლიან დუმილს, დღემდე ვდუმვართ უხარისხო განათლებას, ჯანდაცვის სერვისებზე, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის არარსებობაზე.

1991 წლის 31 მარტს უკანასკნელად გამოჩნდა ერის სიცოცხლისუნარიანობა და საერთო ნება დამოუკიდებლობის აღდგენით. მას შემდეგ იყო ვარდების რევოლუცია, 7 ნოემბერი, არა ერთხელ ჩატარდა საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ მოქალაქეობრივი თვითშეგნების დონე და სახალხო დუმილი უცვლელია.

განვითარებული მოვლენების ფონზე, კიდევ უფრო დიდ ყურადღებას ვამახვილებ და ვებღაუჭები იმ ფაქტს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ნესტორ ხვინგიას სახელოსნოში კონსტიტუცია დაიბეჭდა. მაგრამ სინანული განვლილი ასი წლის გამო სიამაყის თანმდევი გრძნობაა.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან 100 წლის შემდეგ ვერ განვვითარდით, ვერ ჩამოვყალიბდით, როგორც ერი, ვერ ვიბრძოლეთ მავთულხლართებ, ვერ გადავდგით გადამწყვეტი ნაბიჯები თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

ზოგჯერ ვფიქრობ, საქართველოში მცხოვრებ მილიონობით ადამიანს მხოლოდ სახელმწიფო ენა, ჰიმნი, დროშა, სტერეოტიპული შეხედულებები, უსამართლობა და საუკუნო ძილი გვაერთიანებს.

უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა მხოლოდ ქიმია-ფიზიკის სწავლა მიგვაჩნია და თვალს ვხუჭავთ ყველანაირ უსამართლობაზე.

მე ვამაყობ, რომ იმ ქვეყნის შვილი მქვია, სადაც საქართველოს უგვირგვინო მეფემ-ილია ჭავჭავაძემ ხმლის ნაცვლად კალმით გადაარჩინა საქართველო, მაგრამ მრცხვენია საქართველოს ისტორიაში შავი ასოებით ჩაწერილი ილიას მკვლელობის გამო. მრცხვენია საკუთარი თავის, რადგან არაფერს ვაკეთებ უკეთესი ხვალინდელი დღისთვის, რადგან მე ვიზიარებ კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაზრისს „არც ერთი ერი არაა იმის უკეთესის ღირსი, რაც დაუმყარებია თავათ“.

თინიკო უსუფაშვილი
მკითხველი
სოფელ ქვემო ბოდბის ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და
საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ

„თავისუფლება არის მსახურება" - გოეთე.

...სახეზე ჩადრი ჩამოვიფარე, თვალებზე თეთრი მიტკალი და ასე ვუმზერდი ულამაზეს ცხენთა რემას, როგორ მოაპობდნენ ქარს და მოაღელვებდნენ შინდისფერ სისხლს. ძოწისფერი ულაყები სხვა ჯიშისა იყვნენ და ამიტომაც უდაბნოსკენ აეღოთ გეზი. არ იცოდნენ რა ხვდებოდათ წინ – ცვალებადი ამინდი, მხოლოდ მზისგან და ქვიშისგან შემდგარი წვიმების შიში, უწყლობა, უსახლკარობა, უგვარობა. მაინც მიჰქროდნენ, რათა დაეოკებინათ თავისუფლების სურვილი, ეგემათ მლაშე გემო ქვიშისა და სისხლისა, ალისფერი გამხდარიყო მზისგან მათი სხეულები. მიჰქროდნენ..... სახეზე ჩადრი ჩამოვიფარე, თვალებზე თეთრი მიტკალი და ამ გზით გავეშურე ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ, თავისუფლების ქვეყნისაკენ – თავისუფლების მოსაპოვებლად. ჩემს ქვეყანაში, ხომ იმ წლებში, ძნელი იყო თავისუფლებისათვის თვალებში ცქერა. ადამიანები გარბოდნენ, მიჰქროდნენ უსასრულოდ, რათა არ დაეკარგათ გრძნობა, რომელსაც სულში თავისუფლებას არქმევდნენ.

რა არის თავისუფლება? – ილია დამაჯერებელად გვიხსნის და გვისაბუთებს თავისუფლების არსს. ის თვლის, რომ „ადამიანის თავისუფლებას დემოკრატიული და სამართლიანი წესრიგი იცავს – მას სწორედ ასეთი წესიერების დაცვა აძლიერებს და არა თავგასული უწესრიგობაო."

უწესრიგობა თუ წესიერება?

თავისუფლება?

-რასაც გინდა იმას აკეთებ;

-თავისუფალი ხარ არჩევანში;

-ვისაც გინდა იმას შეიყვარებ;

-სადაც გინდა იქ იცხოვრებ;

-როგორც გინდა ისე მოიქცევი. ამერიკის შეერთებული შტატებია სწორედ მავანთთვის თავისუფალი ქცევისა და არჩევანის განმსაზღვრელი ქვეყანა. მივდიოდი და ვფიქრობდი, როგორ შეიძლება სხვის ქვეყანაში ვყოფილიყავი თავისუფალი? გზა თავისუფლებისაკენ ვიწრო იყო და ფართოც. „პიროვნების თავისუფლება ხომ უდიდესი რამაა, მასზედ და მხოლოდ მასზედ შეიძლება აღმოცენდეს ხალხის თავისუფლება" გვეუბნებოდა უდიდესი მოაზროვნე გერცენი და ამიტომაც მუდმივად იმ ხალხზე ვფიქრობდი, ვინც ამ თავისუფლებისათვის იბრძოდა.

მეც ვიბრძოდი.

ვიბრძვი დღესაც.

თვალწინ მიდგას ბოსტონის, ვაშინგტონის, კონგრესის ბიბლიოთეკები და ჩემი სისხლის მჩქეფარება - სახეზე დამსკდარი კაპილარები, უჰაერობა, გულის ცემის მომატება და ნანახით აღფრთოვანება-გაოგნება. ასე მეგონა ბინა გამოვიცვალე და ქარი გამოდგა შლეგი. ჩამიმტვრია დარაბები, ჩამომიხია შპალერი, ყველაფერი მილეწ-მოლეწა და წავიდა. ასე მეგონა სახელი გამოვიცვალე და ისიც შლეგი იყო. დაჰქროდა აღმა-დაღამა, ყველა მასზე ამბობდა, ისაა, მაგან მოკლა, დასაჯა.....გადაასახლა..... მაგან დაბადა, საკუთარი მუცლიდან ამოუშვა, მერე ჩვენთან გამოუშვა

...ის არის! ასე მეგონა დედ-მამა გამოვიცვალე და ატყდა აურზაური - აირია შვილები ერთმანეთში. და-ძმას ვეღარ ცნობდა ძმა-დას. გადავცვალე მარჯვენა ხელი მარცხენაში, გული რომ გადამეადგილებინა და დაიწყო სისხლმა ფეთქვა ყველა აორტიდან, ვერ გაიგნო გზა და გახეთქა ეს საწყალი, უადგილო გული. სხეული გამოვიცვალე მთლიანად და გადავცვალე ჭრელი მინდვრები ვულკანის ცხელ ლავაზე, ჩანჩქერები ტორნადოებს შევუფარდე, კლდეები ზვრებს...

აქ ალბათ 1918 წელი უნდა გავიხსენოთ...

რუსეთის იმპერიისგან თავდახსნის ორი წელიწადი.

ეროვნული კომიტეტის შექმნა ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

ქართველი ერის ზეიმი.

მე-11 არმიის შემოსვლა საქართველოში.

1921 წელი, როცა წერტილი დაესვა ქართველი ხალხის დიდ იმედებს, ამაოდ დაიღვარა ქართველი პატრიოტების სისხლი.

საქართველო. სამოცდაათწლიანი უკუნი. რუსეთის სისხლიანმა იმპერიამ კვლავ გამარჯვება იზეიმა.

ჩვენი ენა ქართული....

მომავლის უიმედობის წლები.....

თავისუფლების ძიება...

თავისუფლება რჩეულთა ხვედრია.

1989 წელი.

ქართველები კვლავ შეაკავშირა სამშობლოს სიყვარულმა.

წამოემართა სისხლ მოწყურებული ურჩხული...

წინ ანგელოზთა ლაშქარი გადაეღობა. ქართველი ამორძალები, ქართველი მზეჭაბუკები...

მომაჯადოებელი სილამაზე.

ქედუხრელობა და სიმამაცე. ბოღმით ავსებული მტარვალის სული... ნიჩბები.

დრო ულმობელიც არის და ლმობიერიც.....

.....და საქართველომ კვლავ ამცნო სამყაროს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა. შეჭედეთ ნოეს კიდობანი. შეჭედეთ და თან სიყვარული ჩააჭედეთ. ლურსმნები უჟანგავი შეარჩიეთ, რათა დროის და სივრცის, წვიმის და ქარის, სიცხისა და ყინვის ცვალებადობამ ვერაფერი დააკლოს. ერთმანეთთან ახლოს დადექით. მინდა გადმოგედოთ იმ ცეცხლის სითბო, რომელიც წელიწადში ერთხელ იღვრება ციდან..... პატარებმა ცხოველები და ფრინველები დაიმეგობრეთ და თან წამოიყვანეთ. მერცხლის ბუდეებისთვის კიდობანში განსაკუთრებული კუთხეები არჩიეთ, რომ კუდმაკრატელებს მოეწონოთ და სხვაგან არ გაფრინდნენ, რომ აქვე გააჩინონ ბარტყები და იხარონ მათი ნამრავლით.

შეჭედეთ ნოეს კიდობანი. ქალბატონებმა მარგალიტის მძივებად ყელზე ერთგულება მოიხვიეთ და მამაკაცებთან ერთად იმ ვაზის ნერგებისათვის ადგილი შეარჩიეთ, რომელ ნერგებსაც ისინი რუდუნებით წამოიღებენ. შეჭედეთ ნოეს კიდობანი.

შეჭედეს.

და დადგა 1991 წლის 26 მაისი.

იხაროს ქართულმა ვაზმა. იმრავლოს ქართულმა გენმა.

იხარა.

დამოუკიდებლობა.

თავისუფლება.

"თავისუფლება თავის შეკავებაში კი არ არის, არამედ საკუთარ თავის ფლობაშიაო''-ამბობდა ფიოდორ დოსტოევსკი და თუ ფლობ საკუთარ თავს, საკუთარ სიტყვას, საკუთარ საქმეს, მაშინ ქვეყნის თავისფლებაა შენი თავისუფლებაც. ვიცი და ვგრძნობ, რომ „სიტყვებს გააჩნიათ საკუთარი სული", რომელიც იქ ბინადრობს სადაც ჩემი თავისუფლებაა, სადაც ჩემი არსებობის აზრია, სადაც წიგნია და კანონი. კანონს დიდი ილია უწოდებდა ადამიანის თავისუფლების ციხესიმაგრეს. ისინი კი ვინც მოწოდებულნი არიან დაიცვან ჩემი და თქვენი თავისუფლება „ერის უკეთეს კაცთაგან" გამორჩეულნი არიან.....

მე თავისუფალი ვარ.....

თავის უფალი....

და ყოველთვის მინდა დავიცვა დემოკრატიის ეს უდიდესი მონაპოვარი.

ჩემი თავისუფლება - ჩემი აქტიური ჩაბმულობაა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

ჩემი თავისუფლება - ჩემი პიროვნული და გონებრივი მონაცემების დაუზოგავად დახარჯვაა, ჩემი დაუსრულებელი ზღაპარია სულიერების ტაძარში, იქ სადაც ადამიანის ყველა სულიერი სიმდიდირის საგანძურია განთავსებული.

ჩემი თავისუფლება – საქმის სიყვარული....

და თუ გიყვარს რასაც აკეთებ, თუ ეს სიხარულისა და სიმშვიდეს განიჭებს - ხარ ბედნიერი, მაშასადამე ხარ თავისუფალი... თავის უფალი..... ე.ი. ყოველთვის მზად ხარ დაიცვა კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი... თავისუფლება... ყოველთვის დაიცავ შენი ქვეყნის დამოკიდებულობას... დაიცავ კანონს ღმერთისგან და ადამიანებისგან დაწესებულს სხვას გადაცემ, ის სხვა სხვას და ასე დაუსრულებლად... ნოდარ დუმბაძის არ იყოს.....მე არ ვიცი ხვალ რა იქნება, მაგრამ ამ პატარა აღსარების შემდეგ, ძალიან ბედნიერი ვარ. „თავისუფლება არის მსახურება", სწორედ ამ თავისუფალ მსახურებაშია ჩემი ცხოვრება ჩატეული დამოკიდებულობიდან თავისუფლებისაკენ, თავისუფლებიდან დამოუკიდებლობამდე.

ინგა გოგიბერიძე
დირექტორი
აკაკი წერეთლის სახელობის
ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

2018 წლის 26 მაისს საქართველოს პირველ რესპუბლიკას 100 წელი შეუსრულდა! დამეთანხმებით, ეს თარიღი გულგრილს ვერ დატოვებდა ვერც ერთ მამულიშვილს. 100 წელი გავიდა იმ დღიდან, როდესაც საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ განაცხადა: "ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დემოკრატიული სახელმწიფო; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა".

თითქოს ასრულდა დიდი ილიას ოცნება: "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო" და მოხევემაც დაკარგული გზა იპოვა! თუმცა გაჩნდა ახალი თავსატეხი, როგორ ვიაროთ ამ გზაზე, როგორ შევასხათ ხორცი ღვთით ბოძებულ, კონსტიტუციურად დადასტურებულ ჩვენს ადამიანურ და ეროვნულ უფლებებს. რა ფორმები, რა მეთოდები უნდა ავირჩიოთ იმ გზაზე სვლისას, რომელმაც ტაძართან უნდა მიგვიყვანოს.

ურთულესი ამოცანა იდგა ქართველი მამულიშვილების წინაშე, ხოლო საუკუნე, რიგით მეოცე, მრავალი განსაცდელით და ხიფათით აღსავსე! მან კაცობრიობას სასტიკი ტრაგედიები დაატეხა თავს, რომლებიც თვით ადამიანურობის არსს, ჰუმანურობას დაემუქრა განადგურებით.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძვნებელმა კრებამ დაამტკიცა „საქართველოს კონსტიტუცია". მასში აისახა ქვეყნის დამოუკიდებელი ცხოვრების ყველა მონაპოვარი. კონსტიტუცია ეყრდნობოდა 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის პრინციპებს, ითვალისწინებდა სახელმწიფოერბივი ცხოვრების, მისი ძირითადი დებულებანი შემუშავებული იყო ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების, განსაკუთრებით შვეიცარიის დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით.

საქართველოს კონსტიტუცია ასახავდა დემოკრატიული დამოუკიდებელი რესპუბლიკის მონაპოვარს სახელმწიფოებრივი და სამეურნეო კულტურის ყველა სფეროში, ქმნიდა საიმედო გარანტებს ამ მონაპოვართა შემდგომი განვითარება-სრულყოფისათვის. მაგრამ კონსტიტუციას, სამწუხაროდ, მხოლოდ 4 დღის სიცოცხლე ჰქონდა. 1921 წლის 25 თებერვალს იგი დამპყრობელ ძალთა მიერ ფეხქვეშ იქნა გათელილი...

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი"/ კოლაუ ნადირაძე/.

დამცხრალიყო კოჯორი და ტაბახმელა, ცვიოდა ფანტელები და „განგმირულ მკერდებს, დალწილ მკლავებს" ეფინებოდა იგი..."ხოლო წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით შემოდიოდა სიკვდილი ცელით...."/ კ.ნადირაძე/.

1921 წლის 25 თებერვალს მე-11 წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ! საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 18 მარტს დატოვა საქართველო და საფრანგეთში გაიხიზნა. მან თან გაი-

ყოლა ეროვნული განძეულობა, რომლის მოვლა-პატრონობა ექვთიმე თაყაიშვილს დაევალა, ცნობილ მეცნიერსა და ისტორიკოსს.

დასამარდა საუკუნოვანი ოცნება - დამოუკიდებლობა! არადა, საქართველოს დემოკრატიული მოძრაობის საგარეო ასპარეზზე ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა უცხო სახელმწიფოთა მიერ. ეს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე უნდა გადაწყვეტილიყო. ბერლინში იმედგაცრუებულმა საქართველოს დელეგაციამ (ნ. ჩხეიძე, ი. წერეთელი,ზ. ავალიშვილი) პარიზს მიაშურა და კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, სადაც ასაბუთებდა მისი დამოუკიდებლობის კანონზომიერებას და მოკავშირეთა საბჭოსაგან დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებას მოითხოვდა. საქართველოს დელეგაციის წევრებს, ამის გარდა, ცალკე შეხვედრები ჰქონდათ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის წარმომადგენლებთან. დელეგაციას ყველგან თავაზიანად იღებდნენ, დაპირებებსაც არ იშურებდნენ, მაგრამ რეალურად საქმე წინ ვერ მიდიოდა. ევროპის დიდ ქვეყნებს პირველ რიგში "რუსეთის საკითხი" აინტერესებდათ. მათ მიაჩნდათ, რომ რუსეთი, თეთრი იქნებოდა იგი თუ წითელი, ვეებერთელა ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობების ქვეყანა იყო და მასთან წაკიდება საქართველოს გამო არ იყო მიზანშეწონილი. სტრატეგიულად და ეკონომიკურად მრავალმხრივ ხელსაყრელი ეს ქვეყანა ბევრისთვის აღმოჩნდა საინტერესო, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს დელეგაციის მცდელობა პარიზში წარმატებით ვერ დასრულდა. ისეთივე უნაყოფო აღმოჩნდა, როგორც დიდებული საბა-სულხანისა. ევროპის პოლიტიკურმა მესვეურებმა მათთვის ჩვეული თავაზიანობით უხვი დაპირებები გაიღეს, საქართველოს მიმართ დიდი სიმპათიები გამოავლინეს და მას მორალური მხარდაჭერაც აღუთქვეს, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან... აქ, თბილისში კი 1921 წლის 25 თებერვალს მკერდშელეწილნი განისვენებდნენ ქართველი იუნკრები, დიდი მოძღვრის, ივანე ჯავახიშვილის, დარიგება ზედმიწევნით რომ შეესრულებინათ, ზეციური საქართველოს სტუმარი გამხდარიყო მარო მაყაშვილი... ემიგრაციის მძიმე გზას დასდგომოდნენ ქვეყნის ჭეშმარიტი ხელისუფალ-ჭირისუფალნი...

..."ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...."/გალაკტიონი/

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველომ დაკარგა ეროვნული სუვერენიტეტი. ხელმეორედ დაიპყრო რუსეთმა! „წითელი ჭირი" უარს ამბობდა ყოველგვარ სიწმინდეზე, ეროვნულობასა და თვითმყოფადობაზე. კვლავ ჯვარზე გააკრეს მრავალჭირნახული საქართველო, ისევ გოლგოთა, ურთულესი გზა...

„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს"(ო.ჭილაძე). სამწუხაროდ, სწორედ რომ პოლიტიკური მონობის პერიოდი დაიწყო. ყველა მოაზროვნე, ვინც არ „გაწითლდა", ვისაც არ სურდა"ოქროს გალია", რეპრესიებს ემსხვერპლა: "შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ

ვერ გადვურჩები.“/ტიციან გაბიძე/; “მიშველეთ ღორებში ჩავარდნილს, ღორებში დარჩენილს მარად. /პაოლო იაშვილი/. სამწუხარო რეალობამ ბევრი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. “წითელი ჭირი“ გაძლიერდა და ხელისუფლად „ჯაყონი“ მოავლინა, მამულიშვილთ კი გაურკვეველი აღსასრული არგუნა...

რეპრესიებს სამამულო ომო მოჰყვა. სამამულო უწოდეს, რადგან საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, აღარ არსებობდა. “დიდმა ძმამ“ 15 ქვეყანა გააერთიანა და შექმნა „დიადი საბჭოეთი“. ქართული სისხლი უხვად დაიღვარა რუსეთის სხვადასხვა კუთხეში და, არამარტო რუსეთის. პროცენტული მონაცემებით, ჩვენ ყველაზე მეტი ადამიანი დავკარგეთ.

მე, რა თქმა უნდა, ფაშიზმის მეხოტბე არა ვარ. არც ის ქართველები ეტრფოდნენ ჰიტლერს, ვისაც იმედი ჩაესახა გათავისუფლებისა, გერმანიის მეშვეობით, თუმცა ეს წყალწაღებულის ხავსზე ჩაჭიდება უფრო იყო...

„დიადმა საბჭოეთმა“ გაიმარჯვა და ასპარეზზე გამოჩნდნენ „ბელადები“, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა ძლიერი რუსეთი თავისი შემადგენელი საბჭოთა ხალხებით - არა ქართველებით, არა ტაჯიკებით, აზერბაიჯანელებით თუ მავანთა და მავანთა, არა, ერთიანი საბჭოთა ხალხით! შემდეგ ეროვნულ ენას დაემუქრა უდიდესი საფრთხე. ვინ დაგიდევდა იოანე ზოსიმეს “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ ანდა ილიას “მამული, ენა, სარწმუნოებას“? რუსეთის იმპერიის ინტერესებში არ შედიოდა ეროვნული თვითმყოფადობა. ჩვენდა საბედნიეროდ, იატაკქვეშ ღვიოდა ქართული სული. ვერ წაგვართვეს დედაენა! არადა, რა პირით შეგვეხედა იმ ფერეიდნელი ქართველებისთვის, უცხოობაში რომ შეინარჩუნეს მშობლიური ქართული?

„დიდმა ძმამ“ ბევრი ტკივილი გვაგემა, და მაინც, 1991 წლის 9 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილის პატივსაცემად, მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, ის ერთადერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოს საერთაშორისო ცნობა.

1991 წლის 9 აპრილის შემდეგ: “საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასს-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტით“.

ვწერ თხზულებას და, გიორგი ლეონიძისა არ იყოს, გარეთ მინდა გავიქცე, ხომ მშვიდობაა და ხმაურობს ქართული სისხლი! რუსეთის მტრობა როდი მაქვს გულში? ვაჟას დავესესხები, ჩემი ქვეყნის სიყვარული არ ნიშნავს სხვათა სიძულვილს, თუმცა ვშლი ისტორიის ფურცლებს და გული მტკივა! განა იმიტომ ვეძებეთ ერთმორწმუნე ქვეყანა შემწედ და მეგობრად, რომ მტრად მოგვკიდებოდა? 9 მარტი და 9 აპრილი, წართმეული თავისუფლება, ტერიტორიები, ამდენი დევნილი, ტკივილი და უმთავრესი

- როდის ვიხილავთ ერთიან, ძლიერ, გაბრწყინებულ ივერიას?

2008 წელს გავიხსენებ. ერთმორწმუნე „ძმამ დაგვიბომბა ტერიტორიები და უმოწყალოდ გაუჩინა ცეცხლი ბორჯომ-ხარაგაულის ტყე- პარკს! ხანძარს თურქეთის თვითმფრინავები აქრობდნენ....დამეთანხმებით, კომენტარი ზედმეტია....

21-ე საუკუნეს თავისი გამოწვევები და საფიქრალი აქვს. ინტერნეტმა და სხვადასხვა სოციალურმა ქსელმა დააახლოვა დედმიწის მოსახლეობა. და განა რუსეთთან არ შეიძლება გვქონოდა კეთილმეზობლური ურთიერთობა? მე ქართველი ქალი ვარ და დედა, რომელსაც ისევე სტკივა ძაძით მოსილი ქართველი ქალი, როგორც რუსი, აფხაზი, ოსი...

საქართველოს გზა უცვლელია და ევროპული ფასეულობებისა და აზროვნებისკენ მიდის... ხოლო დიდი ილიას სიტყვა "მამული, ენა, სარწმუნოება", ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის გულზეა სამუდამოდ ამოტვიფრული!

მაია ბეგაძე
მკითხველი
სოფელ ზეგაანის ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – რესპუბლიკის 100 წელი

ქართველი ერის ხანგრძლივი და სისხლით ნაწერი ისტორია მუდამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის გზაა. ეს ის ფასეულობებია, რომლებიც ასულდგმულებდა ქართველ ერს და აძლევდა ძალას, რათა გამკლავებოდა ათასი ჯურის მომხდურს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ეტაპი მე-19 საუკუნის ეროვნული მოძრაობაა, რომლის ლოგიკური შედეგიცაა 1918 წლის 26 მაისი. ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ნანატრი დამოუკიდებლობა აღიდგინა ერმა, ეს ძალიან დიდი მონაპოვარი იყო, რომელსაც შენარჩუნება სჭირდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვება შედარებით ადვილია, მისი შენარჩუნებაა ძნელი. საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკა ყველანაირად ცდილობდა მოეპოვებინა პოლიტიკური მხარდამჭერები საერთაშორისო ასპარეზზე იმპერიის წინააღმდეგ, რომელიც თავს ადვილად არ დაანებებდა თავისუფლების მოყვარე პატარა ერს. არასრული სამი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა ჩვენი ქვეყანა, თუმცა საბჭოთა ინტერვენციამ შეაჩერა მისი განვითარება და 1921 წლის 25 თებერვალს სისხლში ჩაახშო მისი დაუცხრომელი მისწრაფება ევროპული განვითარებისაკენ. მტრად მოსული ქართველები მოუძღოდნენ წინ მე-11 წითელ არმიას და როგორც პოეტი ამბობს: „აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი." არ დაუყრიათ ფარ-ხმალი ქართველ პატრიოტებს, იბრძვის ქაქუცა თავისი შეფიცულებით, იბრძვის მთელი საქართველო ბრძოლის ველსა თუ სიტყვის სარბიელზე, იმპერია დაუნდობლად და უსასტიკესად უსწორდება მათ, ქვეყანაში მასობრივი რეპრესიები მძვინვარებს, ხალხის მტრებს უწოდებენ თავისუფლების ავტორებს და ხალხის სახელით უსწორდებიან, არადა ისინი ხომ სამშობლოს ბედნიერებისათვის იბრძოდნენ: „ბედნიერებას მას უმალავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა." მწერლობა იქცა უმაღლეს ტრიბუნად, ბრძოლის ველად, ეროვნული მოძრაობის ფორპოსტად. ამ პერიოდის მწერალი და მკითხველი შეადგენს ერთ მთლიანობას, ლიტერატურა კი საბრძოლო მოწოდებად გაისმის და შეახსენებს ქვეყანას უმაღლეს ღირებულებებს. ამიტომაც ანადგურებს იმპერია ჭეშმარიტ მწერლობას და ხალხს სთავაზობს ბელადის საამებელ პროლეტარულ ლიტერატურას, თუმცა ხალხი შესანიშნავად არჩევს ნამდვილს ყალბისაგან, მაგრამ ეს მაშინაა შესაძლებელი, როცა ქვეყანას სიმართლეს არ უმალავენ. მე იმ თაობის შვილი ვარ, რომელსაც ათქმევინებდნენ სიტყვებს: „თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარ!" მე არც კი ვიცოდი მაშინ რას ვამბობდი, ახლა კი შეწუხებული ვიხდი ბოდიშს სამშობლოს წინაშე და ქედს ვუხრი იმ გმირებს, ვინც სამშობლოს მართალ ისტორიას გვაზიარეს.

რა არის დამოუკიდებლობა? რას გულისხმობს თავისუფლება და რატომაა ეს ცნებები ქართველისთვის ასე მნიშვნელოვანი? ამ კითხვებზე პასუხები ყველგან მიძებნია და ყველაზე საინტერესო მიგნებანი მიპოვნია ლიტერატურაში, რომელიც ერის ცხოვრების საუკეთესო გასაღებია. ჩვენი ქვეყნის ბოლო 100 წლის ცხოვრება 70-წლიანი ბოლშევიკური ტერორის „წყალობით" სისხლიანი და ტკივილიანია, თუმცა თავისუფლე-

ბისათვის ბრძოლის ამამაღლებელ სურათებსაც გვიხატავს. ქართული ლიტერატურა თავისი არსებობის თხუთმეტ საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ზუსტად გვიხატავდა ქართველი კაცის ხასიათს, მეოცე საუკუნის ლიტერატურა ამ მხრივ განსაკუთრებულია. ამ ეპოქის ლიტერატურამ ისტორიისა და სულიერების მისიაც თავის თავზე აიღო, რადგან საბჭოთა იმპერიამ მართალი ისტორია აკრძალა, ეკლესია დახურა, ყოველგვარი ეროვნული მოსპო და გაანადგურა, ქართული მწერლობა იქცა უმაღლეს ტრიბუნად, ქართველმა მწერლებმა კი პირდაპირ ცეცხლის ხაზზე გაიარეს. ბევრი შეეწირა საბჭოთა რეპრესიებს, ბევრი იძულებული გახდა ხარკი გადაეხადა პირსისხლიანი ურჩხულისათვის. მწერლები გამოსახვის ისეთ ხერხებს მიმართავდნენ, რომლებითაც შენიღბავდნენ თავიანთ სათქმელს იმ იმედით, რომ მაღალი გემოვნების მქონე მკითხველი ეპოქის სულისკვეთებას მაინც ამოიკითხავდა. ნიკო ლორთქიფანიძემ თავის შემოქმედებაში სულისშემძვრელად გადმოგვცა სამშობლოზე შეყვარებული მწერლის სულისკვეთება და თან თითოეული მოქალაქის დამოკიდებულებაც გამოხატა. ვის არ წაუკითხავს მისი მინიატურები და არ შეძრულა ემიგრანტის განცდით, სამშობლოს მონატრებამ გული რომ დაუფერფლა. ვისაც წაუკითხავს ელი გორდელიანის ტრაგიკული ცხოვრება, იმაზეც დაფიქრდებოდა, რომ ეს მოთხრობა შეუძლებელია ქარაფშუტა ქალის ცხოვრებას ასახავდეს. ამ ქალის ტრაგიკული ბედი ზუსტად ჰგავს საქართველოს ისტორიას XIX - XX საუკუნეებში. ელისა და ბორენკოვის ისტორია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას გვიხატავს. როგორც ბორენკოვმა შელახა ელის ღირსება, ასევე მოექცა რუსეთი საქართველოს, რის გამოც ელიმ თავი დააღწია ამ სამარცხვინო ყოფას და გაექცა ბორენკოვს. ცხოვრებამ ელი იერონიმე შვინდაძეს შეახვედრა. 26 მაისმა დააკავშირა ერთმანეთს ელი და შვინდაძე, თუმცა მათი ბედნიერება ისეთივე ხანმოკლე აღმოჩნდა, როგორიც საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ელი გადარჩენის გზას ევროპასთან კავშირში ხედავს, იგი ინგლისელ ჰექსლეის უკავშირდება. ევროპასთან კავშირზე მიუთითებს ელის წარმოშობაც, იგი დედით გერმანელია. ჰექსლეის საშუალებით ელი უკავშირდება ამერიკელ მილიონერს ბრომლეის. ქართველი ქალის ეს ურთიერთობები საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთობებს გულისხმობს და მხატვრული ნაწარმოები შესანიშნავად გადმოგვცემს ქვეყნის ისტორიას. ლიტერატურის დანიშნულებაც ესაა, აღწეროს ერის რეალური ცხოვრება და აღზარდოს მკითხველის სული. ელი, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებელი ქალია, მიხვდა, რომ დამოუკიდებლობა თავისუფლებას თუ არ გულისხმობს, შეიძლება ტყვეობაში აღმოჩნდე. ამიტომაც გადაწყვიტა გაერღვია ეს რკალი, რასაც შეეწირა კიდეც. მწერალმა ნაწარმოებით თვალწინ გადაგვიშალა ჩვენივე ისტორია და მიგვანიშნა თავისუფლებისთვის ბრძოლის აუცილებლობისკენ.

ამავე სულისკვეთებას გვინერგავს მიხეილ ჯავახიშვილიც, რომელიც საბჭოთა ტერორის მსხვერპლად იქცა ავადსახსენებელ 1937 წელს. მანამდე 1924 წლის აჯანყების დამარცხებით გულდამძიმებული მწერალი „ჯაყოს ხიზნებს“ წერს და აცხადებს, რომ „სული ამ ეპოქის სისხლში აქვს ამოვლებული“. მარგოს ბედით მწერალმა საქართველოს უბედური და პა-

ტივაყრილი ყოფა დაგვიხატა, უნიათო და უღირსი ქმრის ხელში დაუცველი რომ დარჩა. მარგო, თეიმურაზისაგან განსხვავებით, განიცდის ნაშინდარის ბედს. აქაც, როგორც ნიკო ლორთქიფანიძესთან, შინდისფერი დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლიკაზე მიგვანიშნებს - „შვინდაძე“, ნაშინდარი. დამოუკიდებელი საქართველოს დროშა შინდისფერი იყო. რომანში ასეთი მინიშნებაცაა: „ვარდის ფერი საქართველო დამუქდა და გაწითლდა.“ მაშინ, როცა ისტორია ვერც კი ახსენებდა ამ ფაქტს, ლიტერატურა მიანიშნებს მკითხველს. უფრო მეტიც, მ. ჯავახიშვილმა ღიად მიანიშნა ქართველ ხალხს იმ ეროვნულ საფრთხეზე, რასაც შიდა ქართლის დაკარგვა ჰქვია. აკი გმინვასავით გაისმა საქართველოში: „ჯავახიშვილმა გაგვაფრთხილა, ჩვენ კი ყურიც არ ვათხოვეთო“.

კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ მკითხველში სხვადასხვა ინტერპრეტაციას იწვევს, მაგრამ ეს რომანი, მიუხედავად ისტორიული თემატიკისა, რომელსაც თითქოსდა XI საუკუნეში გადავყავართ, ზედმიწევნით აღწერს XX საუკუნის ისტორიას. საბჭოთა ტერორის პერიოდში დაუნდობლად, ცრუ ბრალდებით ისჯებოდნენ თავისუფლების დამცველები. რომანის ძირითადი სათქმელიც თავისუფალი ნების მოწინააღმდეგე ტირანული სახელმწიფოს კრიტიკაა, თავისუფალი ხელოვანი მუდამ განწირულია სასტიკ სახელმწიფოში, რაც არ უნდა კარგი იყოს მისი შემოქმედება, რადგან იგი თავისუფალი ერის თავისუფალი შვილია, რომელსაც ბორკილს ვერავინ დაადებს. ზოგს ჰგონია, რომ მწერალმა საბჭოთა სისტემას ხარკი გადაუხადა და ეკლესიის მესვეურნი საჩოთირო სიტუაციებში აღწერა. სინამდვილეში მწერალმა ზუსტად დახატა ეპოქა. ამ პერიოდში ეკლესია დახურულია და იგი ერის სულიერების მესაჭე აღარ არის. მისი ადგილი დაიჭირა საბჭოთა იდეოლოგიამ, რომელიც დაუნდობლად ანადგურებდა განსხვავებულად მოაზროვნეებს. ძალზე საინტერესოა რომანის მიხედვით ის, რომ ხუროთმოძღვარი არსაკიძე ერკინება მრისხანე ღმერთს, არადა ბიბლიის მიხედვით იაკობის ღმერთი მრისხანე არ არის, მან იაკობი გამბედაობისა და ბრძოლის უნარიანობის გამო ისე შეიყვარა, რომ მას ისრაელი უწოდა და მისი მოდგმა ყველაზე მეტად გაამრავლა. რომანში თავისუფალი ხელოვნის ბედი არა XI, არამედ XX საუკუნეში თავისუფლებისთვის მებრძოლთა ბედს განასახიერებს, მელქისედეკი სახეა არა დიდი კათალიკოსის, არამედ მრისხანე საბჭოთა ურჩხულისა და მკითხველს უნერგავს სულისკვეთებას: „ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, სვეტიცხოველი კი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“. აქ ღმერთში საბჭოთა სისტემა იგულისხმა მწერალმა, კომუნისტებმა ხომ ღმერთად თავიანთი თავი გამოაცხადეს. მწერალი რომანით მიანიშნებს, რომ იმპერია დაიმსხვრევა, საქართველო კი გადარჩება, რაც ახდა კიდეც. აი, რა ძალა აქვს ლიტერატურას, რომელსაც თავისუფლების მწერლები ქმნიან. ისინი, საშინელი ტერორის მიუხედავად, ბრძოლისაკენ მოგვიწოდებენ. ამიტომ მკითხველიც ისეთივე მეისტორიეა, როგორიც მწერალი, რადგან დიდი წიგნი მისთვის იწერება, მან უნდა წაიკითხოს და გამოიყენოს, როგორც სამოქმედო პროგრამა. ლიტერატურას ხომ თავისუფლება მოაქვს, პიროვნული თავისუფლება. აბა, მოვუსმინოთ ვასიკო კეჟერაძეს, თუ რა დანიშნულება აქვს ლიტერატურას

მკითხველის ცხოვრებაში. ლიტერატურა უსახავს მკითხველს მაღალ იდეებს, იგია რეალური ცხოვრების სარკეცა და მომავლის ნამდვილი ხატიც. ნათქვამია: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო“ და ერის ცხოვრებაც შესაბამისად წარიმართა. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან გაგრძელებულმა ეროვნულმა მოძრაობამ დაიწყო ბრძოლა ადამიანის უფლებების დასაცავად, 80-იან წლებში ეს ბრძოლა ძალზე აქტიურ ფაზაში შევიდა და მალე დაიხსნა თავი საქართველომ ურჩხულის ტყვეობისგან. 1991 წლის 9 აპრილი - ჩვენი ქვეყნისთვის მეოცე საუკუნეში უკვე მეორედ დამოუკიდებლობის მოპოვების თარიღია, თუმცა ნამდვილი ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, მის თავისუფლად გადაქცევას სჭირდება. უკვე წლებია ჩვენი ქვეყანა იბრძვის რეალური თავისუფლებისათვის და ჩვენი მთავარი ამოცანა, თითოეული მოქალაქის მისწრაფება ეს უნდა იყოს, რადგან თითოეული მოქალაქე ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის ძალიან ძვირფასია. ეროვნული ღირებულებებით, ევროპული ფასეულობებითა და მართმადიდებლური იდეებით იქცევა ჩვენი დამოუკიდებლობა თავისუფლად, რასაც უკვე 100 წელიწადია ესწრაფვის ქართველი ერი.

ვარ ბედნიერი და უსაზღვროდ მადლიერი უფლისა, რომ ვარ ამ ეპოქის შვილი, მოვესწარი ამ დიად თარიღს და მოვუწოდებ მომავალ თაობებს - „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ“.

მზია გოგაძე
მკითხველი
დაბა შუახევის რაიონული ბიბლიოთეკა
შუახევის საბიბლიოთეკო გაერთიანება

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ

სიომ დაუბერა, გრილ და მშვიდ ამინდს პირდებოდა დილა.... განცდა სამომავლო, გეგმების ხორცშესხმა, იმედი სულის ტკივილის განელებისა და სანუკვარი ოცნებების აღდგენისა...

1918 წელი ჩარჩა ცნობიერებაში უბედნიერეს დროდ. მძიმეა ხვედრი სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული სულის. სულის, რომელსაც ვერ მოკლავ, ვერ დაიმონებ. ქართველი ერის ქვეცნობიერში ჩადებული გენური კოდი: "თავისუფლება", არასოდეს დაკარგავს გზას, ეს კოდი უწყინარი პატარა ნაკადულივითაა, რომელიც აუცილებლად იფეთქებს, ღვარცოფად დაატყდება თავს, კვალს დატოვებს, წარუშლელს....

თავისუფლებისადმი ლტოლვა და სისხლის ფასად მოპოვებული დამოუკიდებლობა.

მოლოდინში გატარებული დრო და აი ისიც. საქართველო თავისუფალია, დამოუკიდებელია. გეგმები, მიზნები, ოცნებები იწყებს ტივტივს და პასუხს ითხოვს კითხვებზე. ქვეყანა ულამაზესი წარსულით, რომელმაც უსაშველოდ დიდი გზა გაიარა სისხლით და მახვილით, წამოდგომითა და დაცემით, მოიტანა დღევანდლამდე მიწა, მამული, სარწმუნოება.

დიდი იყო პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნისადმი. ეს ტვირთი მხრებზე მოირგო და არ შეშინებია... "დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო", როგორც მიზანი, სიცოცხლეზე მეტი.

1922 წლის თებერვალი. თეთრად მოფარფატე ფიფქები ეფინება გაყინულ ხის ტოტებს და ზეციურ სიწმინდეზე ეჩურჩულებიან მიწას, მაგრამ მიწაზე დამხობილნი ცრემლად იქცევიან, სევდას გმატებენ ეს თეთრი ონავრები.

სარკმელს მიაყრდნო თავი და გაჰყურებს მიდამოს. დარდი და ტკივილი გულს უკოდავს, იმედგაცრუება აუვსებს თვალის უპეებს და გარეთ გამოსვლას ცდილობს.

სამი წელიწადი სათუთად ნაფერები, ღამეებნათევი დამოუკიდებლობა ხელიდან ეცლება.

რა ქნას, რით უშველოს, გამოსავალი ერთად-ერთია: ემიგრაცია...

საქართველოს მიწას გულში ჩაიკრავს, წავა და ყველაფერს თავიდან დაიწყებს. წავა იმ იმედით, რომ უკან დაბრუნდება, დაბრუნდება საკუთარ უსუსურობაზე გამარჯვებული, გაძლიერებული. ეს იმედი მიუძღვება წინ. თავისუფლება შელახული ქვეყანა ვერ ეთმობა, მაგრამ გზაც რომ არა ჩანს, ეზოში ჩამოსული გახამებულ ხელსახოცს ჯიბიდან ამოიღებს და ხელისკანკალით მიწას მუჭაში მოიქცევს, ეამბორება, მიუალერსებს და ხელსახოცში სათუთად გადაახვევს.

დატკბი, დატკბი შენი მიწის სურნელით, ეძახის შინაგანი ხმა, მაგრამ არ ნებდება... ზეცას ახედა, ცრემლიან სახეს ფანტელები უფარავდა. შეშურდა უდარდელი თოვლის ფანტელების, რადგან ყოველი ზამთრის დადგომისას ისინი საქართველოს მიწას გადაეფარებოდნენ, მისთვის კი დაბრუნების დრო არ იყო გათვლილი.

აყვირდა გემის საყვირი და წასვლისაკენ მოუხმო მგზავრებს...გემბა-

ნი... იმედების მსხვრევა და ქანდაკებასავით ერთი უსულგულო მგზავრი გემბანზე... ემიგრაცია, მძიმე, ძნელად მოსანელებელი...საზარელი ემიგრაცია!

ჯერ არ წასულს გონება უკან აბრუნებდა თავის პატარძალსავით მორთულ სამშობლოში... იცოდა წინ მძიმე დღეები ელოდა. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის, თავისუფლებისაკენ ლტოლვის.

აქ კი ქვეყანა მძიმე და ხანგრძლივი ძილისთვის ემზადებოდა... პატარა ბავშვივით დედა რომ მიუალერსებს ან დასტუქსავს დაიძინეო. ბავშვისთვის სარგებელი ქვეყნისთვის კი ძილი სიკვდილი, ხრწნა, ლპობა...არ უნდა დაიძინოს ერმა, არ უნდა დანებდეს. მის უკან დიდი წარსული და დიდი კულტურა დგას. ქვაში რომ აქანდაკა, ხეზე კვეთა.

მის სხეულში ორი არსება დაბინავდა ერთი მიზნით: დამოუკიდებლობა და თავისუფლება... შემოდგომის თბილი საღამო ლევილის მამული მზის სხივებში გახვეულა. სიო გაუგრილებს ტკივილნარევ ნაოჭებს სახეზე.

სტუმრების მოლოდინში სიმშვიდით დააბიჯებს პატარა ბაღში.

ზეცას ახედავს, დაფიქრდება და ხმამაღლა იტყვის საქართველოს ზეცას არ გავს არცერთი ქვეყნის ზეცა... არც საქართველო არ გავს არცერთ სხვა ქვეყანას. დრო გადიოდა, დღეები დღეებს მისდევდა, კვირეები - კვირეებს. ყოფიერებაზე ფიქრმა და ზრუნვამ თავისი გაიტანა. თითქოს ყველაფერი ერთ კალაპოტში მოექცა, მხოლოდ მასში ჩასახლებული რაღაც გაურკვეველი არსება არა სცხრებოდა, ბობოქრობდა, ბორგავდა გასკდომას და ნიაღვრად წამოსვლას ლამობდა.

მცირედი მიწერ-მოწერა ასულდგმულებდა... მაინც იბრძოდა, ემზადებოდა...წლებმა თავისი გაიტანა. დრო არაფერს აბრუნებს. წავა და თან წაიღებს კარგსაც და ცუდსაც. დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ ტკივილებს ვერ შლის, ჭრილობებს ვერ აშუშებს.

1973 წლის შემოდგომა. წვიმით და სუსხით დაღლილი ლევილი ზამთრისთვის ემზადება. დარაბებიდან საამო ჰანგები მოისმის. ფესვებს მოწყვეტილ ქართულ ინტელიგენციას საერთო ძარღვი არ გასწყდომია. და იმ იმედითაა, რომ კავკასიონზეც აკიაფდება თავისუფლების სხივი. სწორად გადადგმულ ნაბიჯს რამდენი სიკეთე მოჰყვება ხოლმე, საქართველოს ხელისუფლებამ ხომ კაპიტულაციაზე ხელი არ მოაწერა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა იურიდიული ძალისმქონედ დატოვა და ემიგრაციაში გააგრძელა მისი ისტორია.

ზამთრის სუსხიანი დღეები იწურება, თებერვლის ქარი არ ასვენებს ადამიანებს, ფიფქები ცვივა. სამარემდე მიაცილა სამშობლოს სიყვარულით ანთებულმა გულმა, უერთგულა, არ გაიყიდა, არ გაცვდა...

თენდება, დილა ხალისობს, სიცოცხლის წყურვილი...სიახლის იმედი... იმედი ბრძოლის იმედი გამარჯვებისა.

დაბორიალობს მისი სული აღმა და დაღმა, რომელსაც ვერავინ ამჩნევს, არავინ ხედავს, არავის ესმის მისი.

არ დანებდა ხვედრს და სული საქართველოში ბრუნდება. დაბრუნდა ბრძოლის ჟინ მორეული... საქართველოს ყველა კუთხეს და კუნჭულს გრძნობს. თავისუფალია, მაგრამ არა ერთიანი, თავისუფალია, მაგრამ

სევდიანი - ეს მისი საქართველოა, მისი ოცნება. რას არ გაიღებდა, ოღონდ შეძლებოდა განვლილი წლების საფუძველზე შეძენილი ცოდნა მომავალი თაობისათვის გადაეცა, მაგრამ ის სულია, მოკვდავი მისი გაგება შეუძლებელია.

გაოგნებელი პეტაგოგი მისჩერებია მათეს თვალებს და დაუჯერებლის დაჯერებას ცდილობს. რა ჩაუსახლდა მათეს თვალებში? წმინდაც, ძლიერიც და ამავედროს მიზანდასახული. ახალგაზრდა ბიჭი დიდ ჭირ-ვარამ გამოვლილივით ფიქრობს აზროვნებს... ლოგიკა დახვეწილი, მანერებით. მასწავლებელს მასთან გასაუბრება სურს, ახსნას უძებნის.... მაგრამ ამაოდ...

რატომ მიყურებთ ასე გაოცებით, მასწავლებელო? უცხოა სამშობლოსადმი სიყვარულის და ერთგულების ჟინი, თავდადება. თქვენ გიკვირთ საიდან ვიცი საქართველოს ტკივილზე, წარსულზე?

მე გიპასუხებთ არ ვიცი, ერთადერთი რასაც ვაცნობიერებ, ისაა, რომ ჩემსა და ჩემს თანატოლებშია ჩვენი ქვეყნის ბედი, სწორად დანახული გზა გვჭირდება ბრძოლით მოპოვებული თავსუფლების შესანარჩუნებლად.

საქართველოს ისტორია ახალგაზრდობას გადამწყვეტ ძალად თვლიდა ინტელიგენციასთან ერთად.

ჩვენ უნდა გავიყვანოთ დამოუკიდებელი საქართველო მსოფლიო ასპარეზზე, ჩვენი სწორად გადადგმული თითოეული ნაბიჯი საწინდარია წარმატების. ერთ მუშტად შეკვრით უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

კავკასიონზე კვლავ გაბრწყინდება თავისუფლების მზე, მზე საქართველოსი, რამდენი შეიწირა ამ დღემ. ღალატს გაუძლო საქართველომ. დადგება დრო და ბუმბერაზი ძალითა და ამბიციებით ფრთაშესხმული საქართველო გაბრწყინდება ეპოქის სიდიადის მხარდამხარ.

ქეთევან ხუციშვილი
მკითხველი
ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის „ალ. როინაშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანება“
ქ. დუშეთის მთავარი ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. 100 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო, თუმცა 1921 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ არსებობა შეწყვიტა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს შეძლო.

ქართველმა ერმა მძიმე წარსული დატოვა გასული ასი წლის ისტორიაში. ნაბიჯ-ნაბიჯ იკარგებოდა ეროვნული თვითმყოფადობა, გაუქმდა ეკლესიის ავტოკეფალია, ქართული წირვა-ლოცვა - რუსულით შეიცვალა, გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები, რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში, განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს, რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამოჩენილი მამულიშვილი, რომლებმაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ. დაწესდა ცენზურა.

„ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს“, ამბობდნენ თერგდალეულები და ყველანაირად ცდილობდნენ ეროვნული შემართების გაძლიერებას ადამიანებში. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი და დაიწყეს ბრძოლა საქართველოს ავტოკეფალიის აღსადგენად.

ამასობაში მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები, სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ გაანადგურა რომანოვთა სამწლიანი დინასტია.

საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე სულ რამოდენიმე ნაბიჯი იყო გადასადგმელი.

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი.

დამოუკიდებლობიდან დღემდე დიახ, 1918 წლის 26 მაისს საქართველო განთავისუფლდა. საქართველომ გადააგდო რუსეთის 117 წლიანი მძიმე უღელი, დაიბრუნა დაკარგული სახელმწიფოებრიობა და შეიქმნა სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჩვენ გვაქვს დღეისათვის ასწლიანი მძიმე ისტორია, რომელიც თაობებს აერთიანებს . . . აერთიანებს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. ჩვენ დღეს, 2018 წლის 26 მაისს, უკვე დიდი გამოცდილებით მოვედით მსო-

ფლიო კაცობრიობის წინაშე. ვნახეთ ბევრი ცუდი, და ვისწავლეთ ბევრი კარგი ამ ხნის განმავლობაში. ჩვენი თაობა დღეს ამაყია იმით, რომ საქართველოს ასი წლის წინ ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია, დროშა, გერბი, ჰიმნი! ჰყავდა არჩეული მრავალპარტიული საკანონმდებლო ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობები, თუმცა ამ ხნის განმავლობაში, დღემდე გვიწევს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა, დაკარგული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად. მხოლოდ ერთი განსხვავებით, რომ დღევანდელი ბრძოლის ველი გაცილებით თანამედროვე ეპოქას დაემთხვა და სტრატეგია ბრძოლის მეთოდების ადეკვატურად განსხვავებულია უკვე წარსულში დარჩენილ საუკუნესთან.

საქართველოს ხელისუფლებას დიდი სურვილი აქვს ევროკავშირმა დანიშნოს სპეციალური წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში და მიიღოს აქტიური მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციაში, თუმცა ისიც ვიცით, რომ ამ შემთხვევაში სამშვიდობო ოპერაციები გაეროს მიერ იმართება.

დღეს, დამოუკიდებლობის ასი წლის თავზე ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ეკლიანმა და რთულმა გზამ გვასწავლა ბრძოლა, ჩამოგვაყალიბა სრულფასოვან სახელმწიფოდ, გვაქვს ჩვენი სიხარული, ჩვენი ტკივილი, გვაქვს ჩვენი მომავალი, განათლების მაღალი საფეხურები, დამეგობრებული ქვეყნები, გაცვლითი პროგრამები, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მწერლები, ხელოვანი ადამიანები, პოეტები, სტუდენტები, აბიტურიენტები, ახალგაზრდები, მოხუცები, პროფესორები, მასწავლებლები, ჩვენ ჩვენი ისტორია გვაქვს, დიდი წიგნები, გაცრეცილი ფურცლებით, მძიმე ისტორიებით, ბრძოლის ველზე დაღუპილი გმირი ვაჟკაცები, გვყავს შვილმკვდარი დედები, გმირების დედები და ობლად დარჩენილი, უკვე წამოზრდილი შვილები . . . ახალგაზრდა ქვრივები . . .

ეს ჩვენი ისტორიაა, ჩვენი ბრძოლის ასი წელიწადი, ჩვენი ეკლიანი გვირგვინის ათწლეულები, ჩვენი ჭრილობაზე მარილდაყრილი აფხაზეთი და ოსეთიც გვეწვის თითოეულ ჩვენთაგანს. ჩვენ ძლიერი ქვეყნის ერთი მუჭა ქართველი ერი ვართ, ყოველ გაზაფხულს სისხლით გაჟღენთილი მიწიდან ყაყაჩოების ამოსვლას რომ ველით და შემდეგ ამ სიმბოლური ყვავილებით თავდადებული გმირების საფლავებსა და მემორიალებს რომ ვაწყობთ.

დიახ, ზუსტად ასი წლის წინ, გარიჟრაჟზე მზის ამოსვლასავით ლამაზად მოიპოვა ჩვენმა პატარა ქვეყანამ დამოუკიდებლობა და ამ გზის სხივებს ჩვენი მომავალი თაობის ნათელი ემატება. ჩვენი ქვეყნის აყვავებული გაზაფხულის მოლოდინში ყველა ერთად დავდგებით 26 მაისს, ყველა ადამიანი ვიქნებით მთელი სამაგალითო ერთმანეთის მსოფლიოსთვის.

სიყვარულისთვის, გატანისთვის, პატივისცემისთვის, სიკეთისთვის, ჩვენ ნამდვილად ვიმსახურებთ თავისუფლებას, ჩვენ ნამდვილად ბედნიერი მომავალი გვექნება, როგორც სახელმწიფო და ამაზე თითოეული

მოქალაქე შევიტანთ წვლილს. ჩვენ მალე დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს.

თუ შენც გჯერა ჩემი, ვინც ამას კითხულობ, მაშინ გავერთიანდეთ, კიდევ ერთხელ გავერთიანდეთ ერთიანი, ძლიერი და მებრძოლი საქართველოსათვის! ამინ!

ლელა დედაბრიშვილი
ბიბლიოთეკარი
სოფელ იყალთოს ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთინება

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ

სახელმწიფოს წარმოშობა თემური წყობილების რღვევის შედეგია. ბუნებრივი მდგომარეობის პირობებში ადამიანთა შორის ურთიერთობა ემყარებოდა პრინციპს – „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, რაც უფრო ცხოველური ყოფისათვის იყო დამახასიათებელი. თანდათან კაცობრიობა მივიდა იმ აუცილებლობამდე, რასაც საზოგადოებრივი ხელშეკრულება ჰქვია. პირველი სახელმწიფო სწორედ ამ ხელშეკრულების დადების შედეგად შეიქმნა, რაც მიზნად ისახავდა ბუნებრივი მდგომარეობის საშინელებათა თავიდან აცილებას.

იმისათვის, რათა სახელმწიფოებივი წარმონაქმნი სრულფასოვან სახელწიფოდ იქცეს, უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები: ტერიტორია, მოსახლეობა და სუვერენიტეტი. თითოეული არსებითია, თუმცა, ვფიქრობ, რომ დამოუკიდებლობა ყველაზე მეტად გამოხატავს ერის მისწრაფებასა და სურვილს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოს მხოლოდ თავისუფალი ადამიანები ქმნიან. თავისუფლება კი ადამიანის პიროვნული ღირსების გამომხატველი უზენაესი მორალური ღირებულებაა. ამრიგად, სახელმწიფო იმდენად არის დამოუკიდებელი და თვითმყოფადი, რამდენადაც მის შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულზე მცხოვრებ ადამიანთა ბუნებრივი მიდრეკილება და გამოხატულება თავისუფლებისა.

თეოდორ დოსტოევსკი თავის გენიალურ რომან „ძმებ კარამაზოვებში“ აღნიშნავს: „ადამიანისთვის თავისუფლებაზე უფრო მომხიბვლელი ამქვეყნად არაფერია, მაგრამ ასევე არაფერია მასზე უფრო მტანჯველი“. ჩვენი ქვეყანა ამის ნათელი მაგალითია, ვინაიდან არსებობის დღიდან „განებივრებული“ იყო მტრის რბევა-დამპყრობლური შემოტევით, ამასთან, ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთდროულად მრავალი მიმართულებით გვიხდებოდა ხმლის ქნევა. ერთი მხრივ, სირთულეს ქმნიდა რაოდენობრივად ჩვენზე ათჯერ მეტი მტრის ლაშქრის მოგერიება და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ხოლო, მეორე მხრივ, ურჩი ფეოდალების ალაგმვა. ნათქვამია, ციხე შიგნიდან ტყდებაო. სამწუხაროდ ამ ანდაზას ისე არავინ ამართლებს, როგორც ჩვენი ერი. ამგვარი ვითარება თითოეულ გამარჯვებას მეტად ამაღლებულს ხდიდა. შემთხვევით არ არის, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდგორის გამარჯვებას „ძლევაი საკვირველს“ უწოდებს. ქართული ლაშქრის მთავარი მიზანი იყო გამარჯვება, წინააღმდეგ შემთვევაში კი – გმირულად დაცემა ბრძოლის ველზე. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ, შემართებამ და სულისკვეთებამ განაპირობა ჩვენი ეროვნული, კულტურული თუ რელიგიური იდენტობის შენარჩუნება.

არაბობა, თურქსელჩუკობა, მონღოლობა, ოსმალობა და ყიზილბაშობაც კი არ აღმოჩნდა ქვეყნისთვის ისეთი დამანგრეველი, ავბედითი და შემაძრწუნებელი შედეგის მომტანი, როგორიც – ერთმორწმუნე რუსეთის მმართველობა. დაწყებული გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, რუსეთს დღემდე არც ერთი მათგანი არ შეუსრულებია. იგი თავისი მზაკვრული პოლიტიკური

რეჟიმის გავრცელებას 1801 წელს ქართლ-კახეთის ანექსიით შეუდგა, რასაც ეტაპობრივად მოჰყვა დანარჩენი სამეფო-სამთავროების გაუქმება, ხოლო 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა. ეს იყო უიმედობის, უნდობლობის, უუფლებობის, უკეთურობის, ბოროტმოქმედების, სიავის, კუდიანთა თარეშისა თუ სერობის, მონური ყოფის ხანა, სადაც დროთა მდინარება ზოგისთვის _ გაუსაძლისი, აუტანელი, შეუმჩნეველი ხდებოდა, ზოგისთვისაც – „ხელსაყრელი", „მომგებიანი", „იღბლიანი". „როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას". 1832 წლის შეთქმულებამ, რომელიც მიზნად ისახავდა ამიერ და იმიერკავკასიაში რუსთა თარეშის ალაგმვას, უშედეგოდ ჩაიარა, რადგან ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, იესე ფალავანდიშვილმა, შეთქმულების შესახებ აცნობა ძმას, რომელსაც რუსეთის მეფისნაცვალის ადმინისტრაციაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის წარუმატებლად განხორციელების შემდეგ არსებულ ვითარებაში აუცილებელი იყო ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც მიმართული იქნებოდა ქართველი ხალხის გამოღვიძებისკენ, ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყებისკენ.

ეს საქმე ითავა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ერმა სულიერ მამად მიიჩნია. „...რამდენადაც უფრო მეტად ვგრძნობთ უკეთესად ცხოვრების მოწყობის სურვილს და ხელმოკლეობას ამ სურვილის განხორციელებისათვის, იმდენად უფრო მეტად ვიტანჯებით, მეტად გაჭირვებულად გვეჩვენება ჩვენი არსებობა", – წერდა ილია. მან სწორად შეაფასა ქვეყანაში არსებული სიტუაცია და თანამოაზრეებთან (დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვა) ერთად შეუდგა საქმიანობას. ილია ხედავდა, რომ ქართული სამეფო-სამთავროები თვითგადარჩენის მიზნით ერთმანეთს სწირავდნენ, რაც მათ შორის გაუცხოებასა და გათიშვას იწვევდა, მოსახლეობის წოდებად დაყოფის პრინციპი აძლიერებდა თავადებსა და გლეხობას შორის არსებულ ხიდჩატეხილობის პრობლემას, ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩამოყალიბება-განვითარება კი ხელს უწყობდა ქართული არისტოკრატიის გაღატაკებას, რის შემდეგადაც იძულებულნი იყვნენ ფული სომხებისგან ესესხათ, უსახსრობის გამო ვალს მიწით იხდიდნენ, რაც ქართული ტერიტორიის ნელ-ნელა სომეხი ბურჟუაზიის შემადგენლობაში გადასვლას იწვევდა, ქართული ენის სახელმწიფო ენის სტასტუსით დამოუკიდებელ პირობებში არსებობისა თუ ფუნქიონირების საფრთხეც აშკარა გახდა.

ბუნებრივია, საჯაროდ გამოსვლითა და პირდაპირ ბრძოლისკენ მოწოდებით ბევრს ვერაფერს მიაღწევდნენ, ამას მხოლოდ მათი გადასახლება ან უფრო მძიმე ფორმის სასჯელი თუ მოჰყვებოდა. პირველი ნაბიჯი, რაც მათ გადადგეს, ქვეყნის მასშტაბით ჟურნალ-გაზეთების დაარსებით გამოიხატა. ჩვეულებრივ, ისინი ამ გზით ავრცელებდნენ სტატიებს, რომლებიც საქართველოში არსებულ ეროვნულ, პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს ეხებოდა. ინტელიგენცია საკუთარი ლიტე-

რატურული შემოქმედებით ესაუბრებოდა ქართველობას, ცენზურისთვის თავის დაღწევის მიზნით კი სათქმელს ალეგორიებით, მეტაფორებით, სახე-სიმბოლოებით ფარავდა. რასაკვირველია, იყო შემთხვევები, როცა ცენზორის წითელ კალამს ვერ გაურბოდა სიტყვებად გადმოღვრილი სათქმელი: ,,ხაზები, ხაზები... წითელი ხაზები, მოკლე და გრძელი ხაზები... ამოშლილი სიტყვები და წინადადებები, მთელი აბზაცები, წითელი ჯვრები, დიდი, წითელი კითხვის ნიშნები... შეუბრალებელ ფანქართან ბრძოლაში დახოცილი სიტყვები და აზრები... ხმა ჩამწყდარი ამოძახილები... წითელი ჯვრით გადახაზული, ჩახშობილი გულის ძგერა". ლიტერატურა თანდათან ურთიერთობის, გაგებინების, მინიშნებების, მოწოდებების, ,,ერის გულინადების" გამოხატვის საშუალებად იქცა.

,,ცისკარი", ,,საქართველოს მოამბე", ,,დროება", ,,ივერია", ,,კვალი", ,,მოამბე", ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"...

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში იაკობ გოგებაშვილის ,,დედა ენას", შეიქმნა სასწავლო დაწესებულება სკოლის სახით, ენის სიწმინდის დაცვას ემსახურებოდა ილიას სტატია – ,,ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვიდან ,,შეშლის"თარგმანზედა", რაც შემდეგ მამათა და შვილთა ლიტერატურულ-იდეური პოლემიკის მიზეზი გახდა, არისტოკრატების მიერ ვალის მიწით გადახდის თავიდან აცილების მიზნით, დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით, დაარსდა თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები.

ამრიგად, ,,თერგდალეულებმა" საკუთარი მოღვაწეობრივი ცხოვრებით შექმნეს მომწიფებული ნიადაგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფისთვის. 1918 წლის 26 მაისი, სწორედ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე გახლავთ. რუსეთის მმართველობისაგან თავის დაღწევა ქართლ-კახეთის ანექსიიდან მხოლოდ 117 წლის შემდეგ გერმანიის მხარდაჭერით შევძელით, თუმცა დამოუკიდებელმა საქართველომ არც თუ ისე დიდი ხნით შეინარჩუნა სუვერენიტეტი. 1921 წლის 25 თებერვალს რუსმა ოკუპანტებმა მოახერხეს თბილისის აღება, რასაც დაერთო სერგო ორჯონიკიძის ,,სამახარობლო" წერილი, რომელშიც სტალინს სწერდა: ,,თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!". ეს ფრაზა, რომელიც ერთდროულად თანაგრძნობის, ტკივილის, სირცხვილისა და უდიდესი ზიზღის განცდას იწვევს, მთელი სიმძაფრით ქმნის ტრაგიზმს, რომელიც, ერთ შემთხვევაში, ,,გაწითლებით", ხოლო, მეორე შემთხვევაში, ,,ჩინებული მამულიშვილის" სამარცხვინო წერილით გამოიხატება. ამის შემდეგ მთელი 70 წელი დაგვჭირდა თავისუფლების აღდგენისთვის. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის ულმობელმა სისტემამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, რომელთა შორის იყო ქართული საზოგადოება. რუსეთის მთავრობამ გააცნობიერა ინტელიგენციის როლი თავისუფლებისკენ სწრაფვის პირობებში და ამ პროცესის შეფერხება მათი ლიკვიდაციის გზით სცადა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც წერდა: ,,ჯაყო გმინვაა

ჩემი სულის“ და ამით ჯაყოს სიმბოლიკაზე მიუთითებდა, პაულო იაშვილი...

და ბოლოს, გიორგი მუხრანბატონი, ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის პროგრესი მცირე ერების მოსპობასა და დიდი ქვეყნების გაბატონებას გულისმობდა, რაც დიდ ხალხთან შერწმითა და ეროვნული თვითმყოფადობის, ენის დაკარგვით გამოიხატებოდა, ამის საპასუხოდ მინდა, გამოვიყენო ოთარ ჭილაძის პოემა, „ადამიანი გაზეთის სვეტში“, რომელშიც აღნიშნავს:

„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც
მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო
თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს.
არა სხეულის, არამედ სულის საჭური-
სობას ნიშნავს მონობა და ვინც სხვას
ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც.
...
პატივისცემის ღირსია ყველა, ვისაც სამშობლო
შერჩა და უყვარს. ვისაც სამშობლო უყვარს
და ცდილობს, აღარ დაადგას ქედზე უღელი,
არ დაამციროს ადამიანთა ყველაზე დიდი
მონაპოვარი, ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყოფი:
თავისუფლება!“

თავისუფლება არის საწყისი ყოველგვარი მშვენიერებისა.

...და მაინც რად მინდა ფრთები, თუ მას ქარის ქროლვას ვერ ავუწყობ?!

მარიამ პაპიაშვილი
მკითხველი
ქ. ბოლნისის იოანე ბოლნელის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა
ქ. ბოლნისის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო
და სამუზეუმო გაერთიანება

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი

საქართველოს 100 წლიანი გზა დამოუკიდებლობისაკენ სავსე იყო სირთულეებითა და პრობლემებით. ჩვენი პატარა ქვეყნის მთავარი საფიქრალი არის ის, რომ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს სხვა ერებს შორის. საინტერესოა, რა იყო უწინ საამაყო, მნიშვნელოვანი და სასარგებლო, რა გამოგვადგება დღეს, რომ ჩამოვყალიბდეთ ჭეშმარიტად თავისუფალ, დამოუკიდებელ ერად.

მეოცე საუკუნე, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი ცივილიზებული მსოფლიოსთვის, გარდამტეხი პერიოდი აღმოჩნდა. დავიწყოთ იქიდან, რომ 1918 წლის 26 მაისს ჩვენი ქვეყანა გამოეყო რუსეთს და დააარსა „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქვეყანას სათავეში სოციალ დემოკრატიული მოძრაობა ჩაუდგა. მმართველი პარტიის და ამასთან პოლიტიკოსთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიქმნა პარლამენტი. ახლად დაარსებულ სახელმწიფოს აუცილებლად სჭირდებოდა კონსტიტუცია, ამისთვის დიდი შრომა გაიწია, მაგრამ მისი შექმნიდან 4 დღეში დამოუკიდებლობა დავკარგეთ.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, საქართველომ ბევრი მტერი თუ მოკავშირე შეიძინა. მეგობარ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებით დაგვეხმარნენ გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი.

დაარსებიდან მალევე საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი მოუვიდა სომხეთთან. იმისდა მიუხედავად, რომ პირველ რესპუბლიკას სუსტი შეიარაღება ჰქონდა, საბრძოლო ტექნიკა ცოტა და გაუმართავი იყო, ბრძოლაში მაინც ვძლიეთ მეზობელ სახელმწიფოს, შუამავლობა კი მებრძოლ მხარეებს შორის ინგლისმა იკისრა.

ამ პერიოდზე საუბრისას უნდა ასევე ვახსენოთ ეკონომიკური ფაქტორიც. იმ დროისთვის, როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდა, უამრავი სახელმწიფო პირველი მსოფლიო ომის შედეგებს იმკიდა. ბევრი ქართველი დაიღუპა ამ ომში. მათ შორის უმრავლესობა, თექვსმეტიდან სამოც წლამდე ასაკის მამაკაცები იყვნენ. ამ მასობრივმა გადინებამ ხელი შეუწყო დემოგრაფიულ დეგრესიას და ერის დაბერებას. შრომის უნარი დაქვეითდა და პროდუქტები გაძვირდა. ამის გადასაჭრელად "ბონების“ ბეჭდვა დაიწყო მთავრობამ, მაგრამ ამან შედეგები გააუარესა.

ეკლესია, როგორც ყოველთვის, მუდამ ხალხის გვერდით იდგა. იგი უხსოვარი პერიოდიდან მოყოლებული, მხარში ედგა ქართველ ხალხს და სულიერ სიმტკიცესთან ერთად, მაგალითსაც აძლევდა. 1917 წელს, სანამ საქართველო თავისუფლებას დაიბრუნებდა, ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა და პირველი საეკლესიო კრებაც მოაწყო. დამეთანხმებით ალბათ, თუ ვიტყვი, რომ ამ ფაქტმა მისცა ქართველ ხალხს იმის დიდი სტიმული, რომ კვლავ ებრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

ახლა დროა შევეხოთ კულტურის სფეროსაც, რომელიც ამ მონაკვეთში საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა, ეს კი უპირველესად იმ დროის პოეტების გალაქტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელისა და სხვა მრავალი

ხელოვანის დამსახურებაა. ამ აღმავლობის სამ წელს მეოთხე და უკანასკნელი წელი მოყვა.

საქართველოს თავისუფლების ფურცელი, 1921 წელს დაიხურა. რუსული არმია, მას შემდეგ, რაც სომხეთი და აზერბაიჯანი გააწითლა, საქართველოს საზღვრებს მოადგა. ამ ფაქტით შეძრწუნებულმა მიხეილ ჯავახიშვილმა თავის სტუდენტებს კალმის გვერდით გაწევა და სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდა. სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსანტები გაწევრიანდნენ იუნკერთა რიგებში და გმირულად იბრძოდნენ კოჯორისა თუ ტაბახმელას მიდამოებში ქართველ ჯარისკაცთა გვერდით.

მიუხედავად ქართველთა თავდადებული ბრძოლისა, 25 თებერვალს, ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა. ამ მომენტიდან იწყება ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი. იმისათვის, რომ ქართული საგანძური ბოლშევიკების ხელში არ ჩავარდნილიყო, ექვთიმე თაყაიშვილმა ქვეყნიდან მალულად გაიტანა, და მრავალი ვარამით და სირთულით მოფენილ უცხოეთის გზას დაადგა.

გასაბჭოებისთანავე რუსეთმა ჩვეულ ხერხებს მიმართა, ზოგან დაყვავებითა და უფრო მეტგან კი ძალით დაიქვემდებარა ქართველი ერი, მაგრამ როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს: „ვით შეითვისოს რუსმან ქართველი?“ და მართლაც ვერც რუსი ითვისებდა ქართველებს და ვერც ქართველები - რუსებს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საქართველო ძალიან დასუსტდა, მაგრამ იგი მაინც იბრძოდა თავისუფლებისთვის, ასიათასობით მოქალაქის დაკარგვის და მიუხედავად .ს.ს.რ.კ-მ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის სურვილის ჩაკვლა ჩვენ ერში მრავალჯერ სცადა. იგი არ ერიდებოდა რეპრესიებს, დახვრეტებსა თუ მრავალ სხვა საშინელებას, მაგრამ ქართველთა მებრძოლი სული ტყვეობას არ ეგუებოდა და ბრძოლისთვის ემზადებოდა. – „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ შოთას ეს აფორიზმი აერთიანებდა ქართველებს.

70-80 იანი წლები გარდამტეხი აღმოჩნდა საბჭოური რეჟიმისთვის. თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი ხანძარივით მოედო ყველა „მოძმე“ რესპუბლიკას. 1989 წლის 9 აპრილის რევოლუციის შემდეგ, საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. მალევე არჩევნების შედეგად ქვეყანამ აირჩია პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ეს იყო ახალი და ამასთან უმნიშვნელოვანესი პერიოდი ჩვენთვის. მრავალ ტანჯულმა ერმა თავისუფლება მოიპოვა.

ახლა, ოცდამეერთე საუკუნეშიც, ჩვენი ქვეყანა არაერთი საფრთხის წინაშე დგას. რუსეთი, ქვეყანა, რომელიც უკვე რამდენიმე ასწლეულია ჩვენი მტერია, ახლაც გვებრძვის და ჩვენი მიწების მიტაცება სურს. საქართველო აფხაზეთის ომიც, ხომ მისი პროვოცირებული იყო. არ უნდა დავივიწყოთ არც 2008 წლის აგვისტოს ომი, რის შედეგადაც დავკარგეთ სამაჩაბლო. ამ ყოველივესთან ერთად უნდა ვიცოდეთ ერთიც, ეს ყოველი კონფლიქტი არა უბრალო ხალხის, არამედ რუსული პოლიტიკის ბრალია. დიდი სახელმწიფოები მუდამ ცდილობენ მოიპოვონ პატარაზე გავლენა, ამასთან თავიანთი ძალა ანახონ დანარჩენ მსოფლიოს. თუნდაც ავიღოთ

ავღანეთის ბრძოლა. ეს ხომ მთლიანად რუსეთ-ამერიკის ომი იყო, ოღონდ შეფარებითი და მალული. ჩვენი ვალია, არ დავუშვათ იგივე შეცდომები, რაც წარსულში დაუშვეს არამარტო ჩვენმა, არამედ სხვა ქვეყნების წინა თაობებმა. უნდა ვეცადოთ, აღვიდგინოთ დაკარგული ტერიტორიები, ეს კი ომის გზით შეუძლებელია, რადგან ნებისმიერი კონფლიქტი შესაძლოა, ბირთვულ დაპირისპირებაში გადაიზაროს. გასამთლიანებლად, აუცილებელია მოლაპარაკებები და კავშირები ევროკავშირთან და სხვა სახის მსოფლიო გაერთიანებებთან. ამასთან, უნდა გვქონდეს საუბრები და კავშირები რუსეთთანაც. კულტურული თუ დიპლომატიური ურთიერთობებია საქართველოს გამთლიანების საწინდარი.

ახლა კი უმთავრესი, რაც უნდა გავითვალისწინოთ წინა თაობებიდან, და კერძოდ კი პირველი რესპუბლიკის ისტორიიდან. ქვეყნის სრულფასოვნებისა და სწორი, ასევე სწრაფი განვითარებისთვის აუცილებელია დემოკრატია. 1918-1921 წლები ამის ნათელი დასტურია. ქალთა უფლებების გაზრდა, გენდერული თანასწორობა, მათი საკანონმდებლო ინსტიტუტში მიღება და სხვა მრავალი დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯები ხომ აქედან იღებენ სათავეს. უნდა ვიყოთ ტოლერანტები, მაგრამ ამასთან არასდროს უნდა დავკარგოთ ქართველობა. არ უნდა დავუშვათ ის, რომ აღვირიოთ სხვა ერებში. უნდა გვიყვარდეს, გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ ენას, მამულს და სარწმუნოებას, რადგან ეს სამი რამ არის ის მთავარი ბირთვი, გული ქართველობისა, რამაც გადაგვარჩინა და აქამდე მოგვიყვანა. ვიყოთ არა ჩვენ ჩვენთვის, არამედ მთელი ერისთვის და დამერწმუნეთ, გვექნება ის, რაც ყოველი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია – ერთობა, ბედნიერება და თავისუფლება. ჩვენი დროშა „თაგვებს კი არ დავახევინოთ“, არამედ ავაფრიალოთ სხვა დიდი ერების დროშების გვერდით. ამ ყოველივეს შემდეგ კი მომავალი თაობა ამაყად იტყვის მე ვარ ქართველი, დიდი წინაპრების შთამომავალი და ვამაყობ ამით.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო პირველი რესპუბლიკის ღირსეული გამოცდილება, რადგან დამოუკიდებელი ქვეყნის თითოეული დოკუმენტი (1990 წლის შემდგომ) სწორედ იმჟამინდელ დემოკრატიულ საწყისებს ემყარება. დღეისთვის უმთავრესი პრობლემა ქვეყნის გაერთიანებაა. რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ისტორიული სამაჩაბლოს ტერიტორიების ჩამოშორება ქვეყნის ეროვნული ორგანიზმიდან, აფერხებს ქვეყნის დემოკრატიული წინსვლის პროცესს, რადგან ტერიტორიული მოწყობა, კონსტიტუციის მიხედვით, უკავშირდება მთლიანობის აღდგენას. დიალოგისა და კომპრომისის საუკუნე საიმედოს ხდის ჩვენი ერის სანუკვარი ოცნების მიღწევას. მინდა დასრულდეს დისკრიმინაციის, ოკუპაციისა და, ზოგადად, რადიკალიზმის ეპოქა და მსოფლიომ გვაღიაროს პირველი რესპუბლიკის მემკვიდრე დამოუკიდებელი ქვეყანა.

ნიკოლოზ ქადაგიშვილი
მკითხველი
სოფელ ქვემო მაღაროს ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ რესპუბლიკის 100 წელი

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“

ქართველი ერის „უგვირგვინო მეფემ“, ილია ჭავჭავაძემ, ამდაგვარი სიტყვები მიუძღვნა იტალიის სახალხო გმირს, ჯუზეპე გარიბალდის. მიუხედავად ილიას უდიდესი სურვილისა, ენახა სუვერენული და თავისუფალი საქართველო, კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობის მსხვერლად იქცა. ამ უდიდესი საზოგადო მოღვაწის სურვილი სათავეს ჯერ კიდევ მე-15 საუკუნიდან იღებდა, როდესაც აღარ არსებობდა ერთიანი საქართველო. 1918 წლამდეც ეჭვქვეშ იდგა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა დიდი რისკის გამო. პარტიათა წევრებიც ავტონომიის მინიჭებით შემოიფარგლებოდნენ. თუმცა, საქართველოსნაირ პატარა ქვეყანას გერმანიის სახით პროტექტორი გამოუჩნდა, რომლის მფარველობით 117 წლიან წადილს ხორცი შეესხმებოდა. ამაში კი დიდი წვლილი პირველ მსოფლიო ომს მიუძღვის („ჩაგრული ერების განთავისუფლებაში“). სწორედ ილიასთან ერთად მე-XIX საუკუნეში ჩამოყალიბებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ აამაღლა ეროვნული კონსოლიდაცია და თვითშეგნების დონე ლოზუნგით „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ - ცნობილი სიტყვები ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“. სწორედ იგი გამოხატავდა მოძრაობის მთავარ მისიას, მიძინებულ ქართველ ერში თვითყოფადობის გაღვიძებას, ცარისტულ-რუსიფიკატორული რეჟიმის დამხობას. ქართველი საზოგადო მოღვაწეების როლი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში უდიდესია თავიანთი პუბლისცისტური წერილებისა თუ ნაწარმოებების გამოქვეყნებით, თუმცა ნებისმიერ ბრძოლას სჭირდება თავისი მოედანი, რომლის მთავარი პლატფორმა პრესა იყო. წლების განმავლობაში საქართველოში იხსნებოდა და იხურებოდა არაერთი ჟურნალ-გაზეთი. ზოგიერთის დახურვის მიზეზი კი პოლიტიკური მოტივაცია იყო (განსაკუთრებით ცნობილია „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით).

მე-XIX საუკუნის მიწურულს ცარიზმის პოლიტიკით უკმაყოფილო ახალგაზრდებმა თავიანთი იდეებისა და სულისკვეთების გამოხატვა სწორედ მარქსისტულ იდეოლოგიაში იპოვეს. ქართველმა მარქსისტებმა სრულიად ახალი პროგრამა წარმოადგინეს ნოე ჟორდანიას ავტორობით. მისმა გაზეთმა “კვალმა” დაიწყო იდეოლოგიური ბრძოლა “ივერიის” და ზოგადად ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების ქართული ინტელიგენციის მიმართ. განსაკუთრებით დიდი მონდომებით ხდებოდა ილია ჭავჭავაძის დემონიზება, რაზეც გაზეთის შინაარსობრივი მხარეც

მეტყველებს. ამ ბრძოლაში მესამე დასელების უპირატესობა ეპოქის სულისკვეთებამაც განაპირობა. იმდროინდელი მოსახლეობისთვის სოციალისტების ლოზუნგები თანასწორობასა და კეთილდღეობაზე, ყველაზე მისაღები აღმოჩნდა.

დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოუდგენელია ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების, დემოკრატიულ-პოლიტიკური კულტურისა და საერთო მზაობის გარეშე. მან დიდი ნიადაგი შეამზადა 1918 წლის 26 მაისს მომხდარი მოვლენისთვის. მიუხედავად ცარისტული რეჟიმის მცდელობისა, წაეშალა ქართული თვითყოფადობა, ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ეროვნული იდენტობა შეინარჩუნეს. დამოუკიდებლობამდე, საქართველო ჯერ ქართველების ცნობიერებაში გაერთიანდა, გაიზარდა და იქცა დემოკრატიულ სახელმწიფოდ. სწორედ წარსულის მიერ მოცემული ბაზისის დამსახურებაა, რომ ქართველები მზად იყვნენ დამოუკიდებლობისთვის.

მიუხედავად საშინაო მზაობისა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ესაჭიროებოდა საგარეო ფაქტორების ხელშეწყობაც. სუვერენიტეტის მოპოვებისთვის აუცილებელი იყო მეფის რუსეთის დასუსტება და პოლიტიკური კრიზისის გაჩენა. რევოლუციონერებისაგან დასუსტებული ცარიზმი ჯერ კიდევ ახერხებდა სადავეების მართვას მის საბოლოო რყევამდე, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. რეალურად, რევოლუციური განწყობა პირველ მსოფლიო ომში ცარისტული რეჟიმის გადაბმულმა დამარცხებებმა შექმნა. რუსეთი სერიოზული ეკონომიკური კრიზისის წინაშე დადგა გლეხებისა და მუშების ომში გაწვევის გამო. შემდგომში წარმოების შემცირებამ, პროდუქტებზე ფასების გაძვირებამ, სამეურნეო ძალის გარეშე დარჩენილი რუსეთის იმპერია, ფაქტობრივად, კრახამდე მიიყვანა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებას წინ დიდი პოლიტიკური პროცესები უძღოდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი ამიერკავკასიაში განსაკუთრებით პოპულარული იყო ეროვნული სუვენერიტეტის თემა. იქმნებოდა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული საბჭოები, რომლებიც ნელ-ნელა ამზადებდნენ საფუძველს დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად.

1918 წლის 26 მაისს მთავრობის სასახლის დარბაზში შეკრებილი ეროვნული საბჭოს სხდომა ნოე ჟორდანიამ გახსნა. მან შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალების გარეშე დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.“

ამასთანავე, ახალ მთავრობას კონსტიტუციის შესამუშავებლად აუცილებლად სჭირდებოდა ლეგიტიმაცია, ხალხისგან მინიჭებული უფლება. გარდა ამისა, არჩევნების ჩატარება იყო უდიდესი გამოწვევა ახლადშექმნილი დემოკრატიისთვის. ეროვნული საბჭოს აზრით აუცილებელი იყო არჩევნების გზით დამფუძნებელი კრების შექმნა. აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, რომელსაც დემოკრატიულად არჩეული სოციალ-დემოკრატიული

პარტია ჩაუდგა სათავეში. ასევე, სულ არჩევნების სამი ეტაპი გაიმართა. საბოლოოდ დამფუძნებელ კრებაში 145 დეპუტატი შევიდა, რომელთა შორის ხუთი ქალი იყო, როდესაც ევროპის წამყვან ქვეყნებში ქალები ჯერაც ხმის მიცემის უფლების მოპოვებას ცდილობდნენ. დამფუძნებელი კრების მრავალ გადაწყვეტილებათა შორის ერთ-ერთი რევოლუციური სასჯელის უმაღლესი ზომის, სიკვდილით დასჯის გაუქმება იყო.

დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობა დიდი ხნის განმავლობაში იკავებდა თავს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე-იურედ ეცნო, რადგან რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ. ამ დროისთვის საბჭოთა რუსეთს მკაფიოდ გამოხატული მიზნები ჰქონდა საქართველოსთან მიმართებაში.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კონსტიტუციის მიღება რთულ პირობებში მოუწია. მას დამოუკიდებლობის აქტი დაედო საფუძვლად. დამფუძნებელმა კრებამ, 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუცია ერთხმად მიიღო. გარეთ, სახალხო ზეიმის ნაცვლად, ზარბაზნების ხმა ისმოდა. საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ აისახა პირველი მთავრობის მიზნები, შეექმნათ დემოკრატიული, განვითარებული, თანასწორუფლებებზე ორიენტირებული ევროპული კონსტიტუცია, რომელიც მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული იქნებოდა. კონსტიტუცია გვამცნობს: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.“

ამასთანავე, აღსანიშნავია რესპუბლიკის ბრძოლა ერთიანი საქართველოსთვის სეპარატიზმის წინააღმდეგ, რაც დღესდღეობითაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

სამწუხაროდ საქართველო რუსეთის მოულოდნელი თავდასხმებისთვის მზად არ აღმოჩნდა, 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმია საქართველოში შემოვიდა.უკვე ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, ხოლო ვინც დარჩა, საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებით, მკაცრად დაისაჯა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რუსეთის ამ მოქმედებებით დაირღვა 1920 წლის 7 მაისის შეთანხმება საქართველოს ტერიტორიების ხელშეუხებლობის შესახებ. ამრიგად, საქართველომ კვლავ დაკარგა ნაციონალური სუვერენიტეტი და მეორედ იქნა დაპყრობილი რუსეთის მიერ. საქართველო 70 წელი ელოდა თავისუფლების ხელმეორედ მოპოვებას. ამჯერად იგი შევიდა სსრკ-ში, როგორც ერთ-ერთ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, „თანასწორუფლებიან ერთა ძმურ კავშირში“, რომელიც რეალურად რუსეთის იმპერიას წარმოადგენდა ხელახლა შეერთებული კოლონიებით. ქართველთა წინაშე ისევ განმეორდა „მამული, ენა, სარწმუნოების“ პრინციპი, სუვერენიტეტისთვის ბრძოლა აღდგა, განსაკუთრებით 1980-იანი წლებიდან, გარდაქმნის პერიოდიდან. 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში მოხდა სისხლიანი მოვლენები, რაც გამოიხატა საბჭოთა არმიის მიერ ანტი-საბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვ-

ნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევაში, დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით დაიჭრა, მოიწამლა, დასახიჩრდა. 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად, მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ქვეყანამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიბრუნა. 1991 წლის 9 აპრილს ძალაში შევიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღეს საქართველოს კონსტიტუცია. სუვერენიტეტის აღდგენის გარდა საქართველო ისევ აღმოჩნდა რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატიზმის წინაშე, თავისუფლებისა და ერთიანობისთვის თავდადებული ქვეყანა ეთნო კონფლიქტებში გაეხვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, რომლებიც დღესდღეობით, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ოკუპირებულია.

ამგვარად, საქართველო დღემდე დგას ზემოთ აღნიშნული პრობლემების წინაშე, განუწყვეტლივ ხდება ქართველი მოქალაქეების პირადი, სამოქალაქო, პოლიტიკური უფლებების დარღვევა. საბედნიეროდ კი დღეს საქართველო არსებობს პოლიტიკურ რუკაზე, სუვერენული, საკუთარი, უნიკალური ენისა და კულტურის მქონე ქვეყანა, უნიკარული, როგორც პირველი რესპუბლიკის მესვეურებმა დააარსეს, რის შედეგადაც ოკუპირებულ ტერიტორიებს მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო საქართველოს შემადგენლობაში, მის განუყოფელ ნაწილად აღიარებს. ამ ყველაფრისათვის მადლობა ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამაარსებლებს, და ამ ბაზისის შემქმნელ საზოგადო მოღვაწეთ. წინსვლა-განვითარებისთვის, ევროპული ინტეგრაციისთვის, საკუთარი ქვეყნის გაძლიერებისთვის ქართველმა მოქალაქეებმა უნდა დაიმახსოვრონ უხუცესი დეპუტატის, სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვა: „ხალხი, რომელსაც არ შეეშინდა ჩრდილოეთის სუსხიან ზამთრის, რომელმაც გამოიჩინა უნარი თვითმპყრობელობის სქელი და ცივი ყინულის ქვეშ პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ზრდა განვითარებისა, ეს ხალხი არ დაიღუპება და არც დაღუპავს მოპოვებულ თავისუფლებას“. ახლა ეს ხალხი, ახალი თაობაა, აქტიური მოქალაქეები, პატრიოტები, დიპლომატები, რომლებიც, იმედია, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების აღმოფხვრას მოახერხებენ.

ბარბარე ჭყოიძე
მკითხველი
ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის
საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ რესპუბლიკის 100 წელი

1989 წლის 8 აპრილი... სამხედრო ძალის დემონსტრირებით ცდილობენ მიტინგის მონაწილეებზე ზეწოლის მოხდენას...სურთ მონაწილეთა შემცირება, თუმცა შედეგი საპირისპიროა. მიტინგს ახალი მონაწილეები დაემატნენ... მიტინგზე მთელი საქართველო გამოვიდა..

სანაპიროზე განლაგებულნი იყვნენ სადესანტო ნაწილები... იდგნენ ტანკები...

ათიათასამდე კაცი შუაღამის მიუხედავად არ ტოვებდა მიტინგს, ძირითადად ქალებისა და მოზარდების სიმრავლე იგრძნობოდა. ისმოდა სიმღერები, ლექსები, პატრიოტული მოწოდებები. ამ დროს ყოველი ქართველის გულში პატარა კოცონი გიზგიზებდა, რომელიც მალე დიდ ხანძრად უნდა გადაქცეულიყო...

9 აპრილი... დილის სამი საათი და ოცდაათი წუთი... გაისმა საქართველოს პატრიარქის ილია მეორის მოწოდება, რომ საფრთხე რეალური იყო, თუმცა მომიტინგეები არ ემორჩილებიან... ეს საბედისწერო შეცდომაა..

სიჩუმე... ტანკების გრიალი... უსინათლო გოგონების ჯგუფის ვაჟკაცურად შესრულებული სიმღერა ''დაუკარით..''..

თითქოს დრო გაჩერდა. არის ისტორიაში გამორჩეული მომენტები.. სწორედ ასეთია ეს... შემდეგ კი სისხლი, ნამდვილი ქართველების, ნორჩი თანამემამულეების სისხლით მოირწყა თბილისის ქუჩები... თექვსმეტი ადგილზე დაიღუპა, მათ რიცხვს კიდევ რამდენიმე დაემატა, უამრავმა მიიღო ჭრილობა.

9 აპრილს დაძაბულობა გრძელდებოდა მთელი დღის განმავლობაში. სწავლა არ იყო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში, ბევრი საწარმო გაიფიცა...

თბილისი დაღუპულებს გლოვობდა...

9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს უახლეს ისტორიაში უაღრესად დიდია. მან ცხადყო საბჭოთა პოლიტიკური სისტემის აგონია და საბოლოო კრახი. ახლოვდებოდა ნანატრი თავისუფლება. თუმცა ამან გამოიწვია ისიც, რომ მეტად აშკარად და უხეში ფორმით მოხდა რუსეთის სახელმწიფოს და მისი ჯარის დაპირისპირება საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყანა კვლავ მარტო დარჩა კავკასიაში. ამას ყოველთვის ჩინებულად იყენებდა ჩვენი მტერი და არაკეთილისმყოფელი. აფხაზი და ოსი სეპარატისტები, აგრეთვე ქვემო ქართლის სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის ექსტრემისტული ნაწილი ნაციონალურ მოთხოვნებს აყენებს.

სიტუაცია ძალიან ნაცნობია... ეს 1989 წელი, თუმცა მანამდე?...

1918 წლის 26 მაისით დათარიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:

„საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. XVIII საუკუნეში მტრისგან ყოველმხრივ შევიწროებული რუსეთს შეუერთდა იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი მას გარეშე მტერთაგან დაიცავდა. რევოლუციის დროს რუსეთის ჯარმა მიატოვა ამიერკავკასია. საკუთარი ძალების ამარა დარჩენილმა

საქართველომ და მასთან ერთად მთელმა ამიერკავკასიამ თავად მოჰკიდეს ხელი საკუთარი ბედის მოწყობას და საჭირო ორგანოებიც შექმნეს. საქართველოს ეროვნული საბჭო აცხადებს, რომ დღეიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა.''

1918 წელს ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე ხდება ნოე ჟორდანია.

პრობლემა უამრავია, ძირითადი კი ანტიქართული განწყობა არაქართულენოვან მოსახლეობაში. დაძაბულობა იზრდება... კვლავ სეპარატიზმი... ისევ ნაცნობი თემა...

ამ დროს რუსეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. რუსეთს არ სცალია ახლად გათავისუფლებული ქვეყნების დასაპყრობად. თუმცა ეს დიდხანს არ გრძელდება და სულ მალე წითელი არმია შემოდის დემოკრატიულ საქართველოში და კიდევ ერთხელ იპყრობს მას. მთავრობა ტოვებს ბათუმს, ემიგრაციაში მიემგზავრება.

ორჯონიკიძის დეპეშა მოსკოვში... ''თბილისის თავზე ფრიალებს წითელი დროშა"...

ასე იფრიალა წითელმა დროშამ დაახლოებით 69 წელი, ვიდრე უკანასკნელი იმპერია, საბჭოთა კავშირი არ დაინგრა. ამ წლებში კი უამრავი რამ გადაიტანა ჩვენმა ქვეყანამ: სტალინური დიქტატურა, რეპრესიები, სამამულო ომი, განკულაკება, გაციმბირება, პოლიტიკური ტერორი, უამრავი ტრაგიკული ისტორია და ათასობით მსხვერპლი...

საბჭოთა კავშირის აღზევების შემდეგ ნელ-ნელა იწყება მისი დაღმა სვლა. სამოცდაათიან წლებში კრიზისი კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება. ეკონომიკის მართვის ახალი სისტემა – ''სახალხო მეურნეობის საბჭოები'' ნაკლებად ეფექტიანია. საქართველოში პურის მაღზიებთან უზარმაზარი რიგებია.

ამ პერიოდში უკვე აშკარად შესამჩნევია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური ჩამორჩენა დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით. ერთის მხრივ დასავლეთში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები, ელექტროტექნიკური მრეწველობის არნახული განვითარება და უახლესი კომპიუტერული ტექნიკა და მეორეს მხრივ ერთ ადგილას გაყინული საბჭოეთი, რომელსაც საკმაოდ ძვირად უჯდებოდა ''ზესახელმწიფოს'' პოლიტიკური იმიჯის შენარჩუნება.

საქართველოში მატულობს ანტისაბჭოური განწყობის ადამიანთა რიცხვი. ქართველი ინტელიგენცია ყველა სფეროში ილაშქრებს რეჟიმის წინააღმდეგ.

ასეთ რთულ მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებაში 1983 წლის 18 ნოემბერს თბილისში, ახალგაზრდების ჯგუფმა თვითმფრინავი გაიტაცა და დასავლეთ ევროპაში გადასვლას შეეცადა. გატაცების მცდელობა ტრაგიკულად დასრულდა. დაიღუპა ორი მფრინავი და ერთი ბორტგამცილებელი ქალი. ახალგაზრდები დახვრიტეს და მათთან ერთად სრულიად უდანაშაულო სასულიერო პირი – მამა თევდორე.

საქართველოში ყოველ წელს ანტისაბჭოთა ტენდენციები სულ უფრო და უფრო მატულობდა. იქმნებოდა უამრავი არალეგალური ორგანიზაციები, რომლებიც აწყობდნენ მიტინგებს და აქციებს.

1988 წლის 12 ნოემბრის აქცია თავისი მასშტაბით საგრძნობლად გამოირჩეოდა. მასში ასიათასამდე კაცი მონაწილეობდა, გადაიკეტა მთავარი ქუჩები, მომიტინგეები მოითხოვდნენ დემონსტრაციებისა და ქუჩაში მსვლელობის თავისუფლებას. კომუნისტური ხელისუფლება დათმობაზე წავიდა, თუმცა თბილისში საპროტესტო აქციები გრძელდება. აქციის დროს ერთ-ერთმა მოქალაქემ, გაბრიელ ისაკაძემ, მთავრობის სასახლის თავზე მოფრიალე წითელი დროშა ჩამოხსნა.

ეს იყო დასაწყისი... კომუნისტური რეჟიმის დასასრულის დასაწყისი...

1989 წლის 9 აპრილის მოვლენები გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, 1990 წლის ოქტომბრის არჩევნები კი პირველი თავისუფალი არჩევნები 1919 წლის შემდეგ. გამარჯვებული პარტია "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", უზენაესი საბჭოს თავჯდომარე – ზვიად გამსახურდია, მოგვიანებით პრეზიდენტი. საქართველო ოფიციალურად რესპუბლიკად გამოცხადდა.

რუსეთმა რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი გადადგა. უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყო საქართველოში არსებულ ავტონომიურ რესპუბლიკებში სეპარატისტული მოძრაობის აღმავლობას. აფხაზურ და ოსურ ექსტრემიზმს ყოველთვის ხელს უწყობდა სსრკ-ის კომუნისტური მთავრობა. ქვეყანა სამოქალაქო ომის წინაშეა. ზვიად გამსახურდია ყველაფერს აკეთებდა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მოუწოდებდა არაქართულენოვან მოსახლეობას კეთილგონიერებისაკენ. "..ჩვენი კონფლიქტი და სისხლისღვრა " - ვკითხულობთ მის ერთ-ერთ მოწოდებას მოსახლეობისადმი - "მხოლოდ ჩვენს მტერს აძლევს ხელს".

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, ოპოზიციური ძალები შეტევაზე გადმოვიდნენ. რუსეთის ჯარების მხარდაჭერითა და დახმარებით შეტევა მოხდა პარლამენტის შენობაზე. 1992 წელს თბილისში კვლავ დაემხო კანონიერი ხელისუფლება. ზვიად გამსახურდიამ დატოვა ქვეყანა, თავი შეაფარა ჯერ სომხეთს, შემდეგ კი ჩეჩნეთს. 1993 წელს დღემდე დაუდგენელ ვითარებაში დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

ქართულმა ინტელიგენციამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში მოსკოვიდან ჩამოეყვანა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ჯერ საბჭოს თავჯდომარე, ხოლო შემდეგ პრეზიდენტი ხდება.

1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი. ეს ნაბიჯი დიდი პოლიტიკური შეცდომა აღმოჩნდა. აფხაზი სეპარატისტების მხარეს იბრძოდნენ დაქირავებული ჩრდილო კავკასიელები და აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის არმიის ნაწილები. სეპარატისტებმა აიღეს გაგრა, სოხუმი, ოჩამჩირე, გალი და ენგურზე გაავლეს საზღვარი. ტყვედ აიყვანეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავჯდომარე ჟიული შარტავა და დახვრიტეს. სამასი ათასი ქართველი გამოდევნეს საკუთარი სახლებიდან, რომლებიც დღემდე ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობენ საკუთარ სამშობლოში.

2003 წლამდე საქართველოს მართავდა ედუარდ შევარდნაძე. ქვეყანა ნელი ტემპით ვითარდება. მძიმე მდგომარეობაშია ეკონომიკა. მალე სამთავრობო კრიზისიც იწყება. მოსახლეობაში უკმაყოფილება მატულობს. ხალხი აღელვებულია. ვითარების განმუხტვის მიზნით გადადგა

საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე ზურაბ ჟვანია. იგი შეუერთდა ოპოზიციას.

2003 წლის გაყალბებული არჩევნების შემდეგ საქართველოში ხავერდოვანი ''ვარდების რევოლუციით'' ქვეყნის სათავეში მოვიდა ''ნაციონალური მოძრაობა''. 2004-2012 წლებში საქართველოს პრეზიდენტია მიხეილ სააკაშვილი.

ხალხი დაღლილია, ნაწილი მისტირის საბჭოთა კავშირს (ძირითადად ასაკოვანი ხალხი), ნაკლებად სჯერა მომავლის, შეუძლებლად მიაჩნია შევარდნაძის დროინდელი ჩაბნელებული, გაღატაკებული და კორუმპირებული საქართველოს მომავლის წარმოდგენა...

მიხეილ სააკაშვილმა არაერთი რეფორმა გაატარა, რამაც ძალიან უშველა თითქმის ჭაობში ჩაფლულ ქვეყანას. რეფორმები შეეხო თითქმის ყველა სფეროს, ქვეყანა უცებ გამოცოცხლდა. რაც მთავარია, ''ვარდების რევოლუციის'' ლიდერმა დაასრულა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის კორუმპირებული და არაეფექტური მმართველობა. ათი წლის პრეზიდენტობის პერიოდში იგი ცდილობდა დახმარებოდა საქართველოს ფიზიკურად და სულიერად გაეწყვიტა კავშირი თავის წარსულთან. მან ამ გზაზე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია და ეს უდავოა. სააკაშვილმა ნორმად აქცია მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მუდმივი მიწოდება, ააშენა ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გზები და სკოლები. გაარემონტა დასახლებული პუნქტები, გაიზარდა ეკონომიკა. ქვეყანას მოეძალნენ ტურისტები და ინვესტორები. საქართველომ განამტკიცა კავშირი ევროპასა და შეერთებულ შტატებთან, პოლიცია პატივსაცემი ინსტიტუტი გახდა...

თუმცა უარყოფითი მხარეებიც აშკარად იკვეთება; ბიზნესის და პოლიტიკის ინტერესები ხშირად არაჯანსაღად ებმის ერთმანეთს, ეს ხელს უწყობს კორუფციის შემდგომ აყვავებას ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. სააკაშვილი შეუწყნარებელია განსხვავებული აზრის მიმართ, ხდება ზეწოლა ოპოზიციაზე. ადამიანები მეტს მოითხოვენ მთავრობისგან, შეცდომებს კი არ პატიობენ. არ შეიძლება არ გავიხსენოთ 2008 წლის აგვისტოს დამანგრეველი ომი...

2012 წელს ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა რომ თავისუფლების მოყვარული ერია და დემოკრატია მისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია. ქვეყნის ხელმძღვანელობა შეიცვალა, სათავეში მოვიდა ''ქართული ოცნება''. მმართველ გუნდზე განსჯა მომავალი თაობებისთვის მიმინდვია, ვიტყვი ერთს ჯერ კიდევ ბევრი ოცნება დაგვრჩა ასასრულებელი...

არ შეიძლება არ ვახსენოთ 2014 წლის ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირსა და საქართველოს შორის. პროცესი უკვე დიდი ხანია რაც დაწყებული იყო... წარმატებით დაგვირგვინდა, ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ ზურაბ ჟვანიას ლეგენდარული სიტყვები -''მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი''- და არა მარტო ვთქვათ, არამედ ევროპის ნებისმიერი ქვეყანა მოვინახულოთ ნებისმიერ დროს ყოველგვარი ვიზის და სირთულეების გარეშე, თუ ძალიან მოვიწადინეთ და ყველა სახსრებს მოვუყარეთ თავი ერთად... (შეგვიძლია აგრეთვე ''უპროცე-

ნტო'' სესხიც გავაკეთოთ ბანკში და თამამად ვიმოგზაუროთ ევროპაში).

ამასობაში ბევრმა წყალმა ჩაიარა... საზოგადოების ნაწილი გამოფხიზლდა, გააცნობიერა რას ნიშნავს ნამდვილი თავისუფლება, ეს უკანასკნელი კი უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავზე ზრუნვას ნიშნავს, საკუთარი საქმის დაგეგმვას და შედეგების პასუხისმგებლობის, წარმატებისა და წარუმატებლობის საკუთარ თავზე აღებას, და თუმცა ჯერ კიდევ უამრავი სირთულე და წინააღმდეგობებია ქვეყანაში, იმედის სხივი მაინც ყველა მხრიდან ანათებს და აციკროვნებს ჩვენს პატარა საქართველოს.

ლელა ბაიდოშვილი
მკითხველი
სოფელ ნუკრიანის ბიბლიოთეკა
ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და
საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი